ეროვნული ბიბლიოთეკა

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

წელიწადი მერვე

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე,
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და მის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—53
) დამხ. მდივნის 13—30

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპ., № 54, ტელეფონი № 8—81.

ხელისმოწერის ფასი:
მუშა-მოსამსახურეთათვის, კლუბების, წითელ-არმიელების, მოწაფეების და მასწავლებლებისათვის—1 მან., დანარჩენებისათვის—1 მან. და 30 კაპ.

განცხადებები:
საქართველოს ფარგლებში— ტექსტის უკან—80 კ. ნონპარელის სტრიქონი, ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კ.; საქართველოს გარეთ—ტექსტის უკან—1 მ. 50 კ., ტექსტში—3 მ.; განმცხადებელი გარდა განცხადების ფასისა იხდის 10% საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად-შეღავათი შეთანხმებით. მთ. კანტორაში განცხადებები მიიღება 9—3½ ს., 3½ ს. შემდეგ განცხადება ელირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15 და 20 მ.

დღიური

- — მუშების აჯანყება ბრაზილიაში.
- — ოტტო ბრაუნის და ოლღა ბონარიოს საქმე.
- — საბჭოების საკავშირო ყრილობა დანიშნულია 1929 წლის 15 აპრილისათვის.
- — კოპორის ყურეში ამოიღეს ჩაძირული წყალქვეშა ნავი „ლ—55“.

შაბათი, 18 აგვისტო 1928 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 5 კაპ. № 191 (2234)

კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა

ამხ. ნ. ი. ბუხარინის მოხსენება კომინტერნის მე-VI კონგრესზე, 9 აგვისტოს

პროგრამის პროექტის დამახასიათებელი ნიშნები

მოსკოვი, 17 აგვისტო. ამხანაგებო!

მე უკვე ორჯერ მომიხდა გამოსვლა კომინტერნის კონგრესებზე საპროგრამო საკითხების შესახებ და, მაშასადამე, ეს მესამე გამოსვლაა. ამ გარემოებას აღვნიშნავ იმიტომ, რომ მოხსენების გაკეთების დროს მე ვგულისხმობ, რომ ყველა აქ დამსწრე ამხანაგი იცნობს წინანდელ მოხსენებას და კამათს საპროგრამო საკითხების შესახებ, ამიტომ მე აქ აღარ გავიმეორებ იმას, რაც წინედ უკვე იყო ნათქვამი. მე განზრახ არ შევეხები მეტად არსებით საკითხებს, რომლებიც ჩვენ არა ერთხელ განვიხილეთ და რომელთა შესახებ ჩვენს წრეში არ არის რაიმე სერიოზული პრინციპიალური უთანხმოება.

კომინტერნის პროგრამა არის პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პროგრამა.

შევეხები, უპირველეს ყოვლისა, პროგრამის პროექტის ზოგიერთ სპეციფიურ თავისებურებას.

ჩვენი პროგრამა არ არის პროლეტარული პარტიის პროგრამა-მინიმუმი. კონგრესის წინაშე წარმოდგენილი პროგრამის პროექტის ძირითადი დასაყრდენი და მისი სულისჩამდგმელი საფუძველი არის პროლეტარიატის დიქტატურის იდეა.

ჩვენი პროგრამა არის პროლეტარიატის დიქტატურის პროგრამა. მაგრამ ეს მარტო პროლეტარიატის დიქტატურის პროგრამა არ არის,—ეს არის პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის პროგრამა.

რევოლუციონური პროლეტარიატის ისეთი დიდი და ძლიერი მსოფლიო ორგანიზაცია, როგორიც არის ჩვენი ორგანიზაცია, ისტორიაში პირველად ცდილობს თავისი პროგრამის წამოყენებას. მართალია, წინადაც ჰქონდა ადგილი პროლეტარიატის დიქტატურის პროგრამულად დასაბუთების ცდებს, ეხლა ჩვენ პირველად ვცდილობთ კონკრეტულად ჩამოვაყალიბოთ პროლეტარიატის დიქტატურის მსოფლიო მასშტაბით დამყარების ამოცანები. ჩვენი პროგრამა არ არის ერთი სექციის, რევოლუციონური პროლეტარიატის ერთი ნაწილის პროგრამა. ეს არის კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა, ე. ი. მსოფლიო პროლეტარიატის პროგრამა. ჩვენს პროგრამას ვადგენთ და ვამუშავებთ სრულებით განსაკუთრებულ ეპოქაში, როცა პროლეტარიატის დიქტატურის პრობლემა, რევოლუციის პრობლემა, ხელისუფლების დაპყრობის პრობლემა და სხ. უკვე ატარებს არა აკადემიურ, არამედ აქტუალურ ხასიათს და როცა ეს პრობლემა მთელი სიგრძე-სიგანით და მწვავედ სდგას ჩვენს წინაშე, როგორც დღევანდელი დღის, ეხლანდელი ეპოქის, ეხლანდელი დროის ამოცანა.

ჩვენი პროგრამა, რომელიც წარმოიშვა ომებისა და რევოლუციების ეპოქაში, ისეთ ეპოქაში, როცა დედამიწის მეექვსედ ნაწილზე უკვე არსებობს პროლეტარიატის დიქტატურა, არის ეპოქის ბრძოლის დოკუმენტი, დოკუმენტი, რომელიც სახავს პროლეტარიატის რევოლუციონური ბრძოლის უშუალო გზას მსოფლიო დიქტატურისაკენ.

კომინტერნის პროგრამის ისტორიული ადგილი, მისი თავისებურება და ფორმები

ეს დამახასიათებელი ნიშნები ჩვენს პროგრამას სრულებით თავისებურ ხასიათს აძლევენ. როცა ჩვენს პროგრამას უპირისპირებთ მეორე ინტერნაციონალის პარტიების პროგრამებს, ნათლად ვხედავთ, რომ ჩვენს შორის უდიდესი უფსკრულია გათხრილი. მეორე ინტერნაციონალის პარტიების პროგრამა არის მხოლოდ ნაციონალური პროგრამა იმ პარტიებისა, რომლებიც მეორე ინტერნაციონალში შედიან. ძალიან საეჭვოა, რომ მეორე ინტერნაციონალმა შესძლოს თავისი საერთაშორისო პროგრამის შემუშავება. შეუძლებელი არ არის ეს, მაგრამ მეორე ინტერნაციონალის პარტიებისათვის ძალიან ძნელია ამისი შესრულება, ვინაიდან განსხვავება მეორე ინტერნაციონალის პარტიებს შორის მეტად დიდია. სოციალ-დემოკრატიული პარტიების პოლიტიკური თავისებურება და საგარეო პოლიტიკური ხაზი იმდენად არის შეფარდებული მათი „მშობლიურ“ ბურჟუაზიის ხაზთან, რომ უთანხმოება ამ პარტიებს შორის უმთავრესად გამოხატავს იმ წინააღმდეგობას, რომელიც არსებობს სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიის შორის, და ეს თავს იჩენს ხოლმე ბურჟუაზიული საზოგადოების ცხოვრების კრიტიკულ მომენტებში: საკმაოა გავიხსენოთ რურის ოლქის ოკუპაცია და სხვადასხვა სოციალ-დემოკრატიული პარტიების პოზიცია ამ საკითხში.

ჩვენ ეხლა მარტო პროპაგანდისტული საზოგადოება აღარა ვართ, ჩვენ ვართ პირველხარისხოვანი ფაქტორი მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლაში, პირველხარისხოვანი ფაქტორი მსოფლიო პოლიტიკისა საზოგადოდ. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ჩვენს წინაშე სდგას სხვადასხვა პრობლემა არა საერთო, არამედ კონკრეტული სახით, რომ ამიტომ ჩვენი პარტიების შეკითხვები და პასუხებიც კონკრეტულად უნდა იქნას ჩამოყალიბებული. ამ ეპოქის დამახასიათებელი თავისებურებით აიხსნება ჩვენი პროგრამის სპეციფიური თვისებებიც, ჩვენი პროგრამის პროექტის თავისებური ფორმა.

დისკუსიაში, რომელიც გადაიშალა პრესის ფურცლებზე, ზოგიერთი ამხანაგი მიგვითითებდა იმაზე, რომ პროგრამა მეტად გრძელია, რომ იგი მეტად მშრალად არის დაწერილი, რომ იგი არ შეესაბამება პროგრამის „ცნებას“ და ამიტომ სავსებით ვერ აღწევს თავის მიზანს-ო. ზოგ ამხანაგს სურდა ამის დასაბუთება ენგელსის სიტყვებით, ენგელსის, რომელიც მოითხოვდა პროგრამის ჩამოყალიბებას მოკლე და სწორ ფორმულებში. ისინი აღნიშნავდნენ, რომ ჩვენი პროექტი პროგრამის კომენტარიებს და საპროგრამო მასალას უფრო წარმოადგენს, ვიდრე თვით პროგრამას. მაგრამ ყველა კონკრეტული წინადადება, რომელიც მოცემული იყო დისკუსიის დროს პრესაში და აქ კონგრესზედაც, ისეთი სახისა იყო, რომ მათი მიღების შედეგად პროგრამა არა თუ არ

რით განისაზღვრება პროგრამის პროექტში შეტანილი ცვლილებები?

კომუნისტური ინტერნაციონალის გასულ კონგრესზე განხილულ და მიღებულ იქნა პროგრამის პროექტი. სპეციალურ კომისიას მიენდო შეეტანა მასში სარედაქციო ხასიათის შესწორებები მომავალ მე-6 კონგრესზე განსახილველად. კომინტერნის აღმასკომის საპროგრამო კომისია არ დასჯერდა სარედაქციო ცვლილებებს. კომინტერნის აღმასკომის სახელით წარმოდგენილი პროექტი პროგრამისა წინანდელ პროექტთან შედარებით ძალიან შეცვლილია. მე-V კონგრესის შემდეგ განვლო 4 წელმა. ისტორიული განვითარების ობიექტიური პირობები საგრძნობლად შეიცვალა; ეს ცვლილებები ხშირად მეტად მნიშვნელოვანია. ისინი მოითხოვენ ჩვენგან არა მარტო ცვლილების შეტანას ტაქტიკაში, არამედ ჩვენი პროგრამული დებულებების ცოტა სხვანაირად ჩამოყალიბებასაც. ცხადია, ეს არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს პროგრამის წინანდელი პროექტის ძირითადი პრინციპების შეცვლას.

ჩვენი პროგრამის პრინციპიალური დებულება—მარქსიზმისა და ლენინიზმის რევოლუციონური პრინციპებია. მაგრამ კაპიტალისტური საზოგადოებისა და საბჭოთა კავშირის მდგომარეობის ანალიზის დროს, იმ მოთხოვნათა განსაზღვრის დროს, რომელსაც ვუყენებთ ჩვენ მიერ დასახულ ტაქტიკურ ხაზს, საჭირო შეიქნა მთელი რიგი ცვლილებების შეტანა ამ პრინციპიალურ დებულებების კონკრეტულ ფორმულებში. ვიმეორებ, ყველაფერი ეს დაკავშირებულია ობიექტიურ ცვლილებებთან, რომელთაც ადგილი აქვთ განვითარების რეალურ პროცესში. გამოიცვალა კაპიტალიზმის კრიზისის საერთო ფორმა. ამის შესახებ მე უკვე ვილაპარაკე

თანამედროვე კაპიტალიზმის ეკონომიური სტრუქტურის ცვლილებებსა და კაპიტალიზმის პოლიტიკურ ზედნაშენში ყოველნაირ გადაჯგუფებებს ხელს უწყობენ ახალი სოციალური მოვლენები. მე-V მსოფლიო კონგრესის ხანაში ფაშიზმი ჯერ კიდევ თავისი განვითარების პირველ საფეხურზე იდგა. ამჟამად ჩვენ გვაქვს არა მარტო კლასიური ფორმა ფაშიზმისა, არამედ ფაშიზმისკენ გადამავალი საფეხურების მთელი რიგი. ფაშიზმი სცდილობს საფუძვლიანად დამკვიდრდეს,—ფაშიზმი, როგორც ცალკე სისტემა, როგორც ცალკე, უკაცრაული პასუხია, „მსოფლმხედველობა“ და ახალი „კულტურული იდეალი“.

ჩვენი მთავარი მტერი მუშათა მოძრაობაში განვითარების ახალ საფეხურზე გადავიდა,—მე ვამბობ სოციალ-დემოკრატიულ პარტიებზე, მეორე ინტერნაციონალის პარტიებზე. ამისდა მიხედვით იცვლება რეფორმისტული პროფკავშირების შინაგანი სტრუქტურა, მათი ფუნქციონალური როლი, მათი მიდგომა პროგრამისა და ტაქტიკის სხვადასხვა საკითხებისადმი. ამიტომ მთლიანი ფრონტის ტაქტიკის პრობლემა, რომელსაც ჩვენ ვატარებდით, დღეს ცოტა სხვანაირად ისმება, ვიდრე 4 წლის წინედ. მუშათა მოძრაობის ახალ მოვლენებთან დაკავშირებით კომუნისტური ინტერნაციონალის აღმასკომმა დასახა და გაატარა ტაქტიკური გადახრა მარცხნივ ინგლისის პარტიის მიმართ, საფრანგეთის პარტიის მიმართ და სხვ.

უდიდესმა ცვლილებებმა საერთო კრიზისის იმ ფორმაში, რომელსაც ამჟამად კაპიტალიზმი განიცდის, ცვლილებებმა მთელ რიგ სხვა დარგებში, რომლებზედაც მე ვილაპარაკე, გვაიძულა ჩვენ, კომინტერნის აღმასკომის საპროგრამო კომისია გაგვეფართოვებინა ჩვენი ამოცანები და არ დავკმაყოფილებულიყავით მხოლოდ ტეხნიკური და სარედაქციო ცვლილებების შეტანით წინანდელ პროექტში. რა საკვირველია, ეს საპროგრამო კომისიის კომპეტენციაში არ შედიოდა და ფორმალური თვალსაზრისით მან თავის უფლებებს გადააჭარბა. მაგრამ იმედი გვაქვს, რომ მე-VI მსოფლიო კონგრესი გაკიცხვას არ გამოგვიცხადებს, ვინაიდან საპროგრამო კომისიას, ჩემის შეხედულებით, საკმაოდ მაღალი მოტივები ჰქონდა, რომ ასე მოქცეულიყო. პირველი ჩემი ამოცანაა—ცხადვჰყო, რომ ის ცვლილებები, ძირითადი ცვლილებები მაინც, რომლებიც კომისიამ შეიტანა, სრულიად გამართლებულია მსოფლიო სიტუაციით და დაკავშირებულია მასთან.

ოქვენ ხედავთ, თუ რამდენად გაფართოვდა ჩვენი მოძრაობა. ჩვენ ამას მე-V მსოფლიო კონგრესზე ჯერ კიდევ ვერ ვხედავთ ან ვერ ვგრძნობდით ისე, როგორც ახლა. აილეთ, მაგალითად, თუნდაც ის, რომ ამ კონგრესზე პირველად არიან ასე ძლიერად წარმოდგენილი სამხრეთ-აფრიკის ქვეყნები, კოლონიალური ქვეყნები და სხვ. ეს ხომ ჩვენი დიდი ზრდის მაჩვენებელია და ამ დიდმა ზრდამ თავისი გამოხატულება უნდა ჰპოვოს პროგრამაში. ყველა ამ არგუმენტებმა ის გვიკარნახა, რომ ჩვენ დავყრდნობოდით კაპიტალიზმის აბსტრაქტულ ანალიზს და აღგვენიშნა მსოფლიო კაპიტალისტური მეურნეობის ანალიზი. ჩვენ ვლაპარაკობთ მსოფლიო მეურნეობის კონკრეტულად არსებული სისტემისა და მსოფლიო-ეკონომიური ურთიერთობის სისტემის შესახებ; ჩვენ ვლაპარაკობთ მსოფლიო იმპერიალიზმის სისტემის შესახებ,—ვაკეთებთ მის შინაგან წინააღმდეგობათა ანალიზს და ვიკვლევთ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის საკითხს არა მარტო „კატასტროფათა ზოგადი თეორიის“ აბსტრაქტულ ფორმულებში,—ჩვენ ნათელვყოფთ აგრეთვე კატასტროფათა ამ თეორიას, ვშლით შემადგენელ ნაწილებად ამ პროცესს და ვხატავთ მას კონკრეტულად როგორც მსოფლიო რევოლუციის პროცესს, რომელიც შესდგება სხვადასხვა შემადგენელი ნაწილისაგან. ვსთქვათ, ჩვენ განვიხილეთ კაპიტალიზმის კრიზისის პროცესი მის სავსებით აბსტრაქტულ ფორმაში, მაშინ ჩვენ ვერავითარ პასუხს ვერ მივიღებთ ისეთ საკითხებზე, როგორიც არის ეროვნულ აჯანყებათა როლის, კოლონიალური ომებისა და აგრარული რევოლუციების როლის საკითხი ჩამორჩენილ ქვეყნებში. საჭიროა თუ არა ამ საკითხებზე პასუხის გაცემა პროგრამის პროექტში? ვფიქრობ, რომ აუცილებლად საჭიროა. მოგაგონებთ, მაგალითად, ლენინის ბრწყინვალე პოლემიკას, რომელიც მიმართული იყო იუნიუსის—როზა ლიუქსემბურგის წინააღმდეგ და ლენინის წერილს კიევსკის წინააღმდეგ. რაში მდგომარეობდა ლენინის ერთ-ერთი გენიალური თვისება? სხვათა შორის მაში, რომ მან უკვე მსოფლიო ომის პერიოდში, მის დაწყებისასვე, საუცხოვოდ გაიგო რევოლუციონური პროცესის სხვადასხვაგვარობა და სხვადასხვა სახეობა, რაც ბევრ ჩვენგანს მაშინ ჯერ კიდევ არ ესმოდა. მან მაშინვე გაიგო, რომ ეს პროცესი არ იწარმოებს „წმინდა“ პროლეტარულ აჯანყებათა „წმინდა“ ფორმებში, არამედ პროლეტარულ რევოლუციათა ამ პროცესს გადაენასკვება ეროვნული ომებიც იმპერიალისტური მფლობელობის წინააღმდეგ და კოლონიალური აჯანყებანი. ლენინი ჯერ კიდევ მაშინ, მსოფლიო ომის დროს, აღნიშნავდა, რომ მსოფლიო ომი მიმდინარეობს არა როგორც ერთი მთლიანი აქტი, და იგი უნდა განვიხილოთ არა როგორც აბსოლუტურად ერთგვაროვანი რამ, არამედ იგი შესდგება სხვადასხვანაირი სოციალური ხასიათის სხვადასხვა შემადგენელი ნაწილებისაგან და მიმდინარეობს, როგორც ხანგრძლივი პროცესი, რომელიც ამასთანავე თანამიმდევრობით არ ვითარდება.

პროლეტარიატის ჰეგემონია რევოლუციის დროს სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მას, პროლეტარიატს, მისდევს მსოფლიო რევოლუციონურ პროცესთა მთელი ეს ჯაჭვი. მსოფლიო პროლეტარიატის წინაშე სდგას არა მარტო „წმინდა“ პროლეტარული რევოლუციების ჩატარების ამოცანა, არამედ ის ამოცანაც, რომ გაიყოლიოს გლეხობა და კოლონიალური ხალხები. მან, მაგალითად, მხარი უნდა დაუჭიროს ისეთ ნაციონალურს, თუნდაც ნაციონალისტურს ან კიდევ ბურჟუაზიული რევოლუციონერების უშუალო ხელმძღვანელობით მოწყობილ აჯანყებასაც კი, როგორც იყო, მაგალითად, ირლანდიის აჯანყება ბრიტანეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მსოფლიო ომის დროს. ეს ჩვენ არ გვესმოდა, მუშათა მოძრაობის ბევრ საუკეთესო რევოლუციონურ მოღვაწეებსაც, მაგალითად, როზა ლიუქსემბურგს, ეს არ ესმოდა. მაგრამ თუ ამ თემას, ე. ი. მსოფლიო რევოლუციონური პროცესის კონკრეტულ ახსნას, ასეთი განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ჩვენი უშუალო პრაქტიკისათვის, მაშინ შეგვიძლია თუ არა გვერდი აუქციოთ მას? არავითარ შემთხვევაში. ეს თემა არ შეიძლება გამოვაკლოთ ჩვენს პროგრამას. ჩვენ არ შეგვიძლია ვილაპარაკოთ მხოლოდ აბსტრაქტული რევოლუციისა და აბსტრაქტული კაპიტალისტური საზოგადოების შესახებ,—ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ მსოფლიო რევოლუციის—არა ზოგადად მსოფლიო რევოლუციის, არამედ მსოფლიო რევოლუციის შესახებ მისი შინაგანი მრავალსახეობის თვალსაზრისით, უაღრესად სხვადასხვაგვარ ფორმათა თვალსაზრისით, ხოლო ეს ფორმები, ერთად შეჯამებულნი, ჰქმნიან მსოფლიო რევოლუციის საერთო პროცესს. მსოფლიო რევოლუციის პროცესის შესახებ ჩვენ უნდა ვილაპარაკოთ გაცილებით უფრო კონკრეტულად და აღვნიშნოთ მისი შინაგანი სხვადასხვაგვარობა. ამგვარად, ანალიზს უნდა ჰქონდეს უფრო კონკრეტული ხასიათი და ამავე დროს იგი დაკავშირებული უნდა იყოს მსოფლიო მოტივთან. ამიტომაც საჭირო იყო ხელახლად დამუშავება იმ თავისა, რომელიც შეეხება მსოფლიო კომუნიზმს, ჩვენ საბოლოო მიზანს. თამამად ვიტყვი, რომ ჩვენ აქ საკითხს ვაყენებთ ჩვენი სამომავლო მსოფლიო გეგმის შესახებ. ჩვენ სრულიად აშკარად ვამბობთ: ახლა ლაპარაკი ეხება არა კომუნიზმს, როგორც აბსტრაქტულ რამეს. არა, ახლა ჩვენ მივისწრაფვით, რომ ნამდვილად დაუმორჩილოთ ჩვენს გავლენას მთელი მსოფლიო, ხელმძღვანელობა გაუწიოთ მას, გავიყოლიოთ ჩვენი საბოლოო მიზნისაკენ. ეს საბოლოო მიზანი გვეხატება უკვე უფრო კონკრეტული სახით.

იმპერიალიზმის უტოპიური გეგმების თანახმად სისხლითა და რკინით უნდა შეიქმნას ჯერ არ ნახული მსოფლიო ტრესტი. ჩვენ ამ გეგმების პასუხად ვაცხადებთ: ჩვენს ამოცანად ვისახავთ იმას, რომ პროლეტარული რევოლუციების, მსოფლიო რევოლუციის გზით დავეუფლოთ მთელ მსოფლიოს და ისე გავანაწილოთ მთელი მსოფლიოს საწარმოო ძალები, რომ მათ განვითარება შეეძლოთ უაღრესად მძლავრი ტემპით. ამიტომ ჩვენ იმ თავში, რომელშიაც ლაპარაკია მსოფლიო კომუნიზმის შესახებ, გაცილებით უფრო კონკრეტულად ვახასიათებთ ამ ჩვენი საბოლოო მიზნის თავისებურებებს, რაც ისევ და ისევ გვავალებს, რომ ხაზი გაუსვათ მსოფლიო მოტივს. სწორედ ასევე ვიქცევით მაშინ, როდესაც ვლაპარაკობთ სხვადასხვა „გარდამავალი პერიოდების“ შესახებ ამა თუ იმ სათანადო ტიპის ქვეყნებში, შემდეგ ჩვენ ასევე ვიქცევით იმ თავებში, რომლებიც შეეხებიან ჩვენი პარტიების სტრატეგიასა და ტაქტიკას.

პროგრამის იდეოლოგიური საფუძველი—დიალექტიკური მატერიალიზმი

ამხანაგებო! ჩვენი პროექტის ერთ-ერთი ძირითადი და დამახასიათებელი თვისება იმაში მდგომარეობს, რომ იგი აშკარად აცხადებს, რომ კომუნისტური ინტერნაციონალი სარგებლობს მარქსისა და ენგელსის დიალექტიკური მატერიალიზმის რევოლუციონური მეთოდით, იცავს მას და ეწევა მის პროპაგანდას. ჩვენი პროგრამის პროექტს საფუძვლად უდევს კონკრეტული ანალიზი, გაკეთებული დიალექტიკური მატერიალიზმის საფუძველზე, როგორც ისეთი მეთოდის, ისეთი განსაზღვრული მსოფლმხედველობის საფუძველზე, რომელიც წამოაყენეს მარქსმა და ენგელსმა. ამ პროექტში ჩვენ უფრო გარკვევით გაუსვით ხაზი იმას, რომ ჩვენ ვემხრობით რევოლუციონურ მარქსიზმს. ჩვენს ეპოქაში საჭიროა მკაფიოდ იქნეს აღნიშნული ჩვენი პროგრამის ეს იდეოლოგიური საფუძველი. მე უკვე აღვნიშნე, რომ სოციალ-დემოკრატიული პარტიები იდეოლოგიურად განიცდიან ულმობელი გადაგვარების პროცესს, ისინი უფრო და უფრო ბურჟუაზიული პარტიები ხდებიან. ეს ყოველ ეჭვს გარეშეა. გერმანიის სოციალ-დემოკრატიამ, სოციალ-დემოკრატიული პარტიების ამ კლასიკურმა წარმომადგენელმა, რომელიც დღემდე თავს იწონებდა მარქსისტული ფრაზეოლოგიით, თუმცა მისმა

ამგვარად, დიალექტიკურ მატერიალიზმის მეთოდი, სოციალიზმის ისტორიული დასაბუთება, მოძღვრება რევოლუციის შესახებ, მოძღვრება პროლეტარიატის დიქტატურის შესახებ,—ყველა ეს ისეთი მომენტებია, რომლებიც მჭიდროთ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომლებიც შეადგენენ ჩვენი პროგრამის პროექტის იდეოლოგიურ საფუძველს.

კონგრესის წინაშე წარმოდგენილი პროგრამის პროექტს, წინანდელ პროექტებთან შედარებით, აქვს ერთი სპეციფიური თავისებურებაც. ჩვენ ამ პროექტში განსაკუთრებით ნათლად გაუსვით ხაზი მსოფლიო მოტივს, რომელიც განსაზღვრავს პროგრამის მთელ არქიტექტურას და რომელსაც პროგრამის ყოველ თავში ვხედავთ. ეს მსოფლიო მოტივი თავის ბეჭედს ასვამს კაპიტალიზმის საერთო კრიზისის ანალიზსაც, ჩვენი სტრატეგიის და ტაქტიკის შემუშავებასაც და ჩვენს პროგრამულ მოთხოვნილებებსაც. ეს ჩვენ ჩავიდინეთ იმიტომ, რომ ჩვენი მოძრაობა და ჩვენი პარტიების მოთხოვნილებანი გაიზარდა. ჩვენ ეხლა უკვე აღარ შეგვიძლია დავკმაყოფილდეთ პროგრამის დამუშავების წინანდელი მეთოდებით. წინეთ ყოველი პარტიის პროგრამის ყოველი პროექტი შემუშავდებოდა ამგვარად:

სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხები

სტრატეგიისა და ტაქტიკის საკითხს დიდი მნიშვნელობა აქვს და იგი ორგანიულად დაკავშირებულია ჩვენს მიმდინარე ტაქტიკურ ამოცანებთან. დღის წესრიგის პირველი მუხლით ჩვენი თეზისების განხილვის დროს აღვნიშნეთ, რომ ყველა ჩვენმა პარტიამ სხვადასხვა შეცდომა ჩაიდინა საერთაშორისო კამპანიების, მეტადრე ჩინეთის რევოლუციის სასარგებლოდ ჩატარებული კამპანიის დროს.

საკითხის ასე დასმა იმას ნიშნავს, რომ ჩვენ უკვე პრაქტიკულ ამოცანად დავისახეთ ჩვენი ბრძოლის კოორდინაციის საკითხი

შაობის საკმაოდ მნიშვნელოვანი გამოცდილება, რომელიც დააგროვა ჩვენმა პარტიამ, უნდა გამოიყენონ სხვა პარტიებმაც. ამბობენ: თქვენს გამოცდილებას საერთაშორისო მნიშვნელობა აქვს, გამოიყენეთ იგი იმ თავში, რომელიც „სამხედრო კომუნიზმსა“ და „ახალ ეკონომიურ პოლიტიკას“ ეხებაო. რა თქმა უნდა, ჩვენ ასე მოვიქეცით. ჩვენი რუსული გამოცდილების ან, უკეთ რომ ვსთქვათ, საბჭოთა გამოცდილების მიხედვით, ჩვენ უფრო დაწვრილებით ვაშუქებთ, მაგრამ ამავე დროს დიდი სიფრთხილითაც, მრავალ პრობლემას, მაგალითად, ახალი ეკონომიური პოლიტიკის პრობლემას, „სამხედრო კომუნიზმის“ პრობლემას და სხ. ამას მე არ უარვყოფ. მაგრამ არსებობს სპეციფიური პრობლემები და სპეციფიური გამოცდილება, რომელიც ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა გადავიტანოთ უშუალოდ სხვა ქვეყნებში. მაგრამ აბსოლუტურად აუცილებელია გავაცნოთ მთელი ქვეყნის მუშათა კლასს ჩვენი ქვეყნის საერთო გამოცდილება ზოგადად. საბჭოთა კავშირის როლის საკითხის გარკვევა თანამედროვე საერთო სიტუაციაში, სხვა ქვეყნების პროლეტარიატისა და კოლონიალურ მოძრაობისადმი საბჭოთა კავშირის ვალდებულებათა და საბჭოთა კავშირის მიმართ სხვა ქვეყნების პროლეტარიატის ვალდებულებათა საკითხის გარკვევა—აბსოლუტურად აუცილებელია. როგორ შეგვიძლია ამ საკითხის მიჩქმალვა და მასში დიპლომატიური ხასიათის მოსაზრებათა შეტანა, თუ იგი უდიდეს გარკვეულობას მოითხოვს? ყველა ეს მოსაზრება გვაიძულებს სპეციალური კარი უძღვნათ საბჭოთა კავშირის პრობლემას.

ამხ. ნ. ბუხარინი

კოლონიალური პრობლემა

კოლონიალური პრობლემის ხაზგასმით აღნიშვნაც, გაცილებით უფრო ხაზგასმით, ვიდრე პროგრამის წინანდელ პროექტებში, აუცილებლობითაა გამოწვეული. ამასთან დაკავშირებით მე მინდოდა მეთქვა შემდეგი. ჩვენ

მარქსისა და ლენინის დროშით

დღეს ამხ. ბუხარინის მოხსენებით ჩვენ ვიწყებთ ანგარიშების ბეჭდვას იმ კამათის შესახებ, რომელიც სწარმოებდა პროგრამის გარშემო კომინტერნის მეVI კონგრესზე. ჩვენ ყველა ამხანაგების ყურადღებას მივაქცევთ ამ განსაკუთრებული, ისტორიულად იშვიათი მნიშვნელობის საპროგრამო დებატებს.

პროგრამის საკითხი მართლაც ღერძია კონგრესზე. ის ფაქტი, რომ მე-VI კონგრესმა ერთხმად მიიღო მსოფლიო კომუნისტური პროგრამა, მართლაც შევა ისტორიაში, როგორც მნიშვნელოვანი თარიღი. ნუ დაგვავიწყდება, რომ საპროგრამო საკითხები უკვე ირჩეოდა სამჯერ—კომინტერნის მე-IV, მე-V და მე-VI კონგრესებზე. ნუ დაგვავიწყდება, რომ პროგრამის დამზადება დაიწყო ჯერ კიდევ ვლადიმირ ილიჩის დროს, მისი უახლოესი მონაწილეობით, და რომ ამ უდიდესი, მსოფლიო მნიშვნელობის დოკუმენტის განხილვაში ახლანდელ მე-VI კონგრესზე მეტად მხურვალე და აქტიურ მონაწილეობას იღებდა მრავალი დელეგატი. მათ კარგად ესმოდათ დიდი პასუხისმგებლობა იმ დოკუმენტისათვის, რომელიც ამ სიტყვის ნამდვილი მნიშვნელობით ეპოქასა ჰქმნის.

კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა მიღებულია, ვინაიდან უკვე მომწიფდა ისტორიულად გადაუდებელი საჭიროება და მომწიფდნენ ობიექტიური პირობები იმისათვის რომ, ბოლოს, პროგრამა ნათლად და მკაფიოდ ჩამოყალიბებულიყო. მშრომელ კაცობრიობას, რომელიც იმპერიალისტური დესპოტიზმის წყეული ჯაჭვების გაწყვეტისაკენ მიილტვის, პროგრამის სახით უნდა მიეცეს მთლიანი გზის მაჩვენებელი შუქურა. ლენინსა და კლასთა ბრძოლების მკაცრ პრაქტიკას უნდა ესწავლებია და გვასწავლა კიდეც ყველა კონტინენტისა და ხალხების რევოლუციონური მოძრაობის განხილვა მსოფლიო გეგმით.

ჩვენ ყველანი, შრომის მსოფლიო არმიის მუშაკნი, ვგრძნობთ თავს იმ მთლიანი ჯაჭვის რგოლებად, რომელიც გარს შემორტყმია მთელს დედა-მიწას. ჩვენთვის მარტო ლამაზი სიტყვები არ არის ის ფაქტი, რომ ჩვენ ჩვენი თავი მიგვაჩნია მებრძოლ ერთეულებად, მსოფლიო რევოლუციონური არმიის ცალკე რაზმებად. ჩვენ ვიბრძვით მსოფლიო კომუნიზმისათვის, მსოფლიო პროლეტარულ დიქტატურისათვის და იმპერიალიზმის სრულ დამარცხებისათვის საერთაშორისო მასშტაბით. ჩვენი მიზნები მთლიანია, ჩვენი ბრძოლა ყველა ქვეყანაში გაცელენთილია მტკიცე რევოლუციონური სულით. ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა განვაზოგადოთ და ჩამოვაყალიბოთ კომუნისტური პარტიების რევოლუციონური გამოცდილება ერთ მთლიან პროგრამაში.

კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამა შედგენილია სასტიკი ორთოდოქსალური რევოლუციონური მარქსიზმისა და ლენინიზმის მიხედვით. ამ მხრივ ეს პროგრამა წარმოადგენს მარქსისა და ლენინის იდეურ მემკვიდრეობას. სწორედ ამიტომ ჩვენ ეჭვი არ შეგვდის იმაში, რომ მას მიეცემა მეტად მოქმედი ხასიათი, ის გადაიქცევა პირველხარისხოვან იარაღად რევოლუციონური რაზმების უფრო მეტი გაფართოვებისა და გამტკიცებისათვის, ჩვენი ყველა ჯურის მტრების გამანადგურებელ ბრძოლისათვის, იმ მტრების, რომელნიც სხვადასხვა დროშით და პაროლით გვევლინებიან. ამიტომ ჩვენ არ ვმალავთ და მთელი ქვეყნის წინაშე აშკარად ვაცხადებთ, რომ ჩვენი პროგრამა არის პროგრამა მებრძოლი მარქსიზმისა და ლენინიზმის, ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ მივილტვით „მსოფლიოს გარდაქმნისაკენ" (მარქსი) მშრომელთა ინტერესებისათვის, ჩვენ გვინდა მოვიპოვოთ კომუნიზმის გამარჯვება (ის ციდან არ ჩამოვარდება), გვინდა ვსძლიოთ ყველა ის, ვინც ამ ჩვენს განზრახვებს ეწინააღმდეგება.

კომინტერნის პროგრამაში ხაზგასმით აღნიშნულია კომუნისტური პარტიების ძირითადი პრინციპები და მიზნები. მასში მოკლედ მოცემულია იმპერიალიზმისა და მის წინააღმდეგობათა ანალიზი, კლასთა ბრძოლისა, პროლეტარული რევოლუციისა და პროლეტარიატის დიქტატურის თეორია. გარკვეულია იმპერიალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალი პერიოდის შინაარსი და სოციალიზმის მშენებლობის ამოცანები, მოცემულია უმაღლესი განზოგადოება საბჭოთა კავშირის გამოცდილებისა, დასახულია ქვეყნების ძირითადი ტიპები, გარკვეული პრინციპიალური დამოკიდებულება კომპარტიებისა, სხვა პარტიებისა და მიმდინარეობისადმი. ნაჩვენებია კომუნისტური სტრატეგიისა და ტაქტიკის პრინციპიალური საფუძვლები და სხვ.

მთელი ქვეყნის რევოლუციონური მუშაკნი და პირველ რიგში, რასაკვირველია, „ავანგარდის" მებრძოლნი სერიოზულად უნდა შეუდგნენ ჩვენი პროგრამის ყველა დებულების ყურადღებით შესწავლას.

რასაკვირველია, კომინტერნის პროგრამას არაფერი საერთო არა აქვს იმ ოპორტუნისტულ აბდაუბდასთან, რომელსაც სხვადასხვა სახით გვაწვდიან, როგორც „სოციალისტური" რეფორმისტული პარტიების პროგრამას. ჩვენი პროგრამა მარქსისტულია, რევოლუციონურია. მათი პროგრამა ანტიმარქსისტულია, კონტრ-რევოლუციონური. ჩვენ გვაქვს აშკარა, ნათელი და მთლიანი ინტერნაციონალური მიდგომა, ჩვენი პროგრამა სხივთა მძლავრი ძნაა, რომელიც რევოლუციონური მშრომელის ბრძოლის გზას აშუქებს. ცრუ-სოციალისტებს, რასაკვირველია, შეუძლიათ ფორმალურად ამა თუ იმ სოციალისტური „მეცნიერის" ესა თუ ის ოპორტუნისტული ფაბრიკატი გაასაღონ „ინტერნაციონალურ პროგრამად", „სახარებად", „კატეხიზმად" საერთაშორისო სოციალიზმისა. მაგრამ წინააღმდეგობანი სხვადასხვა ქვეყნის სოციალისტებს შორის (ლაქიური წინააღმდეგობანი, რომელნიც ასახავენ სხვადასხვა ქვეყნის ბურჟუაზიის ბატონურ წინააღმდეგობებს) იმდენად დიდია, რომ სინამდვილეში არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს პრაქტიკულად მთლიანი ინტერნაციონალური პროგრამა.

ჩვენი პროგრამა ერთი, მთლიანი გრანიტის კლდეა. მათი „პროგრამა" ფილისტერულ იდეათა, მიმდინარეობათა და ცალკე აზრთა ცომია, რომელიც იშლება, მრავალფეროვანი თიხაა, რომლითაც ისინი გულმოდგინედ ცდილობენ ამოლესონ კაპიტალისტური წყობილების ყველა „ხვრელი" და წინააღმდეგობა. დეე ჩვენმა მტრებმა რამდენიც სურდეთ იხმაურონ „დოგმაზე" და „კანონზე", რომელსაც, ვითომდა, ჩვენი პროგრამა შეიცავს. მეცნიერული სოციალიზმის დოგმასა და კანონზე ყვირილით რამდენიმე ათეული წლის განმავლობაში ქვეყანას აყრუებდნენ სოციალ-რეფორმიზმის ყვავები და კაჭკაჭები. მათი ნაქები „თავისუფლება" მარქსის მოძღვრებისაგან, რევოლუციონურ მეცნიერულ მსოფლმხედველობისაგან—სინამდვილეში ოპორტუნისტული მონობაა მუშებისათვის. მათ „თავისუფლებებს" გარშემო მრავალი ვერსის მანძილზე მძორისა და შმორის სუნი უდის.

ჩვენ ვიცით, რომ კომუნისტური ინტერნაციონალის პროგრამის მიღებას კბილების ღრჭენით შეხვდებიან იმპერიალისტების ბანაკში. ბურჟუაზიამ და მისმა სოციალ-თანამეხუფრეებმა კარგად იციან, რომ პროგრამა არის არა დოკუმენტი სექტისათვის, არამედ ბრძოლის ყიჟინა მრავალი მილიონი ადამიანისთვის. ჩვენი ზოგიერთი კლასობრივი მტერი უკვე ბუტბუტებს, რომ პროგრამის პროექტი „მოხერხებულად და ოსტატურადაა შედგენილი". ამიტომ ისინი აამუშავებენ მთელ თავიანთი ცილისწამების იარაღს, რომ გაჭორონ და დაამცირონ მსოფლიო პროლეტარიატის რევოლუციონური პროგრამა.

მაგრამ ამით ისინი ვერ შესძლებენ ჩვენი პროგრამის აუცილებელი გამარჯვების შეჩერებას. კომინტერნის პროგრამა ანთებული ჩირაღდანი გახდება, რომლითაც წინ გასწევენ ასეული მილიონი ადამიანები. ჩვენი პროგრამის დროშა მარქსისა და ლენინის დროშაა. ამ დროშის ქვეშ ჩვენ გავიმარჯვებთ.

„პრავდა", 17 აგვისტო.

განსაკუთრებული თემა, რომელიც ხშირად იყო განხილული და გადმოცემული და რომელსაც დღესაც ხშირად ეხებიან როგორც სათანადო რეზოლუციებში, ისე ჩვენი პროგრამის პროექტში.

მაგრამ ის თეზისი, რომლის გადაშლასაც მე ეხლა ვცდილობდი, დღემდე არ არის მკაფიოდ დამუშავებული და ჩვენ ვალდებულნი ვიყავით უფრო ძლიერად გაგვესვა მისთვის ხაზი ჩვენი პროგრამის პროექტში.

ანალიზი თეზისისა კოლონიების არაკაპიტალისტური განვითარების შესაძლებლობის შესახებ მჭიდროდაა დაკავშირებული იმ გარემოებასთან, რომ ჩვენ ამჟამად კოლონიალურ პრობლემას გაცილებით უფრო მწვავედ ვსვამთ, ვიდრე უწინ, ეს კი თავის მხრივ დაკავშირებულია იმასთან, რის შესახებაც ლაპარაკობდა ლენინი: საერთაშორისო კაპიტალის წინააღმდეგ მიმართული პროლეტარიატის ბუმბერაზი მსოფლიო ბრძოლის ძლევამოსილი შედეგი განისაზღვრება კოლონიების ასეული მილიონიანი მოსახლეობის ჩაბმით ამ ბრძოლაში. ეს ბუმბერაზი მასიური ძალაა და პროლეტარიატის ნაწილობრივ გლეხობის ეს კოლოსალური რეზერვები მსოფლიო ისტორიული თვალსაზრისით წარმოადგენენ გადამწყვეტ ძალას. თუ ჩვენ ვლაპარაკობთ პროლეტარიატისა და მისი ხელმძღვანელი როლის შესახებ მსოფლიო რევოლუციაში, უნდა ავღნიშნოთ, რომ ერთ-ერთ ძირითად ამოცანას შეადგენს მსოფლიო პროლეტარიატის მხრივ მსოფლიო გლეხობის ხელმძღვანელობის პრობლემის გადაჭრა. აი რატომ სდგას ასე მწვავედ კოლონიალური პრობლემა, აი რატომ უნდა გავუსვათ ხაზი ეგოდენი სიმტკიცით მის მნიშვნელობას.

ჩვენ განსაკუთრებულად უნდა ავღნიშნოთ ის გარემოება, რომ მსოფლიო რევოლუციის პროცესში სწორედ შეთანხმება მსოფლიო პროლეტარიატის აჯანყებისა კოლონიალური გლეხობის რევოლუციებთან ჩვენი გამარჯვების მნიშვნელოვანი ფაქტორი და უდიდესი თავდებია.

კაპიტალისტური სისტემის კრიზისი

მე მინდა რამდენიმე სიტყვით შევეხო კაპიტალიზმის განვითარების კანონებს და კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის საკითხს. ვეცდები მოკლედ ვილაპარაკო. უკვე აღვნიშნე, რომ ჩვენ, მარქსის, ენგელსის და ლენინის ძირითადი შეხედულებების თანახმად, სოციალიზმი გვესმის, როგორც უაღრესი მნიშვნელოვანი ბუნებრივი მოვლენა.

კაპიტალიზმის განვითარების კანონების დახასიათება წარმოადგენს ჩვენი პროგრამის პროექტის პრინციპიალური ნაწილის ყველაზე უფრო მნიშვნელოვან მომენტს. ჩვენ ვასაბუთებთ „კატასტროფების თეორიას" კაპიტალისტური სისტემის წარმოების პროცესისა და წინააღმდეგობათა ანალიზის საფუძველზე. ჩვენ ისე არ ვასურათებთ ჩვენს პროექტში საქმეს, თითქოს კაპიტალიზმი თანდათან სუსტდებოდეს, ხოლო პროლეტარიატი უფროდაუფრო ძლიერდებოდეს. თუმცა კაპიტალიზმის უკანასკნელ ფაზას, იმპერიალისტურ ფაზას, ეტყობა შინაგანი გახრწნის უფროდაუფრო ძლიერი სიმპტომები, თუმცა კაპიტალისტური სისტემის ფარგლებში უფროდაუფრო ძლიერდებიან პარაზიტული ტენდენციები, მაინც მრავალ კაპიტალისტურ ქვეყანაში, განსაკუთრებით ამ უკანასკნელ დროში, ვითარდებიან ძლიერი საწარმოო ძალები და ძლიერდება ტეხნიკა. ჩვენ დარწმუნებულნი ვართ, რომ კაპიტალიზმს მოელის კატასტროფა მთელ ფრონტზე, მაგრამ არა იმიტომ, რომ კაპიტალიზმი სუსტდება თავის ყველა ნაწილში, არამედ იმიტომ, რომ უდიდესი წინააღმდეგობანი—შინაგანი და საგარეო წინააღმდეგობანი, წარმოშობილნი კაპიტალიზმით მთელი თავისი განვითარების პროცესში და ერთმანეთში შეკავშირებულნი,—გამოიწვევენ უფრო და უფრო ძლიერ შეტაკებებს და კონფლიქტებს.

ანტაგონისტურ ძალთა ამ შეტაკებების დროს აფეთქდება და დაიღუპება საზოგადოების კაპიტალისტური ფორმა.

კატასტროფის თეორიის,—როგორც თვით კაპიტალისტურ სისტემაში წინააღმდეგობათა მუდმივი განახლების შედეგის, ასეთ საერთო დახასიათებასთან დაკავშირებულია დღევანდელი სიტუაციისა და კაპიტალისტური სისტემის საერთო კრიზისის ანალიზი. საჭირო არ არის ამ საკითხზე შეჩერება, ვინაიდან ეს თემა სავსებით ამოიწურა დღიური წესრიგის პირველი პუნქტის განხილვის დროს. მე მაინც მსურს შევჩერდე ზოგიერთ სადავო მომენტზე, რომელნიც დაკავშირებულნი არიან კაპიტალისტური სისტემის განვითარების კანონების დახასიათებასთან.

სადისკუსიო ლიტერატურაში პროგრამის შესახებ, უპირველესყოვლისა, იერიში მიიტანეს „ფინანსიური კაპიტალის" ცნებაზე. ზოგიერთი ამხანაგი ბრალს გვდებდა იმაში, რომ ვითომ ჩვენ ეს თეორია გადმოვიღეთ ჰილფერდინგისაგან და ამიტომ ჩვენმა პროექტმა თითქო სოციალ-დემოკრატიული, „ჰილფერდინგისეური" ხასიათი მიიღო. მე ვფიქრობ, რომ ეს არგუმენტები არ არის სწორი. ფორმალურად რომ ვსთქვათ, თუ ჰილფერდინგი ლაპარაკობს ფინანსიურ კაპიტალზე, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას არც ერთი სწორი აზრი არ გამოუთქვამს ამ საკითხზე. სოციალისტი მწერლებიც, განსაკუთრებით ძველი, ომის წინადროინდელი სოციალისტი მწერლები, გამოსთქვამდნენ ზოგჯერ საკმაოდ სწორ აზრებს. ყველამ იცის, თუ როგორ აფასებდა ლენინი კაუცკის ისეთ, სხვათა შორის, არა უნაკლო ბროშურას, როგორიც არის „გზა ხელისუფლებისაკენ". ყველასათვის ცნობილია აგრეთვე ლენინის აზრი ჰილფერდინგის „ფინანსიური კაპიტალი"-ს შესახებ. თუ გერმანიის წრეებში ხუმრობით ამბობენ, რომ ჰილფერდინგი ფინანსიური კაპიტალის ხარჯზე სცხოვრობსო. ეხლა ამ გამოთქმას სულ სხვა აზრით ხმარობენ, სახელდობრ, იმ აზრით, რომ ფინანსიური კაპიტალის მაგნატების ხარჯზე იმყოფებაო. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ჰილფერდინგი თავისი წიგნის (ფინანსიური კაპიტალის შესახებ) ბოლოში ლაპარაკობს პროლეტარულ დიქტატურაზე, რაც შეეხება ზოგიერთი ამხანაგის არგუმენტაციას. ეს არგუმენტაცია მდგომარეობს იმაში, რომ ფინანსიური კაპიტალის ცნება ნიშნავს ბანკების ბატონობას მრეწველობაზეო. ამგვარად, ფინანსიური კაპიტალის ცნებაში, მათი აზრით, იგულისხმება არა საბანკო კაპიტალის გაერთიანება სამრეწველო კაპიტალთან, არამედ საბანკო კაპიტალის ბატონობა სამრეწველო კაპიტალზე. ეს არ არის ფინანსიური კაპიტალის სწორი გაგება. ფინანსიური კაპიტალი არის კაპიტალის ისეთი ფორმა, როცა ხდება საბანკო კაპიტალის შეზრდა ფინანსიურ კაპიტალთან. სწორედ ასეთი და არა სხვაგვარი გაგება ფინანსიური კაპიტალისა არის ჩვენი ანალიზის გამოსავალი წერტილი.

მეორე საბუთი, რომელიც პირველთან არის დაკავშირებული, ამბობს: მარქსმა, განსაკუთრებით „კაპიტალი"-ს მეორე ტომში ნათლად გვიჩვენა, რომ კაპიტალის ბრუნვის მთელი პროცესის საფუძველი არის წარმოება და რომ კაპიტალის ძირითადი ფორმა, მაშასადამე, არის სამრეწველო კაპიტალიო. ლაპარაკი ბანკების ჰეგემონიაზე ნიშნავს იმის უარყოფას, რომ წარმოება არის მთელი ბრუნვის პროცესის უმთავრესი საფუძველიო. მთელი ეს არგუმენტაცია არ არის სწორი, უპირველეს ყოვლისა, იმიტომ, რომ მას საფუძვლად უდევს ფინანსიური კაპიტალის არასწორი გაგება. ფინანსიური კაპიტალის განმარტებიდან ამოგლეჯილია ყველაზე უფრო არსებითი მომენტი: საბანკო კაპიტალის შეზრდა სამრეწველო კაპიტალთან. მაგრამ მაშინაც კი, თუ გამონახული იქნება ფინანსიური კაპიტალის სწორი განმარტება, ოპონენტების არგუმენტაცია მაინც არ იქნება დამაჯერებელი. საპროგრამო კომისიაში მე უკვე აღვნიშნე შემდეგი: ავიღოთ პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფო ანუ სისტემა სახელმწიფო კაპიტალიზმისა ბურჟუაზიულ საზოგადოებაში. სახელმწიფო არის ზედნაშენი, მაგრამ სახელმწიფო აწესრიგებს წარმოების პროცესს. თქმა იმისა, რომ როგორ შეუძლია სახელმწიფოს მოაწესრიგოს წარმოება, თუ ის თვითონ არის ზედნაშენი, ნიშნავს საკითხის არა მარქსისტულად დასმას. ასეთი მსჯელობიდან გამომდინარეობს ის, რომ ვინაიდან სახელმწიფო არის ზედნაშენი, ხოლო წარმოება—საფუძველი, ამიტომ შეუძლებელია საერთოდ ლაპარაკი სახელმწიფო კაპიტალზე. ეს არგუმენტი აშკარად შეუსაბამოა. წარმოება არის ბაზისი, მაგრამ არსებობს სპეციფიური ფორმა, რომელშიაც სახელმწიფო ზედნაშენი რჩება ეკონომიურ ორგანიზაციად. ასეთი ორიგინალური ფორმა არსებობს და მას შეუძლიან იარსებოს. ასეთი მდგომარეობაა პროლეტარიატის დიქტატურის დროს. როგორია პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი ნიშნები? პროლეტარიატის დიქტატურის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ სახელმწიფო ორგანიზაცია უშუალოდ არის დაკავშირებული საზოგადოების ბაზისთან—წარმოებასთან. ამასთანავე ეკონომიური ორგანიზაცია არის სახელმწიფო აპარატის შემადგენელი ნაწილი. ამგვარად, „მეორეული" (ზედნაშენი) აწესრიგებს „პირველადს" (ბაზისი) და არაფერი საშინელი ამაში არ არის. მაშასადამე, მთელი არგუმენტი ბანკების მომწესრიგებელი როლის „შეუძლებლობის" შესახებ, ამით გაქარწყლებულია.

ეხლა მესამე არგუმენტის შესახებ. ამბობენ, ეხლა ისეთი მდგომარეობაა, რომ ტრესტები ან სამრეწველო წარმოებანი საერთოდ ხშირად აწვდიან ერთმანეთს ფინანსებს, აქვთ საკუთარი ბანკებიო და სხვა. მაგრამ ეს არგუმენტი სწორედ ჩვენს აზრს ადასტურებს. რას ნიშნავს ტრესტების მიერ ერთმანეთისათვის ფინანსების მიწოდება? ეს იმას ნიშნავს, რომ ტრესტები ნაწილობრივ ასრულებენ ბანკების ფუნქციებს. ამით მხოლოდ ხაზი ესმება „შეზრდის" ობიექტიურ აუცილებლობას და არა პირიქით. პირდაპირ სასაცილოა მტკიცება იმისა, რომ ფინანსიური კაპიტალი არავითარ როლს არ თამაშობს: ჩვენს თვალწინ ხომ არსებობს ისეთ ქვეყანა, როგორიც არის გერმანია, რომელიც ამერიკის კაპიტალის ხარჯზე სცხოვრობს და მნიშვნელოვან წარმატებებს აღწევს, ყველა ფაქტი ჩვენს დებულებებს ამტკიცებს. ეს ფინანსიური კაპიტალის შესახებ.

ეხლა რამდენიმე სიტყვა კრიზისების თეორიაზე. ჩვენს სადისკუსიო ლიტერატურაში და სხვადასხვაგვარ შესწორებებში, მაგალითად, ამხ. ტალჰეიმერის შენიშვნებში, ნათქვამია, რომ კაპიტალიზმის საერთო კრიზისის დახასიათება, რომელიც პროგრამაშია, შეიცვალოს სხვაგვარი დახასიათებით. ამ წინადადების აზრი ის არის, რომ შესუსტებულ ან მოსპობილ იქნას დისპროპორციონალობის მომენტი და წამოყენებულ იქნას „საერთო ჭარბი" წარმოება. მე მინდა რამდენიმე სიტყვა ვსთქვა ამის შესახებ.

ამხ. ტალჰეიმერი გვეუბნება, რომ ავღნიშნოთ ჭარბი წარმოება, როგორც კაპიტალისტური კრიზისების ძირითადი გამოხატულება; ამის შესახებ პროგრამაში არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამიო. მე ვფიქრობ, რომ ეს მტკიცება არ შეეფერება სინამდვილეს. ჩვენს ფორმულაში კაპიტალიზმის ეს წინააღმდეგობა, რომელიც გამოიხატება ჭარბ წარმოებაში, ხაზგასმით არის აღნიშნული იქ, სადაც ვლაპარაკობთ სამომხმარებლო უნარსა და საწარმოო ძალთა ზრდის შორის არსებულ წინააღმდეგობაზე.

სხვანაირად ყოვლად შეუძლებელია აგვეხსნა წინააღმდეგობა სამომხმარებლო უნარსა და საწარმოო ძალთა ზრდის შორის. როცა ვლაპარაკობთ წინააღმდეგობაზე საწარმოო ძალთა და ბაზრის ტევადობის შორის, ჩვენ სწორედ ამით ვლაპარაკობთ საერთო ჭარბ წარმოებაზე. შეიძლება ჩვენ არ გვიხმარია ეს სიტყვა, მაგრამ ასეთი აზრია გატარებული. არაფერი გვაქვს საწინააღმდეგო, რომ აღნიშნული სიტყვა შევიტანოთ, მაგრამ გადაჭრით უარვყოფ საყვედურს იმის შესახებ, თითქოს ასეთი აზრი არ გვქონდეს. არსებითად რომ ვსთქვათ, ამხანაგებს, რომლებიც აკრიტიკებენ ჩვენს ფორმულას, აქვთ ტენდენცია—გვერდი აუხვიონ წარმოების დარგებს შორის არსებული დისპროპორციის საკითხს და მყიდველობითი უნარისა და საწარმოო ძალთა ზრდის შორის არსებული ურთიერთობის საკითხს. მე საშუალება არა მაქვს დაწვრილებით შევჩერდე ამ საკითხზე, მაგრამ საპროგრამო კომისიაში დაწვრილებით შევეხე ამ საკითხს და ვსთხოვ ამხანაგებს გაეცნონ კომისიის ოქმს. კიდევ რამდენიმე სიტყვა ამ საკითხზე. რაც შეეხება კავშირს ორივე ამ კატეგორიის წინააღმდეგობებს შორის (წინააღმდეგობანი წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის, ერთის მხრით, და წინააღმდეგობანი საწარმოო ძლიერებასა და სამომხმარებლო უნარს შორის, მეორეს მხრით), ჩემის აზრით, ეს ორი მომენტი შეიძლება გავაერთიანოთ. საქმე იმაშია, რომ დისპროპორცია მყიდველობითი ძალისა და საწარმოო ძალთა ზრდის შორის, და დისპროპორცია წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის გამოხატავს მხოლოდ გეგმიანობის უქონლობას კაპიტალისტურ მეურნეობაში.

თუ, მაგალითად ავიღებთ სახელმწიფო კაპიტალიზმს, ამ სიტყვის ისეთი მნიშვნელობით, როგორც დასავლეთ-ევროპაში ხმარობენ, მაშინ კრიზისები ასეთი სისტემის დროს შეუძლებელია, თუმცა მუშათა „წილი" შეიძლება განუწყვეტლივ ეცემოდეს. ამ „წილის" დაცემას ითვალისწინებს გეგმა. ანარქიულ კაპიტალისტურ საზოგადოებაში არსებობს ყიდვა-გაყიდვის, ფულის და ბაზრის მომენტი. ამიტომ წინააღმდეგობა საწარმოო ძალთა ზრდისა და მყიდველობით უნარის შორის იწვევს კრიზისებს. კაპიტალისტური საზოგადოების დისპროპორცია მისი თანამედროვე სახით მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ არ არსებობს შეფარდება სამომხმარებლო უნარსა და საწარმოო ძალთა ზრდის შორის. ამასთან დაკავშირებით უნდა იქნას განხილული დისპროპორცია წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის, ვინაიდან უნდა გვახსოვდეს, რომ ცნება დისპროპორციისა წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის, თუ ამ საკითხს განვიხილავთ განცალკევებით, საერთოდ უაზრობაა. თუ ჩვენ მოვხსნით მოსახლეობის მყიდველობით უნარსა და საწარმოო ძალთა შორის არსებული ურთიერთობის პრობლემას, მაშინ წარმოების სხვადასხვა დარგებს შორის პროპორციის ანუ დისპროპორციის ცნება უაზრო გახდება.

ავიღოთ, მაგალითად, ქვანახშირი, რკინა და საფეიქრო მასალა. რით ხდება ამ საქონლის რაოდენობის მოწესრიგება? როგორ შეიძლება ვილაპარაკოთ საფეიქრო და რკინისგზის მრეწველობის შორის არსებულ პროპორციაზე ან დისპროპორციაზე, თუ არ ვიცით საფეიქრო პროდუქტების რაოდენობა (ვინაიდან ისინი დაკავშირებულნი არიან სამომხმარებლო და გადახდის უნარის მოთხოვნილებასთან). ეს უაზრობაა. ყოველივე ეს ამტკიცებს იმ აზრს, რომ დისპროპორციაზე მრეწველობის ცალკე დარგებს შორის შეიძლება ვილაპარაკოთ მხოლოდ მაშინ, თუ ამ დისპროპორციას დაუკავშირებთ შეფარდებას მყიდველობით უნარს, და საწარმოო ძალთა ზრდის შორის. ეს შეუფარდებლობა არის მხოლოდ ნაწილობრივი გამოხატულება იმისა, რომ კაპიტალისტურ საზოგადოებაში საერთოდ არ არსებობს გეგმიანობა. ლენინი ჯერ კიდევ 90-იან წლებში გაკვრით და სავსებით სწორად სვამდა ამ პრობლემას და აღნიშნავდა, რომ შეუფარდებლობა მყიდველობით ძალასა და საწარმოო ძალთა შორის არის კაპიტალისტური წყობილების საერთო დისპროპორციის მხოლოდ ნაწილობრივი გამოხატულებაო.

„საზოგადოების სამომხმარებლო ძალა" და წარმოების სხვადასხვა დარგების პროპორციულობა—სრულებითაც არ არიან რაიმე ცალკე, დამოუკიდებელი მოვლენები, ისეთი მოვლენები, რომლებიც არ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული. პირიქით, მოხმარების ერთგვარი მდგომარეობა არის პროპორციულობის ერთ-ერთი ელემენტი მართლაც, რეალიზაციის ანალიზმა გვიჩვენა, რომ შინაური ბაზრის შექმნა კაპიტალიზმისათვის სწარმოებს არა იმდენად მოხმარების საგნების ხარჯზე, რამდენადაც საწარმოო საგნების ხარჯზე. აქედან გამოდის, რომ საზოგადოებრივი პროდუქციის პირველი ნაწილი (საწარმოო საშუალებათა დამზადება) უფრო სწრაფად უნდა განვითარდეს, ვიდრე მეორე (მოხმარების საგნების დამზადება). მაგრამ, ცხადია, აქედან სრულებითაც არ გამოდის ის, რომ საწარმოო საშუალებათა დამზადება შეიძლება განვითარდეს მოხმარების საგნების დამზადებისაგან დამოუკიდებლად და მასთან ყოველგვარი კავშირის გარეშე". (ლენინი, ტომი მე-II—„შენიშვნები ბაზრის თეორიის საკითხებზე"). ამას მე დავუმატებ, რომ წარმოების აღდგენის პროცესის ერთ-ერთ მომენტს შეადგენს მუშა-ხელის წარმოება. მუშა ხელის წარმოება არის მოხმარების პროცესი, უფრო უკეთ რომ ვსთქვათ, მოთხოვნის პროცესი არის მუშა-ხელის წარმოების პროცესი. მაშასადამე, წინააღმდეგობა წარმოებისა და მოხმარების შორის არის წინააღმდეგობა საქონლის წარმოებისა და განსაკუთრებული საქონლის მუშა-ძალის, წარმოებას შორის.

გადავდივარ ორ საკითხზე, რომელთა ირგვლივაც სწარმოებდა დისკუსია ჩვენს რიგებში.

გარდამავალი პერიოდის საკითხები

ჩვენი პროექტის იმ ნაწილში სადაც ვლაპარაკობთ განვითარების შემდგომ ფაზებზე და განსაკუთრებით გარდამავალ პერიოდზე, ჩვენ დაწვრილებით უნდა გაგვეშუქებია ახალი ეკონომიური პოლიტიკისა და „სამხედრო კომუნიზმის" პრობლემა. ტერმინი ახალი ეკონომიური პოლიტიკა პროგრამის პროექტში არ არის. ჩვენ მიზანშეწონილად არ ვსცნობდით გვეხმარა ეს ტერმინი, ვინაიდან რა აზრი აქვს ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე ლაპარაკს ავსტრალიისათვის? ეს სპეციფიური რუსული ტერმინია, რომელსაც აზრი არა აქვს მთელი რიგი სხვა ქვეყნებისათვის. მაგრამ თვით პრობლემა ჩვენ უნდა წამოვაყენოთ. ამ დარგში კონგრესამდე ჩვენში იყო უთანხმოება როგორც ლიტერატურაში, ისე ზეპირ დისკუსიაში. ეს უთანხმოება შეეხებოდა სხვადასხვა კერძო პრობლემებს:

1) ახალი ეკონომიური პოლიტიკის უნივერსალურ აუცილებლობას, ისეთი პოლიტიკის, რომელიც არ სპობს საბაზრო ურთიერთობას, 2) ახალი ეკონომიური პოლიტიკის არსების საკითხს, 3) ეგრედ წოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკის და „სამხედრო კომუნიზმის" ურთიერთდამოკიდებულების საკითხს.

და, ბოლოს, მეოთხე საკითხია—„სამხედრო კომუნიზმის", როგორც ასეთის, საკითხი.

ნება მომეცით გაკვრით შევჩერდე ყველა ამ საკითხზე.

უპირველეს ყოვლისა შევჩერდები ახალი ეკონომიური პოლიტიკის შესაძლებლობაზე სხვა ქვეყნებში. ზოგიერთი ამხანაგის აზრით, არ არის საჭირო ფიქრი ასეთი პოლიტიკის აუცილებლობაზე უაღრესად განვითარებულ ქვეყნებში. ამ ამხანაგების არგუმენტაცია ასეთია: მრეწველობის უაღრესად განვითარებულ ქვეყნებში პროლეტარულ ხელისუფლებას დაპყრობილი ექნება მძლავრი ეკონომიური მაღლობები. პროლეტარიატს გიგანტური ძალები ეყოლება და მას ეკონომიური პერიფერიის ორგანიზაციის ფართო საშუალება ექნება. სწორედ ამით შესაძლო ხდება პრინციპიალურად განსხვავებული პოლიტიკის წარმოება. მაგრამ ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიცით, თუ როგორი იქნება ეს პოლიტიკა. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ეს არ იქნება სამხედრო კომუნიზმის პოლიტიკა.

მაგრამ სანამ უპასუხებდეთ ამ კითხვაზე, საჭიროა წინასწარ პასუხი გავსცეთ ახალი ეკონომიური პოლიტიკის საკითხს. რაში მდგომარეობს ახალი ეკონომიური პოლიტიკის რაობა? როგორია ახალი ეკონომიური პოლიტიკის საფუძვლები? ჩვენი პარტიის ცეკას პლენუმზე ეს საკითხი გაცხარებული კამათის საგანს შეადგენდა. ჩემის აზრით, ახალი ეკონომიური პოლიტიკის განმსაზღვრელი მომენტია საბაზრო ურთიერთობის არსებობა ამა თუ იმ სახით. ეს არის უმთავრესი კრიტერიუმი, რომელიც ახალი ეკონომიური პოლიტიკის რაობას განსაზღვრავს. ამ საკითხში—ახალი ეკონომიური პოლიტიკის კრიტერიუმის საკითხში—ჩვენს წინააღმდეგ აყენებენ ისეთ არგუმენტებს, რომლებიც ჰგავს ფინანსიური კაპიტალის ირგვლივ გამართულ დისკუსიაზე წამოყენებულ არგუმენტებს. გვეუბნებიან: საბაზრო ურთიერთობა მარქსის მოძღვრებაში არის არა პირველადი რამ, არამედ წარმომდგარი. როგორ შეიძლება ასეთ შემთხვევაში ძირითადი საფუძველი ვეძიოთ საბაზრო ურთიერთობაში, რომელიც წარმოების პროცესის მხოლოდ გარეგან გამოხატულებას წარმოადგენს? საფუძველს ხომ წარმოადგენს წარმოება, უშუალო წარმოება და არა ბაზარი, და არა აღებ-მიცემობა. მე არასწორად ვსთვლი საკითხის ასე დასმას. აბსტრაქტული წარმოება არ არსებობს არსებობს მხოლოდ საქონლის წარმოება ან სხვა ტიპის წარმოება. აბსტრაქტული წარმოება, არა ნატურალური, არა საქონლის წარმოება არამედ წარმოება „საერთოდ", არ არსებობს. საბაზრო ურთიერთობა არის განსაზღვრული სახის წარმოების, საქონლის წარმოების მეორე მხარე. განა შეიძლება წარმოვიდგინოთ საქონლის წარმოება უსაქონლოდ, საქონლის წარმოება უბაზროდ? ეს შეუძლებელია. ეს ცარიელი აბსტრაქციაა. თუ ჩვენ საქმე გვაქვს საქონლის წარმოებასთან, სავსებით გასაგებია, რომ ყველაზე არსებითია—საბაზრო ურთიერთობა. რა არის საბაზრო ურთიერთობა? ეს არის სპეციფიური საწარმოო ურთიერთობის გამოხატულება, რომლის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს წვრილი, ინდივიდუალური, ფორმალურად დამოუკიდებელი მწარმოებელთა დაქსაქსული შრომა, ამგვარად იქ, სადაც არ არსებობენ წვრილი მწარმოებლები, იქ თქვენ სავსებით დამშვიდებით შეგიძლიათ ილაპარაკოთ „ახალი ეკონომიური პოლიტიკის" წინააღმდეგ, საბაზრო ურთიერთობის და სხვა ამგვარი მოვლენების წინააღმდეგ.

აქ აღნიშნული იყო, რომ ჩვენ ახალი ეკონომიური პოლიტიკის დამახასიათებელ თვისებად მიგვაჩნია მუშის მიერ თავისი „შემოსავლის" მიღება სამუშაო ხელფასის სახით. ამას აღნიშნავენ და ამავე დროს კითხულობენ. რა შუაშია აქ ბაზარი? გავარჩიოთ ეს საკითხი. სამუშაო ხელფასი—სიტყვის ამ მნიშვნელობით—კაპიტალისტური მეურნეობის კატეგორიაა. იგი კაპიტალისტური მოგების საწინააღმდეგო პოლუსია. საბჭოთა სახელმწიფო მუშას მის ნამუშევარს აძლევს სამუშაო ხელფასის სახით. მაგრამ მუშის სამუშაო ხელფასი ჩვენს საბჭოთა სახელმწიფოში, უფრო სწორედ რომ ვსთქვათ, როდია სამუშაო ხელფასი ეს არის სამუშაო ხელფასის რაციონალური და ფიქტიური ფორმა, რომელსაც სულ სხვა კლასობრივი შინაარსი აქვს. საიდან გაჩნდა ხელფასის ეს ფორმა? მისი წარმოშობა სავსებით გასაგებია. იგი დაკავშირებულია ჩვენში არსებულ ფულად მეურნეობასთან. მაგრამ რატომ გვაქვს ჩვენ ფულადი მეურნეობა? იმიტომ, რომ ჩვენში კიდევ არსებობს საბაზრო ურთიერთობა. რატომ არსებობს კიდევ საბაზრო ურთიერთობა? იმიტომ, რომ ჩვენ დაქსაქსული მეურნეობა გვაქვს და ჩვენში მოიპოვება უამრავი წვრილი მწარმოებელი, რომელთა ჩამოყალიბება რაიმე ტრესტის სახით ჩვენ არ შეგვიძლია. წვრილ მწარმოებელთა არსებობა რომელთა ორგანიზაციულად შეკავშირება არ შეიძლება ხელის ერთი მოქნევით და რომელნიც უეჭველია განაგრძობენ არსებობას მთელი ისტორიული პერიოდის განმავლობაში, პოულობს თავის გამოხატულებას საბაზრო ურთიერთობებში; საბაზრო ურთიერთობები პოულობენ თავიანთ გამოხატულებას ფულად ურთიერთობებში, ხოლო ფულადი ურთიერთობები—ისეთ ფორმებში, როგორიცაა სამუშაო ხელფასი.

ამ თვალსაზრისით შეიძლება ყოველი მოვლენის გამოყვანა იმ საბაზრო ურთიერთობათა არსებობის ძირითადი ფაქტიდან, რომელნიც წარმოადგენენ წვრილ მწარმოებელთა არსებობის გარეგან გამოხატულებას. ამაშია პრობლემის აზრი. კლასობრივი თვალსაზრისით ეს არის ურთიერთობის პრობლემა პროლეტარიატსა და მუშებს შორის. წვრილ მწარმოებელთა სოციალისტური მეურნეობის ორბიტაში ჩაბმის მეთოდის საკითხი არის ისტორიულად მოცემული პრობლემა, რომელიც კიდევ დიდხანს იარსებებს და რომლის გადაწყვეტას არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სხვა ქვეყნებშიაც დასჭირდება მთელი პერიოდი. მე გთხოვთ დამისახელოთ ისეთი ქვეყანა, სადაც წვრილი მწარმოებლები არ მოიპოვებოდნენ ან სადაც მათი ხვედრითი წონა აბსოლუტურად უმნიშვნელო იყოს—ასეთი ქვეყანა არ მოიპოვება. ლენინი ამბობდა რომ ასეთი ქვეყანა შეიძლება ინგლისი იყოსო, მაგრამ ესეც საეჭვოა. ეს სავსებით გასაგებია: ერთი რომ ინგლისს ჰყავს თავისი ფერმერები, და მეორე—ინგლისი არ არის განმარტოვებული კუნძული, ის რომ განმარტოებული იყოს—ვერ იარსებებდა. თუ ამ საკითხს მსოფლიო მასშტაბით დავსვამთ, შეგვიძლია ვიკითხოთ: ნუ თუ გლეხური პერიფერია მსოფლიო რევოლუციონური პროლეტარიატის გარშემო უფრო ნაკლებია, ვიდრე საბჭოთა პროლეტარიატის გარშემო? მთელს მსოფლიოში არსებობს წვრილ მწარმოებელთა ვეებერთელა არმია და მასთან დამოკიდებულების პრობლემა უნდა დაისვას და გადაიჭრას ფართო მასშტაბით. აიღეთ განცალკევებით თუ გინდ ისეთი „მოწინავე" ქვეყანა, როგორიც შეერთებული შტატებია, სადაც მოიპოვება ფერმერების უზარმაზარი არმია. ძნელი დასაჯერებელია, რომ შესაძლებელი იყოს ამ ფერმერების, ამ წვრილ მწარმოებელთა, ორგანიზაციულად შეკავშირება ხელის ერთი მოქნევით. ამრიგად, აქ წამოიჭრება საკითხი საბაზრო ურთიერთობის შენარჩუნების შესახებ ფულად მეურნეობაში ან, უფრო სწორად რომ ვსთქვათ, ინდუსტრიის წვრილ მეურნეობასთან კავშირის საბაზრო ფორმების შესახებ.

ეს იმას ხომ არ ნიშნავს, რომ ურთიერთობის მოცულობა და ფარგლები რჩება ისეთივე, როგორც საბჭოთა კავშირი? ამ საკითხზე უარყოფითად უნდა ვუპასუხოთ. საბჭოთა კავშირის სპეციალურ თვისებას წარმოადგენს არა ახალი ეკონომიური პოლიტიკა, როგორც ასეთი, არამედ ახ. ეკ. პოლიტიკის ფარგლები, საბაზრო ურთიერთობათა მოცულობა.

თუ ავიღებთ სხვა ქვეყანას, სადაც წვრილ მწარმოებელთა ხვედრითი წონა არც ისეთი მნიშვნელოვანია, იქ საბაზრო ურთიერთობათა მოცულობა სულ სხვა იქნება, ვიდრე საბჭოთა კავშირში. რაც უფრო მეტად განვითარებულია ქვეყანა მრეწველობის მხრივ, რაც უფრო მეტად არის მასში განვითარებული ინდუსტრიალიზაცია, მით უფრო ნაკლებ როლს ითამაშებენ მასში საბაზრო ურთიერთობანი. მას შემდეგ, როცა პროლეტარიატი მოიპოვებს ხელისუფლებას—მალე დავსძლევთ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას. ე. ი. დავსძლევთ საბაზრო ურთიერთობებს ამავე საბაზრო ურთიერთობათა ნიადაგზე. (გამოტოვებულია)... საბჭოთა ურთიერთობათა პირობებში, მისთვის დამახასიათებელი იქნება მთელი სამეურნეო მექანიზმის ზრდა. საბაზრო ურთიერთობათა მოცულობა უფრო ნაკლებ იქნება და ამით მათი გაქრობის ტემპიც უფრო ძლიერი იქნება და უფრო სწრაფი ტემპით იწარმოებს სოციალისტური განვითარება ჩანასახის ფორმიდან სოციალისტური მეურნეობის სრულღირებულებიან ფორმამდე, რომელიც მთლიან ერთგვაროვან ორგანიზმს წარმოადგენს. სწორედ ამით იჭრება ჩემის აზრით, ახ. ეკ. პოლიტიკის რაობისა და მისი „უნივერსალობის" საკითხიც.

რჩება კიდევ საკითხი „სამხედრო კომუნიზმისა" და ახალი ეკონომიური პოლიტიკის ურთიერთობის შესახებ. აქ სხვადასხვა მიმდინარეობამ იჩინა თავი. ზოგიერთი ამხანაგი ფიქრობდა, რომ „სამხედრო კომუნიზმის" შესახებ საჭიროა ლაპარაკი პირველ რიგში, ვინაიდან ეს სამოქალაქო ომის პერიოდში განვითარების პირველი აუცილებელი ფაზააო. სხვა ამხანაგები ფიქრობდნენ, რომ ბევრ ქვეყანაში განსაკუთრებით ევროპაში პროლეტარიატს მოუხდება დიდი გადამწყვეტი ბრძოლების გადახდა, სანამ ხელისუფლებას დაიპყრობდენო. რაკი ასეა, რა კი მთავარი ბრძოლები წინ უსწრებენ ხელისუფლების დაპყრობას, მაშინ პროლეტარიატის დიქტატურის დამყარების შემდეგ აღარ იქნება საჭირო „სამხედრო კომუნიზმი". ჩვენ არ შეგვიძლია შევიკრათ ხელფეხი ერთფეროვან ფორმულებით, ვინაიდან არ ვიცით დანამდვილებით, რა პირობები შეიქმნება.

საჭირო იქნება იგი განვითარების პირველ ან საშუალო ხანაში, თუ უფრო გვიან,—ამ მხრით სხვადასხვა შესაძლებლობა არსებობს. რატომ? იმიტომ რომ ეს დამოკიდებულია არა მარტო სხვადასხვა შინაგანი პირობებისაგან, არამედ გარეშე პირობებისაგანაც. აქ შეიძლება გადამწყვეტი როლი ითამაშოს ინტერვენციამ. ამ ორი ფაქტორის—შინაგანი და გარეშე ფაქტორის—შეთანხმება შეიძლება სულ სხვადასხვა გვარი იყოს. რუსეთში ჩვენ დავიწყეთ არა სამხედრო კომუნიზმით, არამედ ეგრედწოდებული ახალი ეკონომიური პოლიტიკით. შემდეგ მოგვისწრო ინტერვენციამ და კლასობრივი ბრძოლის კოლოსალურმა გამწვავებამ, რამაც სამოქალაქო ომის სახე მიიღო. წარმოიშვა „სამხედრო კომუნიზმი" და შემდეგ კვლავ ახალ ეკონომიურ პოლიტიკას დავუბრუნდით. ლენინი ამ თემებზე სწერდა, და ეს პრობლემები, ვფიქრობ, ყველა ამხანაგისათვის გარკვეულია. მაგრამ შესაძლოა ინტერვენცია თავს დაგვატყდეს სწრაფად. მაშინ საჭირო იქნება სწრაფად მივმართოთ იმ მეთოდებს, რომლებიც ასახიათებენ „სამხედრო კომუნიზმს". ეს იმას როდი ნიშნავს, რომ „სამხედრო კომუნიზმის" დროს დასავლეთ ევროპასა და ამერიკაშიაც უნდა მივმართოთ ყველა იმ ზომას, რომელსაც საბჭოთა კავშირში მიმართავდნენ. ჩვენ ხომ აშკარა სისულელეებს ჩავდიოდით, რომელთა გამართლება არ შეიძლება სამოქალაქო ომის არსებობით. „სამხედრო კომუნიზმის" მსგავსი ზომები შეიძლება საჭირო გახდეს თავიდანვე. შეიძლება სხვადასხვა ფაქტორები და პირობები წარმოიშვან და არ შეიძლება მათი წინასწარ გათვალისწინება. ჩვენ შეგვიძლია განვავითაროთ რევოლუცია მკაცრი გეგმის მიხედვით: ესოდენ დიდი ამბები არ თავსდება მკაცრი „გეგმის" ფარგლებში.

ამიტომ „სამხედრო კომუნიზმის" საკითხის ფორმულა ჩვენს პროექტში ასეთი უნდა იყოს: ამა და ამ პირობებში შეიძლება საჭირო გახდეს „სამხედრო კომუნიზმზე" და ახალ ეკონომიურ პოლიტიკაზე გადასვლა. და მეტი არაფერი. შეიძლება მიუთითოთ, რომ ეს სისტემა მოსალოდნელია ამა და ამ პირობებში, მაგრამ ყოვლად შეუძლებელია დავავალოთ სხვა პარტიებს თავიდანვე მიმართონ „სამხედრო კომუნიზმს" ან პირიქით. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ უნდა დავტოვოთ უცვლელად ის ფორმულა, რომელიც პროგრამის პროექტშია, შეიძლება უფრო ხაზგასმითაც აღვნიშნოთ ამ ფორმის ეგებისობა განსაზღვრულ პირობებში. არ უნდა შევიბორკოთ ხელ-ფეხი, როცა კარგად არ ვიცით, რა გველის მომავალში.

ჩვენს შორის არსებობდა აზრთა სხვადასხვაობა (საჭიროა აღვნიშნო, რომ ჩემს მოხსენებაში მე ვეხები არა საპროგრამო კომისიის მუშაობას,—ამის შესახებ მიზანშეწონილი იქნება სპეციალური მოხსენების გაკეთება,—არამედ ჩვენი დისკუსიის წინასწარ სტადიებს და მხოლოდ ზოგიერთ საკითხებს, რომელნიც კონგრესის საპროგრამო კომისიამ აღძრა) სოციალ-დემოკრატიისა და ფაშიზმის საკითხთან დაკავშირებით. ახლანდელი პროექტის ერთ-ერთ განმასხვავებელ მხარეს წინანდელი პროექტისაგან წარმოადგენს სოციალ-დემოკრატიული პარტიების როლის დაწვრილებით გაშუქება. თქვენთვის ცხადი უნდა იყოს, თუ რატომ შევეხეთ დაწვრილებით სოციალ-დემოკრატიის როლს. სოციალ-დემოკრატიამაც განვლო ევოლუციის გზა როგორც პოლიტიკასა, ისე თეორიაში. სოციალ-დემოკრატიის რიგებში დიდი გადაჯგუფება მოხდა: დაიწყო რა სოციალიზმის ღალატით 1914 წ. სოციალ-დემოკრატია გამცემლობის ისეთ საზღვრამდე მივიდა, რომ საჭიროდ დავინახეთ ცოტად თუ ბევრად დაწვრილებით აგვეწერა ეს პროცესი. სოციალ-დემოკრატია დაქვეითდა თეორეტიულადაც. მას მარქსიზმის ნასახიც აღარ გააჩნია. ხელმძღვანელ როლს თამაშობს ისეთი ხალხი, როგორიცაა მაკდონალდი. სოციალ-დემოკრატია ამჟამად სულიერ საზრდოს ღებულობს წმინდა ბურჟუაზიულ ეკონომისტებისაგან. ამ საზრდოს მე-2 ინტერნაციონალის გერმანულ სექციებში რამდენადმე ამუშავებენ და ჰკაზმავენ მარქსისტული ფრაზეოლოგიით და ამ სახით აწვდიან მასებს. რაც შეეხება ანგლო-საქსონურ ქვეყნებს, ისინი ამ საკვებს სჭამენ ნედლად და არ ამუშავებენ მას ბრიკეტად (სიცილი). საჭირო იყო ყველა ამ გარემოების აღნიშვნა ჩვენს პროექტში; ჩვენ საგანგებო ყურადღება დაუთმეთ მემარცხენე სოციალ-დემოკრატიის როლს. ჩვენ უნდა შეგვეჯამებინა მთელი გამოცდილება, რომელიც მივიღეთ აქ, გერმანიის 1923 წლის რევოლუციაში, ვენის აჯანყების დროს და ინგლისის საყოველთაო გაფიცვის პერიოდში.

ამ ამბებმა მუშათა მოძრაობას კოლოსალური გამოცდილება შესძინა. ამ ამბებში აშკარა გახდა რეფორმიზმის ეგრედწოდებული „მემარცხენე ფრთის" როლი. საჭირო იყო ყოველივე ამის გაერთიანება, განზოგადოება, მათი ანალიზის გაკეთება, თავიანთი ადგილის მიჩენა. ამიტომაც პროექტში მოცემულია ამგვარი მოვლენის ახსნაც.

ახლა ფაშიზმის შესახებ. მე ნებას მივსცემ ჩემს თავს, ფაშიზმისა და სოციალ-დემოკრატიის და მათი ურთიერთობის სპეციფიურ პრობლემას დაწვრილებით ანალიზი გაუკეთო ჩემს საბოლოო სიტყვაში ან ჩემს მოხსენებაში, რომლისაც მე გავაკეთებ კომისიის სახელით. ჩვენ საპროგრამო კომისიაში გვქონდა დაწვრილებითი და, ჩემის აზრით, მეტად საინტერესო კამათი ამ საკითხის შესახებ—ვეცდები კიდევ გავაშუქო იგი.

აქ მე მსურს მხოლოდ აღვნიშნო, რომ ძველ პროექტთან შედარებით ჩვენ შევეცადეთ უფრო ფართოდ დაგვესვა ეს საკითხი და უფრო სრულად გადაგვეჭრა იგი.

პროექტის ბოლო თავი—სტრატეგიისა და ტაქტიკის შესახებ საგრძნობლად არის შეცვლილი. შეტანილია სპეციალური განყოფილება, სადაც ლაპარაკია სხვადასხვაგვარ იდეოლოგიურ მიმდინარეობებზე მუშათა მოძრაობაში. ჩვენ დავახასიათეთ ჩვენ წინააღმდეგ მტრულად განწყობილი მიმართულებანი კოლონიების პროლეტარიატის შორის, ეგრედ წოდებული „რევოლუციონური" სინდიკალიზმი, ინგლისის რეფორმიზმის ზოგი სპეციფიური ფორმები, რომლებმაც საკმაოდ ძლიერი გავლენა იქონიეს ევროპიულ რეფორმიზმზე საზოგადოდ (მაგალითად, „გილდიური სოციალიზმი"). ამბობენ, რომ ეს არაფერია, რომ ის ისეთი რამ არის, რაც შეიძლება სულ არ მივიღოთ მხედველობაში. მაგრამ მე უნდა ავღნიშნო, რომ ეს „პატარა რამ" განახლებულია გერმანიის სოციალ-დემოკრატების ნაწარმოებებში. იგივე შეიძლება ითქვას იმ აბდა-უბდაზე, რომლის „ავტორიც" მაკდონალდია,—„კონსტრუქტიულ სოციალიზმზე".

უნდა მოვიხსენიოთ განდიზმიც და სუნიატსენიზმიც. ჩემის აზრით, უფრო მიზანშეწონილი იქნება ამაზე დაწვრილებით ვილაპარაკოთ ჩვენი კამათის ბოლოში.

ამრიგად, სხვადასხვა მიმდინარეობის დახასიათების ცდა რეფორმისტულ მოძრაობაში არის ახალი რამ, „პრინციპიალურად ახალი". მე მგონია, ეს ცდა, თუნდაც იგი განსაკუთრებით ბრწყინვალე არ იყოს, პრინციპიალურად მისაღებია. შესაძლებელია, აქ საჭირო იყოს რაიმეს შესწორება, მაგრამ ეს სულ სხვა საქმეა.

ასეთია ჩემი ძირითადი შენიშვნები პროგრამის შესახებ. ვიმეორებ, რომ მე არ შევეხებივარ მრავალ ფრიად არსებით და კარდინალურ საკითხს, ვინაიდან ისინი საკმაოდ გაშუქდა წინა მოხსენებებში.

დასასრულ, მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ჩვენი პროგრამის საერთო ხასიათის შესახებ. ჩვენი პროგრამის სამჯერ განხილვის შემდეგ, ჩემის აზრით, უნდა ვეცადოთ ყოველგვარად, რომ იგი ამ კონგრესზე მივიღოთ.

რასაკვირველია, ჩვენ არ შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ჩვენი პროგრამა იდეალურია მთელი 100 პროცენტით. რასაკვირველია, ჩვენ კიდევ ორიოდე წლის განმავლობაში მოგვიხდება ჩვენი პროგრამის პროექტში შესწორებების შეტანა. მაგრამ ჩვენ ისეთ მომენტში არ ვცხოვრობთ, როცა კომინტერნის კვალიფიციურ ძალებს შეუძლიათ კაბინეტებში ისხდნენ და წლების განმავლობაში აშალაშინონ პროგრამის პროექტი.

ამასთან განა ჩვენ ბევრი საპროგრამო დისკუსია გვქონდა პარტიებში მე-V კონგრესის შემდეგ? პირველი პროექტის შემუშავების შემდეგ ასეთი დისკუსია ცოტა იყო. ყველა საქმეშია გართული, განვითარების ტემპი მეტად ჩქარია, ახალი ამოცანები გამაბრუებელის სისწრაფით იჩენენ თავს, ისტორია ისეთის სწრაფის ტემპით მოძრაობს, რომ ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენს თავს ნება მივსცეთ და დამშვიდებით ვეკლიოთ თითოეული ტერმინი, თითოეული სიტყვა. ამ საქმის კვლავ გაჭიანურება მის [illegible] ქვეშ ამოდებას ნიშნავს. სხვა კონგრესებზე, სხვა პლენუმებზე იგივე სურათი გვექნება. უმჯობესია ცოტა მეტ ხანს ვისხდეთ აქ და მივიღოთ პროგრამის ტექსტი სხვადასხვა სტილისტიური, სარედაქციო და საქმიანი შესწორებებით. ჩვენ წინ ვერ წავალთ, თუ პროგრამას არ შევიმუშავებთ. ყველა პარტია გრძნობს, რომ ჩვენი ნაყოფიერება იდეოლოგიურს დარგში საკმარისი არ არის. ისეთი დოკუმენტის გამომუშავება, სადაც საერთაშორისო მოძრაობის ყველა ძირითადი პრობლემა სწორის პროპორციით იყოს გაშუქებული, ძალიან ძნელია. მაგრამ სამგზის (კომინტერნის მე-IV, მე-V და მე-VI კონგრესებზე) განხილვის შემდეგ დროა საბოლოოდ მივიღოთ პროგრამა. ჩვენს გრანდიოზულ ბრძოლაში, იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებენ უამრავი მილიონები, ევროპისა და ამერიკის სამრეწველო პროლეტარიატი, საბჭოთა კავშირის პროლეტარიატი, კოლონიალური მუშები და მათი მიმყოლი კოლონიალური გლეხობა,—ამ ბრძოლაში პროგრამა—კომუნისტური დროშა იქნება, ბრძოლის ყიჟინა და სამედო გზის მაჩვენებელი ვარსკვლავი. მდგომარეობა თანდათან მწვავდება, ომის საფრთხე ცარიელი სიტყვა არ არის, იგი მრისხანე სინამდვილეა. დღეს ჩვენ მართლაც მოგვდევენ მილიონები. მდგომარეობა ჩვენგან დიდ შემტევობას მოითხოვს. პროგრამა ჩვენთვის შუქურა იქნება. იგი დიდ დახმარებას გაუწევს ყველა ჩვენს სექციას. შემჭიდროებული რიგებით გავსწიოთ წინ—კომუნიზმის დროშის ქვეშ. ჩვენი ძლიერი ბრძოლის ყიჟინით. და ჩვენი პროგრამა დიდ როლს ითამაშებს მსოფლიო რევოლუციაში, მსოფლიო პროლეტარიატის, პროლეტარიატის მსოფლიო დიქტატურის და მსოფლიო კომუნიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

გაუმარჯოს მსოფლიო კომუნიზმს!

გერმანიის მენშევიკები მხარს უჭერენ საზღვაო შეიარაღების გაძლიერებას

გერმანიის პრესა ინგლის-საფრანგეთის ჯარების მანევრების შესახებ

დამთავრდა გომინდანის ალმასკომის პლენუმი.—ჩან-კაი-შის „ბრწყინვალე" სიტყვამ გამოხმაურება ვერ ჰპოვა

ჯავშნოსანის აგების საკითხი გერმანიაში

სოციალ-დემოკრატ მინისტრებს წინააღმდეგობა არ გაუწევიათ

ბერლინი, 16 აგვ. „ველტ-ამ-აბენდ"-ის იუწყება შემდეგ დაწვრილებით ცნობებს, თუ რა პირობებში მოხდა მთავრობის გადაწყვეტილების მიღება ჯავშნოსანის აშენების შესახებ. კაბინეტის სხდომებზე გერმან მიულერი დაკმაყოფილდა მარტოოდენ საკითხით, ხომ არ წარმოადგენს ჯავშნოსნის აშენება ლოკარნოს პოლიტიკის დარღვევას. ამაზე გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა უპასუხა, რომ შტრეზემანს აუცილებლად მიაჩნია ჯავშნოსანის აშენება სწორედ გერმანიის საგარეო პოლიტიკის თვალსაზრისით. ამის შემდეგ სოციალ-დემოკრატ მინისტრებს აღარ გაუწევიათ წინააღმდეგობა და მიემხრნენ გადაწყვეტილებას ჯავშნოსანის აშენების შესახებ. ზოგ სამრეწველო წრეების წარმომადგენლებმა ინახულეს შტრეზემანის მდივანი და შეეკითხნენ მას, შეუძლია თუ არა გერმანიას ააშენოს სხვა ჯავშნოსნებიც. ამაზე მათ დადებითი პასუხი მიიღეს.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის სილეზიის ორგანიზაციის ორგანო „ფოლკს ვახტ"-ი (გამოდის ბრესლავლში) ჯავშნოსანის აშენების გამო წერს, რომ პოლიტიკური პოზიციის თვალსაზრისით სოციალ-დემოკრატ მინისტრებმა მეტად მძიმე მდგომარეობაში ჩააყენეს სოციალ-დემოკრატიული პარტია—ჯერ ერთი მე-2 ინტერნაციონალის მიმართ, რომელმაც სწორედ იმ დღეს, როცა მთავრობამ გამოიტანა დადგენილება ჯავშნოსანის აშენების შესახებ, მიიღო განიარაღების რეზოლუცია, მეორე—ამომრჩეველთა მიმართ, რომელთაც ძლიერ გაუჭირდებათ იმ დაპირების დარღვევის ახსნა, რომელიც მისცეს მათ სოციალ-დემოკრატებმა არჩევნების წინ (ადს).

გერმანიის კომპარტია კამპანიას აწყობს ჯავშნოსან კრეისერების აგების წინააღმდეგ

ბერლინი, 17 აგვისტო. კომპარტიის ც. კ.-მა დაადგინა: დაუყოვნებლივ დაიწყოს კამპანია საყოველთაო სახალხო კენჭის ყრის მოსაწყობად ჯავშნოსანი კრეისერების აგების წინააღმდეგ. ამის შესახებ მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია: „ფართო მასებს ესმით, რომ ჯავშნოსანი კრეისერების აგება აძლიერებს ომის საფრთხეს და ახალ შეჯიბრებას შეიარაღებაში, საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ახალი კამპანიის დაწყებას, მუშათა კლასის ახალ ჩაგვრას, მილიარდების ხარჯის დაწოლას მშრომელთა კისერზე და სოციალური უზრუნველყოფის შემდგომს გაუარესებას. საყოველთაო სახალხო კენჭის ყრა უნდა გადაიქცეს ძლიერ მასიურ, მთელი მოსახლეობის მოძრაობად ძარცვისა და ჩაგვრის იმპერიალისტური პოლიტიკის წინააღმდეგ.

ყველა ბურჟუაზიული გაზეთი „ფორვერტსის" მეთაურობით სასტიკად ჰგმობს კომპარტიის ც. კ.-ის ამ დადგენილებას.

უახლოეს დღეებში კომპარტია აწყობს მთელს გერმანიაში მრავალრიცხოვან მანიფესტაციებს და იწყებს მუშათა მასების პარლამენტის გარეშე მობილიზაციას მთავრობის, მეტადრე სოციალ-დემოკრატების წინააღმდეგ. საქსონიის ლანდტაგის კომფრაქციამ წინადადება შეიტანა, დაუყოვნებლივ იქნას მოწვეული ლანდტაგი ჯავშნოსანი კრეისერის აგების საკითხის განსახილველად. (ადს).

„ლახვარი ლოკარნოს"

ბერლინი, 16 აგვისტო. გერმანიის პრესა დიდ ყურადღებას აქცევს მომავალ ინგლის-საფრანგეთის საერთო მანევრებს ოკუპაციაქმნილ ოლქებში. იგი ამ მანევრებს „ლოკარნოს წინააღმდეგ მიმართულ ლახვრად" და „უტაქტობად" სთვლის.

„კელნიშე ცეიტუნგ"-ი ეხება ინგლისის კონსერვატიული გაზეთის „მორნინგ პოსტ"-ის სასტიკ გამოლაშქრებას გერმანიის წინააღმდეგ და სწერს: „ინგლისის გაზეთის ცინიკური განცხადებანი მოწმობენ, თუ რა ფსიქოლოგიური გავლენა აქვს ინგლისში ინგლის-საფრანგეთის შეუჩერებელ დაახლოვებას, კელოგის ხელშეკრულებას, ინგლის-საფრანგეთის საზღვაო შეთანხმებას და რეინის ოლქის ევაკუაციის საკითხებში (ადს).

შტრეზემანის პარიზში წასვლის დასაბუთება

ბერლინი, 17 აგვისტო. სახალხო პარტიის ოფიციალურმა ორგანომ „ნაციონალ ლიბერალე კორესპონდენტმა" მოათავსა ცნობა, რომელიც შტრეზემანის გადაწყვეტილების დასაბუთებას წარმოადგენს მისი პარიზში გამგზავრების გამო კელოგის ხელშეკრულების ხელის მოწერის ცერემონიალში პირადი მონაწილეობის მისაღებად, თუმცა გერმანიის საერთაშორისო მდგომარეობა გაუარესებულია.

გაზეთი ამბობს, რომ შტრეზემანს არ შეეძლია არ დაესწროს კელოგის ხელშეკრულების საზეიმო ხელისმოწერას მხოლოდ იმიტომ, რომ შემთხვევითი პირობების წყალობით ხელისმოწერა მოხდება საფრანგეთის დედაქალაქში, მით უმეტეს, რომ კელოგიც დაესწრება ცერემონიას. შტრეზემანის პარიზში წასვლა თავის დამცირება არ არის საფრანგეთის წინაშე—სწერს გაზეთი—არამედ იგია მხოლოდ პოლიტიკური სიბრძნისა და ჩრ. ამერ. შეერთებული შტატების მიმართ ზრდილობიანობის აქტი (ადს).

იტალია-სამხრეთ-სლავიის ურთიერთობა

იტალია მოითხოვს ნეტუნის კონვენციების განხორციელებას

რომი, 16 აგვისტო. სამხრეთ-სლავიის პარლამენტის მიერ ნეტუნის კონვენციების დამტკიცების გამო, ოფიციოზური სააგენტო „აგენცია დი-რომა" იუწყება: „კონვენციების დამტკიცება მხოლოდ ფორმალობაა იტალიასა და სამხრეთ-სლავიას შორის მეგობრული ურთიერთობის დამყარების საქმეში. მეგობრობის ფაქტიური განხორციელება დამოკიდებულია კონვენციების განხორციელებაზე. სკუპშჩინის გადაწყვეტილების შემდეგაც კი ჩვენ კონვენციების რეალიზაციის სრული რწმენა არა გვაქვს. კენჭის ყრის დროს სკუპშჩინაში არ იყვნენ სამხრეთ-სლავიის ძლიერი პოლიტიკური პარტიები, რომელთაც დიდი გავლენა აქვთ სწორედ პროვინციაში, სადაც კონვენციები უნდა იქნას გამოყენებული" (ადს).

ანტიიტალიური დემონსტრაცია სამხრეთ-სლავიაში

ვენა, 16 აგვისტო. სამხრეთ-სლავიიდან მიღებული ცნობებით, დალმაციის ქალაქ ოპლოტში და მის მახლობელ უბნებში ნაციონალისტი სტუდენტებმა ახალი, ანტიიტალიური საპროტესტო დემონსტრაციები გამართეს. ნეტუნის კონვენციის რატიფიკაციის წინააღმდეგ. დემონსტრანტებმა შეურაცხყოფა მიაყენეს იტალიის გენერალურ კონსულს და ვიცე-კონსულს. პოლიციამ მრავალი ხალხი დააპატიმრა.

იუწყებიან, რომ იტალიის ელჩს ბელგრადში დავალებული აქვს პროტესტი განუცხადოს სამხრეთ-სლავიის მთავრობას (ადს).

მუშების აჯანყება

ნიუ-იორკი, 16 აგვისტო. ასოშიეტედ პრესის სააგენტოს რიო დე ჟანეიროდან (ბრაზილია) მიღებული ცნობით შტატ მატოგროსოში აჯანყდა ალმასის მაღაროების 2.000 ადგილობრივი მუშა, მუშებთან ანგარიშის გასწორების დროს ადმინისტრაციის მიერ ჩადენილ ბოროტმოქმედების გამო. აჯანყება ორი თვე გრძელდებოდა, მუშებმა მიმართეს ბრძოლის პარტიზანულ ხერხებს.

ბოლოს, მაღაროების პატრონებმა მოაწყვეს კერძო არმია 10.000 კაცამდე, რომელმაც ჩააქრო აჯანყება და განდევნა აჯანყებულთა პარტიზანული რაზმები მეზობელ შტატ გვიაცში, სადაც ისინი განაიარაღეს და გააგზავნეს სამუშაოდ ადგილობრივ ალმასის მაღაროებზე (ადს).

„კრასინ"-ი ნორვეგიაში

დარბაზობა პროფ. სამოილოვიჩის პატივსაცემად

ოსლო, 17 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება, რომ საბჭოთა კავშირის ელჩმა ნორვეგიაში კოლონტაიმ პროფ. სამოილოვიჩის და ისტორიკოსების კონგრესზე მყოფი საბჭოთა დელეგატების პატივსაცემად გამართა დარბაზობა. მოწვეულ იქნენ ნორვეგიელი მეცნიერები, იტალიის ელჩი და სხ.

დეპეშათა სააგენტოს წარმომადგენელთან საუბარში პროფ. სამოილოვიჩმა სთქვა, რომ „კრასინი" სამშაბათს წავა სტავანგერიდან, ოთხშაბათს ჩავა ბერგენში, სადაც აიღებს ნახშირს და დაუყოვნებლივ გაემართება ალექსანდრის და ამუნდსენის ჯგუფების მოსაძებნად (ადს).

ინტერვიუ ორასთან

ოსლო, 16 აგვისტო. ნორვეგიის დეპეშათა სააგენტო იუწყება სტავანგერიდან: „კრასინ"-ის კომისარმა ორასმა პრესის წარმომადგენლებთან გამართულ საუბარში განაცხადა, რომ, ექსპედიციის აზრით, ამუნდსენი და მისი თანამგზავრები ცოცხალი უნდა იყვნენ. არის საბუთი ვიფიქროთ, რომ ამუნდსენი გაემართა პირდაპირ ინჟ. ალექსანდრის ჯგუფისაკენ, რომელიც დირიჟაბლის გარსთან ერთად ქარმა წაიღო კატასტროფის ადგილის აღმოსავლეთით. იმის გამო, რომ „ლატამ"-ი მოფრინავდა ქარის საწინააღმდეგო მიმართულებით, მას, ალბად, მალე შემოელია საწვავი მასალა, რის გამოც, შესაძლებელია, იგი იძულებული შეიქნა დაშვებულიყო. ჩუხნოვსკიც ფიქრობს, რომ, შესაძლებელია, „ლატამ"-მა მიაღწია ალექსანდრის ჯგუფს, თუმცა, მისი აზრით, „ლატამი" შეიძლება ზღვაშიც ჩავარდნილიყო. დასასრულ ორასმა აღნიშნა, რომ „ლატამ"-ის ექსპედიციას ჰქონდა საკმაო იარაღი და სასროლი მასალა, რის წყალობით შეუძლია უზრუნველყოს თავი თეთრი დათვების ხორცით მთელი თვეების განმავლობაში (ადს).

მდგომარეობა ჩინეთში

ჩან-კაი-შის „ბრწყინვალე სიტყვამ" გამოძახილი ვერ ჰპოვა

შანხაი, 16 აგვისტო. პრესის ცნობით, დამთავრდა გომინდანის ალმასკომის პლენუმი. პლენუმის მუშაობის შეწყვეტა სრულიად მოულოდნელი იყო ყველასათვის. პრესის აზრით, პლენუმის მოულოდნელი დამთავრება აიხსნება მემარცხენეთა წასვლით, რომელნიც უკმაყოფილონი იყვნენ პლენუმის გადაწყვეტილებებით.

გაზეთების ცნობით, **ჩან-კაი-შიმ** პლენუმზე წარმოსთქვა „ბრწყინვალე სიტყვა, სადაც გომინდანის ყველა ჯგუფს მოუწოდებდა მთლიანობისაკენ. ჩან-კაი-შიმ აღნიშნა, რომ დაუშვებელია უთანხმოება გომინდანში იმ დროს, როცა ჩინეთს საფრთხე მოელის მანჯურიაში და შანდუნის პროვინციაში". გაზეთები აღნიშნავენ, რომ ჩან-კაი-შის სიტყვამ „ვერ ჰპოვა გამოძახილიო".

პლენუმის დახურვის წინ გამოაქვეყნეს მანიფესტი. (ადს).

მუშები არბევენ შეუთანხმებელთა პროფკავშირებს

შანხაი, 16 აგვისტო. ხიუჩოუში მუშებმა დაანგრიეს აბრეშუმის სართავ ქარხნების შეუთანხმებელ მუშათა პროფკავშირის შენობა. კავშირის ხელმძღვანელებმა კავშირი დაშლილად გამოაცხადეს. მეორე დღეს 100-დე მუშამ დაანგრია კავშირის ზოგიერთი ხელმძღვანელის ბინები. უკანასკნელებმა მიმართეს გომინდანის განყოფილებას და სთხოვეს რამოდენიმე ჟანდარმი მცველებად (ადს).

„მნიშვნელოვანი მისია"

პეკინი, 16 აგვისტო. იაპონიის სააგენტო ნიპონ ტემპო იუწყება, რომ დაირენში ჩამოვიდა ცნობილი თეთრგვარდიელი სემიონოვი. სემიონოვის მდივანი იაპონელი ტანო ამჟამად მუკდენში იმყოფება. მას დაკისრებული აქვს „მნიშვნელოვანი მისია" (ადს).

„შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ წინააღმდეგობის გაწევა"

ვაშინგტონი, 16 აგვისტო. შეერთებული შტატების გარეშე საქმეთა სამინისტროს განზრახული აქვს წინააღმდეგობა გაუწიოს მორგანის ამერიკულ საფინანსო კონსორციუმის მიერ იაპონიისათვის სესხის მიცემას (განზრახული იყო იაპონიისათვის სესხის მიცემა 30 მილიონი დოლარის რაოდენობით მშენებლობისათვის მანჯურიაში), ვინაიდან ამას „შეუძლია შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, თითქოს შეერთებული შტატები მხარს უჭერენ იაპონიის პოლიტიკას მანჯურიაში" (ადს).

შანხაის დროებითი სასამართლოს თავმჯდომარის განცხადება

შანხაი, 16 აგვისტო. შანხაის დროებითი სასამართლოს ეხლად დანიშნულმა თავმჯდომარემ შეატყობინა იმ სახელმწიფოებს, რომელთა ხელშეკრულებებს ჩინეთთან ვადა გაუვიდათ, რომ მათ აღარა აქვთ უფლება გაგზავნონ თავიანთი წარმომადგენელნი სასამართლოს სხდომებზე.

შენიშვნა: ეგრედწოდებული დროებითი სასამართლო დაარსებულია 1925 წ. შერეული სასამართლოს ლიკვიდაციის შემდეგ. უკანასკნელი სავსებით უცხოელთა ხელში იმყოფებოდა. მაგრამ იმპერიალისტურ სახელმწიფოებს დროებით სასამართლოშიც ჰყავთ თავისი წარმომადგენელნი, რომელნიც დიდ გავლენას ახდენენ სასამართლოს გადაწყვეტილებებზე (ადს).

„შემარიგებელი კილო"

ტოკიო, 16 აგვისტო. „ხოცი" იუწყება, რომ ნანკინის მთავრობის მეორე ნოტა ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გადასინჯვის შესახებ შედგენილია გაცილებით უფრო „შემარიგებელი კილოთი", ვიდრე პირველი ნოტა. გაზეთი წერს: „ეს იძლევა საბუთს იმედი ვიქონიოთ, რომ ჩინეთ-იაპონიის ურთიერთობა გამოვა იმ ჩიხიდან, რომელშიც მოხვდა იგი ამ ბოლო დროს". მეორე მხრივ, გაზეთს ეშინია, რომ ნანკინის შემარიგებელი პოზიცია მძიმე მდგომარეობაში ჩააგდებს იაპონიის მთავრობას, რომელიც მუკდენისა და ნანკინის შეერთების წინააღმდეგია. ამ აზრს იგი ასაბუთებს მხოლოდ ნანკინის პოზიციით ჩინეთ-იაპონიის ხელშეკრულების გადასინჯვის საკითხში (ადს)

ოტტო ბრაუნისა და ოლღა ბონარიოს საქმე

ბერლინი, 16 აგვისტო. „ფოსიშე ცეიტუნგ"-ის ცნობით, სასამართლომ გადასწყვიტა ამნისტიის ძალით მოსპოს ბრაუნისა და ოლღა ბონარიოს საქმე, რომლებსაც ბრალად ედებოდათ სახელმწიფოებრივი ღალატი. სასამართლოს გადაწყვეტილება მოაბიტის სასამართლოდან ბრაუნის გაქცევის შესახებ ძალაში რჩება. (ადს).

ბულგარეთში

მინისტრთა საბჭომ მოიწონა ბუროვის პოზიცია

ვენა, 16 აგვისტო. სოფიიდან მიღებული ცნობით, მინისტრთა საბჭომ განიხილა ინგლისისა და საფრანგეთის ელჩების დიპლომატიური ნოტები და მოიწონა გარეშე საქმეთა მინისტრის ბუროვის პოზიცია. ამ უკანასკნელმა საფრანგეთისა და ინგლისის მოთხოვნილებათა საპასუხოდ განაცხადა, რომ ეს მოთხოვნილებანი სავსებით დაკმაყოფილებული იქნებიან ბულგარეთის მთავრობის იმ ზომებით, რომელთა მიღებაც მაკედონიის ფარული ორგანიზაციების მოქმედების ალაგმვად მას ისედაც გადაწყვეტილი ჰქონდა.

ავღანისტანის დამოუკიდებლობის 10 წ. თავი

ქაბული, 16 აგვისტო. ჰაგმანში (ავღანისტანის ფადიშაჰის რეზიდენცია) დაიწყო დღესასწაული ავღანისტანის დამოუკიდებლობის 10 წლის თავის გამო.

ზეიმი გახსნა ფადიშაჰმა, რომელმაც თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ ავღანისტანის ხალხმა უკანასკნელ სისხლის წვეთამდე უნდა დაიცვას დამოუკიდებლობა. ავღანისტანის დამოუკიდებლობის დასაცავად აუცილებელია ხელი შეუწყოთ ჩვენი ქვეყნის შემდგომ პროგრესს, ამ მუშაობაში მონაწილეობა უნდა მიიღონ როგორც ქალებმა, ისე კაცებმა (ადს).

მოსკოვი

(ტელეგრაფით საკუთარი კორესპონდენტისაგან)

პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის გარშემო

მოსკოვი, 17 აგვისტო. „იზვესტია"-ს ვარშაველი კორესპონდენტი ბრატინი იუწყება, რომ პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ მიღებულია ვოლდემარასის საპასუხო ნოტა პოლონეთის ნოტაზე.

ლიტვის მთავრობა, გამოსთქვამს რა გაკვირვებას იმის გამო, რომ პოლონეთის ნოტა ხელმოწერილია არა ზალესკის, არამედ გოლუვკოს მიერ, მიუთითებს, რომ ლიტვის მთავრობას არ შეუძლია დაეთანხმოს პოლონეთის მთავრობას პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის ჟენევაში მოწვევაზე. ლიტვის მთავრობას მიზანშეუწონლად მიაჩნია კონფერენციის ჟენევაში მოწვევა, რადგან დელეგაციები ერთა ლიგაში მუშაობის გამო, ვერ მოიცლიან ამ კონფერენციისათვის. ვოლდემარასი წინადადებას იძლევა კონფერენცია მოწვეულ იქნეს კენინსბერგში. პოლონეთის საგარეო საქმეთა სამინისტროსთან დაახლოებულ წრეებში ფიქრობენ, რომ პოლონეთი თანხმობას განაცხადებს ლიტვის ამ წინადადებაზე.

ახალი სამგზავრო ტარიფი რკინისგზებზე

მოსკოვი, 17 აგვისტო. რკინისგზის სამგზავრო ტარიფის რეფორმის პროექტი დამთავრებულია. პროექტით გათვალისწინებულია პლაცკარტების სავსებით მოსპობა დასაჯდომ ადგილებზე. საწოლ ადგილებზე პლაცკარტის ფასი დაწესებულია სამგზავრო ბილეთის ღირებულების 20 პროცენტის რაოდენობით, იმ შემთხვევაში, თუ ბილეთის ფასი ორ მანეთზე მეტია.

შრომის კანონების გადათვალიერება

მოსკოვი, 17 აგვისტო. მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარიატმა დაამთავრა საკავშირო შრომის კომისარიატის გამოკვლევა. მიღებულია დადგენილება, რომლის ძალით იმ მიზნით, რათა შრომის კანონმდებლობა დაახლოებულ იქნეს მასებთან, გადათვალიერებულ უნდა იქნეს შრომის დაცვის დარგში გამოცემული ყველა კანონები.

ფასი ბამბის ნედლეულზე

მოსკოვი, 17 აგვისტო. საკავშირო შრომისა და თავდაცვის საბჭომ დაადგინა წელს ფასები ბამბის ნედლეულზე დატოვებულ იქნეს ისეთივე, როგორიც გასულ წელს იყო.

კომინტერნის VI მსოფლიო კონგრესი

16 აგვისტოს დილის სხდომა

კამათი კოლონიალური საკითხის ირგვლივ

მოსკოვი, 17 აგვისტო. კონგრესის დილის სხდომა 16 აგვისტოს გაიხსნა ამხ. სიკან დერის თავმჯდომარეობით. განაგრძეს კამათი კოლონიალური საკითხის ირგვლივ.

ემბერ დროს სიტყვა

„ლათინური ამერიკის ქვეყნებში, — სთქვა ემბერ დრომ, — რევოლუციონური მოძრაობა სწრაფად იზრდება. ძლიერდება ბრძოლა უცხოეთის იმპერიალიზმის წინააღმდეგ; ჩქარის ტემპით იზრდება აგრეთვე რევოლუციონური მოძრაობა გლეხთა შორის.

ლათინურ ამერიკაში ამჟამად ბრძოლაა ჰეგემონიისთვის ლათინურ და ამერიკულ იმპერიალიზმს შორის. სამხრეთ ამერიკის ხალხთა განმათავისუფლებელ მოძრაობას ჩვენ უნდა შევხედოთ, როგორც რევოლუციონურ წარმატებას, რომელსაც დიდი მნიშვნელობა აქვს. ლათინური ამერიკის ქვეყნებში ერთნაირად არ მიმდინარეობს ეკონომიური განვითარება, არც უცხოეთის იმპერიალიზმმა მოიკიდა ფეხი ერთნაირად ამ ქვეყნებში. მაგრამ საერთო მოვლენას ლათინური ამერიკის ყველა ქვეყნისთვის წარმოადგენს ნახევრად კოლონიალური დამოკიდებულება: ეს ქვეყნები ან ამერიკის ან ინგლისის კაპიტალის გავლენას განიცდიან. ამ ქვეყნებმა თავი გაინთავისუფლეს ესპანეთის და პორტუგალიის ბატონობისაგან. ფორმალურად სამხრეთ ამერიკამ პოლიტიკური დამოუკიდებლობა მოიპოვა, მაგრამ ფაქტიურად ის ამერიკის და ინგლისის იმპერიალიზმის ექსპლოატაციის ობიექტს წარმოადგენს. ინგლისი, რომელსაც ომამდე ეკუთვნოდა ჰეგემონია სამხრეთ ამერიკაში და რომელსაც დაბანდებული კაპიტალით დღესაც პირველი ადგილი უჭირავს იქ, თანდათან იდევნება შეერთებული შტატების რესპუბლიკის მიერ. მთელი ლათინური ამერიკის იმპორტის ორი-მესამედი შეერთებული შტატების რესპუბლიკას ეკუთვნის. სამხრეთ ამერიკის ცალკე სახელმწიფოები პოლიტიკურად და ფინანსიურად მთლად შეერთებული შტატების გავლენის ქვეშ იმყოფებიან.

ინტერვენცია ნიკარაგუაში მოწმობს, რა სიმკაცრით მოქმედებს ამერიკული იმპერიალიზმი მაშინ, როცა მის პოლიტიკურ გავლენას საფრთხე მოელის. მეორე საშუალება, რომლითაც ამერიკული იმპერიალიზმი გზას იკვლევს ლათინურ ამერიკაში, არის პან-ამერიკანიზმი. ამასთან დაკავშირებით უნდა განვიხილოთ ჩვენ წარმოშობა შრომის პან-ამერიკული ფედერაციისა, რომელიც ამერიკის შრომის ფედერაციის ხელმძღვანელობით, ცდილობს ლათინური ამერიკის მუშათა მოძრაობაში შეიტანოს კორრუპციის მეთოდები.

ლათინურ ამერიკაში არ არის განვითარებული ნაციონალური კაპიტალი; ლათინური ამერიკის ქვეყნები აგრარულ ხასიათს ატარებენ, და მსხვილი მიწათმფლობელობა იქ უპირატეს როლს თამაშობს. მსხვილი მიწათმფლობელები მჭიდროთ არიან დაკავშირებულნი უცხოეთის იმპერიალიზმთან, რომელიც მათ იყენებს, როგორც იარაღს. ამერიკული კაპიტალი ხელს უწყობს ინდუსტრიალიზაციას, მაგრამ იგი განისაზღვრება მხოლოდ ნედლეულის წყაროებით, ექსპლოატაციით და დამუშავებითი მრეწველობის განვითარებით. ამერიკის იმპერიალიზმის მიზანს სრულიადაც არ შეადგენს ის, რომ ინდუსტრიალიზაციის აღორძინებით ლათინურ ამერიკას დაუკარგოს კოლონიალური ქვეყნის ხასიათი; პირიქით, ლათინური ამერიკის მრეწველობის განვითარება დაკავშირებულია მხოლოდ კოლონიზაციის განვითარებასთან.

რევოლუციონური მოძრაობა სამხრეთ ამერიკაში წლითი წლობით იზრდება. უკანასკნელი წლების რევოლუციონურ მოძრაობას ახასიათებს ბრძოლა გლეხთა—მათ შორის ინდიელ გლეხთა — ფართო მასებისა მიწისთვის, ნახევრად ფეოდალური ჩაგვრისაგან განთავისუფლებისათვის, მუშათა კლასის ბრძოლა თავისი მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის, აგრეთვე ამ კლასებისა და წვრილი ბურჟუაზიის ბრძოლა იმპერიალიზმის წინააღმდეგ. ეს რევოლუციები ატარებენ ბურჟუაზიულ - რევოლუციონურ ხასიათს, ზოგჯერ ისინი ერთ ადგილსაც ტკეპნიან და ხშირად თავიანთ განვითარებაში უკანაც იხევენ. ამის მიზეზად უნდა ჩაითვალოს ის, რომ წვრილი ბურჟუაზია, როცა იგი ფართო მასების დახმარებით ხელისუფლების სადავეს იგდებს, ქედს იხრის ამერიკული იმპერიალიზმის წინაშე და არ ასრულებს მუშებისა და გლეხების მოთხოვნებს. ეს ცხადია, იწვევს მუშებისა და გლეხების წინააღმდეგობას, და ჩვენ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლათინურ ამერიკაში არის სათანადო ნიადაგი იმისთვის, რომ ბურჟუაზიულ - დემოკრატიული რევოლუცია გადაიქცეს სოციალისტურ რევოლუციად.

ლათინური ამერიკის კომპარტიებმა უნდა დასვან საკითხი განმათავისუფლებელ მოძრაობაში პროლეტარიატის ჰეგემონიის შესახებ, უნდა იმუშაონ მუშებისა და გლეხების რევოლუციონური ბლოკის შესაქმნელად და ამ ბლოკში არ უნდა დაუშვან წვრილ - ბურჟუაზიული ელემენტები; მაგრამ შესაძლებელია მათთან მთლიანი ფრონტი იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლაში. ამ რევოლუციონურმა ბლოკმა უნდა გადაისროლოს მსხვილი მიწათმფლობელობის, ბანკების და სამრეწველო საწარმოთა ნაციონალიზაციის ლოზუნგი.

პან - ამერიკულ იდეას უნდა დაუპირისპიროთ ლათინური ამერიკის საბჭოთა რესპუბლიკების კავშირის იდეა. ჩვენ მოვითხოვთ აგრეთვე ლათინური ამერიკის პროფმოძრაობის გაერთიანებას მთლიან რევოლუციონურ ფედერაციაში. ჩვენს მთავარ მიზანს შეადგენს კომპარტიების აღზრდა და განმტკიცება, რათა ისინი გადაიქცნენ ნამდვილ ბოლშევიკურ კომპარტიებად. ჩვენ უნდა ვაწარმოოთ ენერგიული ბრძოლა რეფორმიზმის წინააღმდეგ და გავაძლიეროთ რევოლუციონური პროფკავშირები. თუ ლათინური ამერიკის კომპარტიები განახორციელებენ მათ წინაშე დასახულ ამოცანებს, მაშინ ისინი შესძლებენ მასების წაყვანას ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციისკენ და პროლეტარიატის დიქტატურისაკენ.

გელერის სიტყვა

„თეზისები კოლონიალური საკითხის შესახებ, — სთქვა ამხ. გელერმა (პროფინტერნი), —შეიძლება კომპარტიების ბრძოლის მნიშვნელოვან იარაღად იქცნენ, ოღონდ საჭიროა ზოგიერთი შესწორების შეტანა. თეზისებში სათანადო ყურადღება არ ექცევა კოლონიებში კაპიტალის შეჭრის როლს მათი დამონების მხრით. საკმაოდ არაა შეფასებული აგრეთვე ზანგების საკითხის საერთაშორისო მნიშვნელობა. თეზისებში არ არის აღნიშნული, რომ აგრარულ საკითხს ზანგებით დასახლებულ კოლონიებში არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე ჩინეთში. საკმაოდ არ არის გაშუქებული ინდოეთის პრობლემები. ზოგიერთ პუნქტში შეცდომითაა გადატანილი გომინდანის პირველი პერიოდის გამოცდილება სვარაჯისტების გამოცდილებაზე. თანამედროვე პერიოდის დამახასიათებელ მხარეს წარმოადგენს ინდოეთის ფართო მასების ჩამოშორება ბურჟუაზიისაგან. ინდოეთის მუშები სულ უფრო და უფრო მთლიანი ფრონტით გამოდიან ტრესტებში გაერთიანებულ კაპიტალის წინააღმდეგ. მიუხედავად ცალკე შეცდომებისა, ინდოეთის პროფკავშირების მემარცხენე ფრთის გავლენა იზრდება. კომპარტია და პროფმოძრაობის მემარცხენე ფრთა იდეოლოგიურად უნდა განმტკიცდნენ და მაშინ შესძლებენ ისინი თავიანთი ამოცანების განხორციელებას. მეტროპოლიის კომპარტიებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ კოლონიების რევოლუციონური მოძრაობის ხელმძღვანელობაში და მათ არ უნდა დაეკისრონ პასუხისმგებლობა მარტო კოლონიების კომპარტიებს, ამერიკისა და ბრიტანეთის კომპარტიებმა უნდა გასწიონ პროპაგანდა ირლანდიელ მუშებს შორის ინგლისსა და ამერიკაში და დახმარება აღმოუჩინონ ირლანდიის კომპარტიას.

ბანდერასის სიტყვა

„თეზისებში არაფერია ნათქვამი სოფლის პროლეტარიატის პროფკავშირებში დარაზმვის შესახებ კოლონიებში, — სთქვა ამხ. ბანდერასმა (გლეხინტერნი). ემბერ დროს აზრი, რომ მექსიკის რევოლუციონური მოძრაობა ამჟამად ნელდება, სწორი არ არის. თუმცა ბურჟუაზიული ელემენტები უთანხმდებიან იმპერიალისტებს, მაგრამ მასიური მოძრაობის ხელმძღვანელობა პროლეტარიატსა და რევოლუციონური გლეხობის ორგანიზაციების ხელში გადადის. მე არ ვიზიარებ ემბერ დროს იდეას ლათინური ამერიკის შრომის ფედერაციის შექმნის შესახებ, ვინაიდან ამას ობიექტიურად შეუძლია ჩამოაშოროს ლათინური ამერიკის პროლეტარიატი შეერთებულ შტატებს და გააძლიეროს წვრილ - ბურჟუაზიული გავლენა მუშათა და გლეხთა მასებში“.

ვოროვსკის სიტყვა

„კანტონის მოძრაობის ოპორტუნისტული კრიტიკოსების საწინააღმდეგოდ, — სთქვა ვოროვსკიმ (ჩინეთი), — საჭიროა აღინიშნოს, რომ ეს აჯანყება იყო უდიდესი რევოლუციონური მოძრაობა აღმოსავლეთში. აჯანყების დროს დაშვებულ იქნა შეცდომები, კერძოდ სუსტი იყო ხელმძღვანელობა და სამხედრო მომზადება. ჩინეთის კომპარტიაში უნდა შევებრძოლოთ პუტჩისტურ იდეებს, მაგრამ მთავარი საფრთხე — ოპორტუნისტული ტენდენციებია, რომელთა წინააღმდეგ საჭიროა გადამწყვეტი ბრძოლა“.

ხაიდარის სიტყვა

„ინგლისის იმპერიალიზმი ახლო აღმოსავლეთში, — სთქვა ხაიდარმა (პალესტინა), — ცდილობს გამოიყენოს კლასობრივი წინააღმდეგობანი ნაციონალურ - რევოლუციონური მოძრაობის შესასუსტებლად. ეგვიპტეში ინგლისის იმპერიალიზმი აშინებს ბურჟუაზიას მუშათა კლასის ორგანიზაციული გამოსვლით. არაბეთსა, სირიასა და ერაქში მუშათა კლასმა სასტიკი დამარცხება განიცადა. ნაციონალისტებს იმედი გაუცრუვდათ ევროპის პროლეტარიატის დახმარებაში. ჩვენ უნდა დავამტკიცოთ, რომ ნაციონალურ - რევოლუციონურ მოძრაობას სხვანაირად უცქერით, ვიდრე რეფორმისტები, და ყოველგვარი დახმარება უნდა გაუწიოთ ამ მოძრაობას. ეგვიპტესა და ახლო აღმოსავლეთში ამას წინად მომხდარი ამბების შემდეგ ძალიან დიდი გადაჯგუფება ხდება. არ უნდა დავზოგოთ ძალ-ღონე, რათა უზრუნველვყოთ ჩვენი გავლენა მასებზე“.

ომურის სიტყვა

„იმპერიალისტებს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებასთან დაკავშირებით კოლონიებში, — სთქვა ომურმა (იაპონია), — საჭიროა განსაკუთრებით გაუსვათ ხაზი ომის საფრთხეს. რეფორმისტების გამცემლობას, რომლებიც იმპერიალისტურ კოლონიალურ პოლიტიკას უჭერენ მხარს, უფრო მკაფიოდ უნდა აღინიშნოს თეზისებში.

ორატორს თეზისებში შეაქვს რამდენიმე შესწორება, რომლებშიაც უფრო კონკრეტულადაა აღნიშნული მეტროპოლიის კომპარტიების მიერ კოლონიალურ რევოლუციონურ მოძრაობისათვის მხარის დაჭერის საკითხი.

კამათი კოლონიალური საკითხის გარშემო გაგრძელდა 16 აგვისტოს საღამოს სხდომაზე. (ადს).

16 აგვისტოს საღამოს სხდომა

მოსკოვი, 17 აგვისტო. 16 აგვისტოს, კომინტერნის მე-VI კონგრესის საღამოს სხდომა გაიხსნა ამხ. სიუს (ჩინეთი) თავმჯდომარეობით. დღის წესრიგშია კამათი კოლონიალური საკითხის გარშემო. პირველად გამოვიდა ამხ. კატაიამა.

ამხ. კატაიამას სიტყვა

რევოლუციონური მოძრაობა კორეაში, სთქვა ამხ. კატაიამამ, მეტის-მეტად მძიმე მდგომარეობაში იმყოფება მწვავე ფრაქციული ბრძოლის წყალობით; ამაში მთავარი დანაშაული მიუძღვის კორეის პარტიის ხელმძღვანელობას, რომელიც მხოლოდ ინტელიგენტებისაგან შესდგება. რასაკვირველია, ჩვენ კოლონიებში ყოველგვარი ძალ-ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ პარტიისათვის დავიჭიროთ ინტელიგენციის საუკეთესო ძალები, მაგრამ ამავე დროს ჩვენ უნდა ვცდილობდეთ მოწინავე მუშათა კადრის შექმნასა და აღზრდას პარტიული ხელმძღვანელობის პროლეტარიზაციისათვის.

ამხ. დარსის სიტყვა

ჩვენ უნდა ხელი მივყოთ რევოლუციონური მასიური ორგანიზაციების შექმნას კოლონიალური ახალგაზრდობისაგან—სთქვა ამხ. დარსიმ (ამერიკის კომკავშირი).

ჩვენი მუშაობის გამოცდილება მექსიკასა და ჩინეთში ადასტურებს ახალგაზრდობის კომუნისტური კავშირების მოწყობის შესაძლებლობას კოლონიალურ და ნახევრად კოლონიალურ ქვეყნებში. მექსიკის კომკავშირი რიცხვობრივად კომუნისტურ პარტიას აღემატება კიდეც.

ამხ. რუს სიტყვა

კომუნისტური პარტიის მოუმზადებლობამ 1926 წელს—სთქვა ამხ. რუმ (სამხრეთი აფრიკა)—რეფორმისტებს გაუადვილა კომუნისტების სამხრეთ-აფრიკის ადგილობრივ მკვიდრთა პროფკავშირებიდან გამორიცხვა, მაგრამ უკანასკნელი წლების განმავლობაში ჩვენმა პარტიამ მიაღწია სრულიად დამაკმაყოფილებელ შედეგებს საპროფკავშირო მუშაობაში, უმთავრესად, ადგილობრივ მკვიდრთა ახალ პროფკავშირების მოწყობის საშუალებით.

ჩვენი პარტიის, როგორც ყველა პარტიისა კოლონიებში, უახლოესი ამოცანა არის: საპროფკავშირო მუშაობის გაძლიერება, მუშაობის გაძლიერება ადგილობრივ მკვიდრთა ახალი პროფკავშირების მოსაწყობად, ხელმძღვანელი თასნობის გამოჩენა პროფკავშირებში შეუკავშირებელი თეთრი მუშების და, სარაზმავად, ბრძოლის გაძლიერება ადგილობრივ მკვიდრთა ახალი პროფკავშირების შესავლელად სამხრეთ-აფრიკის პროფკავშირთა გაერთიანებაში

ამხ. ჟაკმოტის სიტყვა

სოციალ-დემოკრატიის საქციელი კოლონიალურ საკითხში—სთქვა ამხ. ჟაკმოტმა (ბელგია) დაფუძნებულია არა მარტო რევოლუციონური პრინციპების ღალატზე, არამედ ეკონომიურ კავშირზედაც, რომელიც არსებობს სოციალ-დემოკრატიის ზედაფენსა და კაპიტალისტურ კოლონიალურ კომპანიებს შორის. ამ ფაქტმა ყველაზე ნათელი გამოხატულება ჰპოვა იმაში, რომ ბელგიის სოციალ-დემოკრატია კოლონიალური კომპანიის აქციონერია კონგოში.

ამხ. დევისერის სიტყვა

ხალხის რევოლუციონური მასები კოლონიებში და პროლეტარიატი მეტროპოლიებში ერთი მტრის სპირდებათ—სთქვა ამხ. დევისერმა (ჰოლანდია). ჰოლანდიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ამოცანა ის არის, რომ დაინტერესოს ჰოლანდიის პროლეტარიატი ინდონეზიის ხალხის რევოლუციონური ბრძოლით და გაუღვიძოს მას თანაგრძნობა. ჰოლანდიის კომპარტია, როდესაც კამპანიას აწარმოებდა ინდონეზიის ამ ხალხის დასაცავად, რომელიც თავისუფლების მოსაპოვებლად აჯანყებებს აწყობდა უკანასკნელი საუკუნის განმავლობაში, იძულებული იყო ებრძოლა მე-II ინტერნაციონალის ყველაზე უფრო რეაქციონური პარტიის—ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ. ჰოლანდიის სოციალ-დემოკრატიული პარტია იცავდა ჰოლანდიის ბურჟუაზიის კოლონიალურ ინტერესებს და მან მოიწონა კიდეც ინდონეზიის უკანასკნელი აჯანყების სისხლისღვრით ჩაქრობა.

ამხ. ჰომეცის სიტყვა

ამერიკის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის უმრავლესობის პოლიტიკა—სთქვა ამხ. ჰომეცმა (ჩრდ. ამერ. შეერთ. შტატები)—ადასტურებს ამერიკის იმპერიალიზმის როლის შემცდარ შეფასებას.

რაც შეეხება ლათინური ამერიკის ქვეყნებს, ჩვენ ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ მიმართულ ბრძოლაში უნდა წამოვაყენოთ „ლათინური ამერიკის შეერთებული შტატების“ ლოზუნგი. თავის-თავად ცხადია, რომ აქ ლაპარაკი არ არის ლათინური ამერიკის ახლანდელი სახის ქვეყნების ფედერატიული კავშირის შესახებ. ჩვენი ძირითადი ამოცანები შეიძლება მოკლედ ასე ჩამოვაყალიბოთ: დავარაზმოთ მუშათა კლასი იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მისი განთავისუფლება პაციფისტების გავლენისაგან, მჭიდრო კავშირი ამერიკის მუშათა კლასსა და კოლონიების რევოლუციონურ პროლეტარიატს შორის და მუშაობის გაძლიერება ზანგებს შორის.

ამხ. ბენეტის სიტყვა

ამხ. ბენეტი (ინგლისი) არ ეთანხმება თეზისების იმ ნაწილს, რომელიც ინდოეთს შეეხება, ეხლა, როცა ინდოეთში მწვავდება კლასობრივი ბრძოლა და იქ ხდება ძლიერი გაფიცვები, ინდოეთზე არ შეიძლება ვილაპარაკოთ როგორც მეტროპოლიის აგრარულ დანართზე, როგორც დიდ სოფელზე. ამან გამოიწვია ინდოეთის მუშათა მოძრაობის და ეროვნულ-რევოლუციონური მოძრაობის ჯეროვანად შეუფასებლობა.

ინდოეთის ინდუსტრიალიზაციის დარგში გადამწყვეტი ფაქტორია არა კაპიტალის იმპორტი ინგლისიდან, და ინგლისის კაპიტალის მონაწილეობა ინდუსტრიალიზაციის პროცესში, არამედ ის, რომ ინდოეთის სამრეწველო განვითარება სწარმოებს ინგლისის კაპიტალიზმის კონტროლით.

თავის-თავად ცხადია, რომ ინგლისის კაპიტალიზმი სრულებით არ არის დაინტერესებული ინდოეთის საწარმოო ძალთა განვითარებაში. მაგრამ მაინც დიდი შეცდომა იქნება იმის მტკიცება, რომ ინგლისი ამასთან დაკავშირებით უბრუნდება მე-19 საუკუნის ძველ პოლიტიკას.

თეზისებში არ არის ინდოეთის ბურჟუაზიის სწორი დახასიათება, რომლის ნაწილი უკვე ეხლავე თანამშრომლობს ბრიტანეთის იმპერიალიზმთან და რომელმაც უღალატა ნაციონალურ რევოლუციას, რასაც მოწმობს ბარდოლის რაიონში მომხდარ გლეხთა აჯანყების მაგალითი. ინდოეთის ბურჟუაზიამ ჩინეთის რევოლუციის გამოცდილების მიხედვით უკვე იცის, რომ ეროვნული რევოლუცია ფაქტიურად არის აგრარული რევოლუცია და მუშათა და გლეხთა მასების ხელისუფლებისათვის ბრძოლის დასაწყისი. ამიტომ დამღუპველი ილუზიაა იმის ფიქრი, რომ ეს ბურჟუაზია მიიღებს მონაწილეობას ეროვნულ რევოლუციაში. სვარაჯისტების პარტია არის ბურჟუაზიულ-რევოლუციონური პარტია, რომელიც უშუალო რევოლუციონური სიტუაციის დროს გადავა ბრიტანეთის იმპერიალიზმის ბანაკში. ძალიან სასურველია, რომ ამ მომენტებმა გამოხატულება ჰპოვოს თეზისებში.

აუცილებელია აგრეთვე დიდი ყურადღება მიექცეს ზანგების საკითხს. ეს მომენტი აღნიშნულ უნდა იქნას ამერიკის და სამხრეთ-ამერიკის კომუნისტური პარტიების პროგრამებში.

ამხ. მიხა ცხაკაიას სიტყვა

„საბჭოთა კავშირში,—ამბობს ამხ. მიხა ცხაკაია(საქართველო), არავითარი კოლონიალური საკითხი არ არსებობს. ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო როგორც მეფის, ისე დასავლეთ-ევროპის კოლონიალურ პოლიტიკას კავკასიაში და ეროვნებათა ჩაგვრას ყოფილი რუსეთის იმპერიის მთელ ტერიტორიაზე. საბჭოთა კავშირში მოეწყო მთელი რიგი საბჭოთა ავტონომიური რესპუბლიკები. ამ რესპუბლიკებმა არა მარტო გადასწყვიტეს ეროვნული ენის საკითხი, არამედ შექმნეს იმის შესაძლებლობა, რომ ქალაქისა და სოფლის მოსახლეობამ გაერთიანებული ძალებით ითანამშრომლონ განთავისუფლებული ხალხების კულტურული და ეკონომიური განვითარების საქმეში და შეურყევლად აიღონ კურსი სოციალიზმის მშენებლობაზე.

ჩვენი სურვილია, რომ ძმურმა პარტიებმა კოლონიალური საკითხის გადაწყვეტის დროს გამოიყენონ ჩვენი გამოცდილება“.

ამხ. როტშტეინის სიტყვა

„იმპერიალიზმის არსებობის ანალიზი, რომელიც თეზისებშია მოყვანილი,—ამბობს ამხ. როტშტეინი, (ინგლისი) არ არის სწორი. თეზისებში ნათქვამია, რომ იმპერიალისტური ეკონომიური პოლიტიკის საერთო პრინციპი მდგომარეობს იმაში, რომ კოლონიები გადაქცეულ იქნან ისეთ ადგილებად,სადაც იაფი საწარმოო პროდუქტები და ნედლეული დამზადდება მეტროპოლიისათვის. ეს არ არის სწორი.

კაპიტალის გატანა არ არის შემთხვევითი, დამხმარე ფაქტორი, ეს არის იმპერიალისტური კოლონიალური პოლიტიკის ძირითადი ფაქტორი. იმპერიალისტური პოლიტიკის მთავარი მამოძრავებელი ძალა მდგომარეობს არა იმაში, რომ კოლონიები შეუფერხლად საკუთარი მრეწველობის მოთხოვნილებებს, არამედ იმაში,რომ რაც შეიძლება მეტი მოგება მიიღონ. სწორედ ეს პოლიტიკა აიძულებს იმპერიალისტებს თავისი სურვილის წინააღმდეგ შეუწყონ ხელი კოლონიების ინდუსტრიალიზაციას, ეს რომ არ შეეფერებოდეს სინამდვილეს, მაშინ ჩვენ ჩავარდებოდით წინააღმდეგობაში და ვიტყოდით, რომ კოლონიებში იზრდება სოციალური ანტი-იმპერიალისტური ძალები და პირველ რიგში პროლეტარიატი. იმპერიალიზმის ანალიზის ეკლექტიური ხასიათი თეზისებში წყაროა მთელი რიგი სხვა შეცდომებისაც. ამიტომ მე ვფიქრობ, რომ თეზისების ის ნაწილი, რომელშიც ლაპარაკია იმპერიალიზმის არსებაზე, ხელახლად უნდა იქნას გადამუშავებული“.

ამხ. როტშტეინის სიტყვის შემდეგ სხდომა დაიხურა (ადს).

საქმე ქალის წამების შესახებ

ალი-ბაირამლი, 17 აგვისტო. 15 აგვისტოს საღამოს დამთავრდა ბრალდებულთა დაკითხვა და დაიწყო მოწმეთა დაკითხვა, რომელიც გრძელდებოდა 16 აგვისტოს დილის სხდომაზე.

ბრალდებულებმა—სადიხოვის ცოლმა გიულამ და სადიხოვის ძმამ საქმეში არ სცნეს თავი დამნაშავედ. მათ ჩვენებას საქმეში ახალი არაფერი შეუტანია.

ბრალდებულმა მუსტიევმა, კარატუგონის საბჭოს თავმჯდომარემ, უამბო სასამართლოს, რომ პირველად დურუშის მიჯაჭვის შესახებ მან გაიგო 1926 წელში. 1927 წელს იგი ამოირჩიეს სოფლის საბჭოს თავმჯდომარედ. მაშინ მან ყოველივე აცნობა დაირას თავმჯდომარეს, რის პასუხად უკანასკნელმა განაცხადა, რომ სადიხოვს აქვს სათანადო დოკუმენტი ექიმისაგან, და რომ „ეს ჩვენი საქმე არ არის“-ო. შემდეგ მუსტიევმა მისწერა მაზრის აღმასკომს, მაგრამ პასუხი არ მიუღია.

დაირას თავმჯდომარე ორუჯევი კატეგორიულად აცხადებს, რომ მან არაფერი არ იცოდა დურუშის შესახებ, რომ არავის არაფერი არ შეუტყობინებია მისთვის, ეხლა კი განზრახ სწამებენ ცილს, რომ შეამსუბუქონ თავისი მდგომარეობა.

მოწმეებიდან პირველად დაჰკითხეს ბოჩკარიოვს, რომელმაც გამოაშკარავა საქმე. მან აჩვენა სასამართლოს, რომ მას შემდეგ, რაც აპრილში იგი დადგა სამსახურში წყალსაქაჩის მექანიკოსად, მან ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ სადიხოვის სარდაფში დამწყვდეულია ნახევრად შეშლილი დედაკაცი. ბოჩკარიოვი, სადიხოვის წინადადებით, დასახლდა სადიხოვთან, სადაც გაიგო, რომ ქალი ჯაჭვით არის შებორკილი. მან აცნობა ამის შესახებ სოფლის საბჭოს თავმჯდომარეს. უკანასკნელმა უპასუხა, რომ მან ამის შესახებ უკვე შეატყობინა დაირას თავმჯდომარეს. ბოჩკარიოვმა შემდეგ მისწერა მაზრის აღმასკომს, მაგრამ პასუხი არ მიუღია. მაისის დამლევს ბოჩკარიოვმა დასტოვა სამსახური და გაემგზავრა ბაქოში, სადაც ყველაფერი აცნობა იუსტიციის სახალხო კომისარიატს. შემდეგ მოწმემ მოუთხრო სასამართლოს, თუ როგორ განთავისუფლდა დურუში პროკურორ ხუდადატოვმა.

დაზარალებულის მცირეწლოვან ძმა და დამ, რომლებმაც წინასწარ გამოძიებაზე აჩვენეს, რომ დურუშს აბამდნენ ბოძზე და სცემდნენ, სცვლიან თავის ჩვენებას და აცხადებენ, რომ დურუში სულ 2-3 დღე იყო ბოძზე მიჯაჭვული და რომ მისი წამების შესახებ მათ არაფერი არ იციან. ისინი უარს ამბობენ აგრეთვე იმის შესახებ, რომ მათ ცუდად ეპყრობოდნენ ბიძის სახლში.

ადგილობრივი წყალსაქაჩის მუშა მედვედევი მოუთხრობს სასამართლოს, რომ დურუშის ძმა და და ნახევრად მშიერი დაიარებოდნენ და მათ აუცილებლებდნენ მძიმე სამუშაოთი. მათ ყოველ დღე 50 ვედრო წყალი მიჰქონდათ ბიძის სახლში. ბავშვები სჩიოდნენ, რომ მათ სარდაფში დამწყვდეულ დას ცუდად ეპყრობიან.

დანარჩენ მოწმეებს არაფერი არსებითი არ უთქვამთ. დურუშის შეშლილობის შესახებ, ყველა მოწმე ლაპარაკობს მხოლოდ სადიხოვის და მისი ოჯახის სიტყვების მიხედვით. (ადს).

უკანასკნელი ცნობები

პოლონეთის გაზეთი „ეპოქა“ მოითხოვს პოლონეთ-ლიტვის დავის საბოლოოდ გადაჭრას

ვარშავა, 17 აგვისტო. ოფიციოზური გაზეთი „ეპოქა“ კომენტარიებს უკეთებს ლიტვის საპასუხო ნოტას გოლუბცკის წერილზე, რომელიც შეეხებოდა პოლონეთ-ლიტვის კონფერენციის პლენუმის მოწვევის ვადას; „ეპოქა“ სწერს: „პოლონეთის მთავრობამ ერთა ლიგის უახლოეს სესიაზე სამარცხვინო ბოლო უნდა დაუსვას ვოლდემარასის ტაქტიკას და მოითხოვოს საკითხის საბოლოოდ გადაჭრა. პოლონეთი ვერ დასთანხმდება, რომ ვოლდემარასი კვლავაც დასცინოდეს არა მარტო პოლონეთს, არამედ ჟენევის საერთაშორისო არეოპაგს. საკითხის გადადება აღარ შეიძლება და სექტემბრის სესიამ საბოლოოდ უნდა გადაჭრას იგი (ადს).

ფაშისტების თავდასხმა პროფკავშირების წევრთა კრებაზე

ბერლინი, 16 აგვისტო. ლერტში, ჰანოვერის მახლობლად, 50 ნაციონალ-სოციალისტი (ჰიტლერის ჯგუფის ფაშისტები) თავს დაესხნენ პროფკავშირების წევრთა კრებას. გაიმართა ხელჩართული ბრძოლა, რომლის დროსაც დაიჭრა რესპუბლიკანური ბაირაღის კავშირის 7 წევრი (ადს).

პროფკავშირების დაშლა პეკინსა და ტიანძინში

პეკინი, 17 აგვისტო. ადგილობრივი სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენელმა განუცხადა ჟურნალისტებს, რომ პეკინსა და ტიანძინში პროფკავშირების დროებითი გაუქმება შედეგია იმ პანიკისა, რომელიც მოედო საზოგადოებას მუშებისა და კომუნისტურ მღელვარებათა შესაძლებლობის გამო. სამხედრო ხელისუფლების წარმომადგენლის სიტყვით, ბრძანება პროფკავშირების დაშლის შესახებ მოიწონა ნანკინის მთავრობამ. მას აქეთ, რაც პეკინი სამხრეთის არმიამ დაიჭირა, აქ მოეწყო 80-ზე მეტი პროფკავშირი, რომელთა წევრების რიცხვი 80.000-ზე მეტია. (ადს).

ლანცუცკის საპატიმროდან ანთავისუფლებენ

ვარშავა, 17 აგვისტო. სამშაბათს, 21 აგვისტოს საპატიმროდან განთავისუფლებენ პოლონეთის სეიმის კომუნისტ დეპუტატ ლანცუცკის, რომელიც საპატიმროში იჯდა საერთოდ 4 ნახევარი წელიწადი (ადს).

ბაჩინსკიმ შიმშილობა გამოაცხადა

ვარშავა, 17 აგვისტო. სეიმის დაპატიმრებულმა დეპუტატმა კომუნისტმა ბაჩინსკიმ შიმშილობა გამოაცხადა და ამით პროტესტი გამოხატა საპატიმროს ადმინისტრაციის საქციელის წინააღმდეგ, რომელსაც ბაჩინსკი ჯერ მარტო ჰყავდა დამწყვდეული და შემდეგ გადაიყვანა სისხლის სამართლის დამნაშავეთა განყოფილებაში. „პავიაკის“ საპატიმროს პოლიტიკურმა ტუსაღებმა აუწყეს მას, რომ მზად არიან მხარი დაუჭირონ მის მოთხოვნილებას საყოველთაო შიმშილობის გამოცხადებით. (ადს).

პენსია „ინტერნაციონალის“ ავტორს

მოსკოვი, 17 აგვისტო. საკავშირო სახ. კომისართა საბჭომ დაუნიშნა „ინტერნაციონალის“ მუსიკის ავტორს დეჟეიტერს პერსონალური პენსია—თვიურად 100 დოლარი.

საბჭოების საკავშირო ყრილობა

მოსკოვი, 17 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ცაკის პრეზიდიუმმა დაადგინა, 1929 წლის 15 აპრილს მოიწვიოს მოსკოვში საბჭოების საკავშირო ყრილობა. საკავშირო რესპუბლიკებში მორიგი საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად პრეზიდიუმმა დაადგინა, წინადადება მისცეს საკავშირო რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს საარჩევნო საანგარიშებო კამპანია დაიწყონ 1928 წლის დეკემბრიდან, ხოლო არჩევნები საბჭოებში 1929 წლის იანვრიდან (ადს).

ტოლსტოის დაბადების ასი წლის თავის გამო

მოსკოვი, 17 აგვისტო. რ. ს. ფ. ს. რ-ის სახ. კომ. საბჭომ გაიღო დამატებით 50.000 მანეთი ტოლსტოის დაბადებიდან ასი წლის შესრულების იუბილეს ჩასატარებლად ა(დს).

ინგლისის ინტერვენციის ნაშთი ბალტიის ზღვაში

ჩაძირული ნავის ამოღება

კრონშტადტი, 17 აგვისტო. ფლოტის პირად შემადგენლობაში დიდი ინტერესი გამოიწვია კოპორის ყურედან ინგლისის წყალქვეშა ნავის „ლ 55“-ის ამოღებამ. ეს ნავი 1919 წ. ჩაძირა ჩვენმა ნაღმოსანმა.

ამასთან დაკავშირებით საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელმა დაწვრილებითი ცნობების მისაღებად მიმართა საბჭოთა კავშირის სამხედრო რევოლუციონურ საბჭოს წევრს, სამხედრო-საზღვაო ძალების უფროსს ამხ. მუკლევიჩს, რომელმაც შემდეგი განაცხადა:

„ნავი „ლ 55“ ჩაძირა ჩვენმა ნაღმოსანმა „აზარდ“-მა 1919 წ. 4 ივნისის ბრძოლაში კოპორის ყურეში კრონშტადტის მახლობლად. ამ დღეს ნავმა იერიში მიიტანა ჩვენს ნაღმოსნებზე „გავრიილ“-ზე და „აზარდ“-ზე. მან ესროლა მათ სამი ნაღმი, მაგრამ უნაყოფოდ. შემდეგ წავიდა. ნაღმოსანმა „აზარდ“-მა დაუყოვნებლივ შეუტია ნავს და დაუწყო სროლა ყუმბარებით. ერთ-ერთი ყუმბარა მოხვდა ნავს, რომელიც იმ წამსვე აფეთქდა და ჩაიძირა მთელი თავისი ეკიპაჟით. ეს ნავი მხოლოდ 1919 წლის გაზაფხულს შეემატა ინგლისის წყალქვეშა ნავების რიცხვს. იგი ითვლებოდა საზოგადოდ „ლ“ კლასის ნავები დღემდე საუკეთესო ნავებად ითვლებიან დიდი ბრიტანეთის ფლოტში.

ნავი „ლ 55“ შედიოდა ინგლისის იმ გემების რაზმის შემადგენლობაში, რომლებიც მოქმედებდნენ ფინეთის ყურეში კონტრ-ადმირალის კოუენის სარდლობით. ამ რაზმის ამოცანას შეადგენდა კრონშტადტის აღება და ჩვენი სამხედრო გემების დაღუპვა, რის შემდეგ იგი უნდა დახმარებოდა თეთრებს ლენინგრადის დაპყრობაში. ინგლისის ფლოტმა რამდენჯერმე სცადა თავის განზრახვის შესრულება, მაგრამ ამაოდ. ამ ოპერაციების დროს 1918 წ. დეკემბრიდან 1919 წ. აგვისტომდე ნავის „ლ 55“-ის გარდა დაიღუპნენ: კრეისერი „კასანდრა“, ნაღმოსნები „ვიქტორია“ და „ვერულამ“, ნავების დამჭერი „ვენტიან“ და „მირდლ“ და 7 ნაღმოსანი კატერი. უკანასკნელნი დაიღუპნენ კრონშტადტზე მოტანილი იერიშის დროს 1919 წ. ამის შემდეგ ინგლისის ესკადრა წავიდა, მისმა ცდებმა, როგორც ვსთქვი, უნაყოფოდ ჩაიარა.

ნავი „ლ 55“ ამოიღეს 15 საჟენის სიღრმიდან განსაკუთრებით ცუდ პირობებში ამინდის მხრივ (სიცივე, ძლიერი ღელვა). დაზიანების მიუხედავად ნავის კორპუსი და მექანიზმი კარგ მდგომარეობაშია. ნაღმოსან „აზარდ“-ს (ამჟამად „ზინოვიევ“-ს) მაშინ უფროსობდა ამხ. ნესვიცკი, კრეისერ „ჩერვონ უკრაინა“-ს დღევანდელი უფროსი, ხოლო ნაღმოსან „გავრილა“-ს ამხ. სევასტიანოვი, რომელსაც დიდი სამხედრო დამსახურება ჰქონდა და რომელიც შემდეგ დაიღუპა თავის ნაღმოსანთან ერთად. ამოღებული ნავი უხიტყვო მოწმეა „აზარდ“-ის ლამაზი და გაბედული შეტევის ამხ. ნესვიცკი დაჯილდოვებულია წითელი დროშის ორდენით.

უნებურად იბადება კითხვა: რას ეძებდნენ და რა უნდოდათ ინგლისელებს ჩვენს ტერიტორიალურ წყლებში? ომის ფორმალურად გამოუცხადებლად ისინი დაგვესხნენ თავს, ანადგურებდნენ ჩვენს გემებს, ყუმბარებს უშენდნენ ჩვენს ფორტებს. ინგლისის ფლოტმა მუხანათურად დაღუპა კრეისერი „ოლეგი“ და სამოსწავლო გემი „აზოვ ხსოვნა“. ინგლისის ნაღმებისაგან დაიღუპა სამი ნაღმოსანი: „კონსტანტინ“-ი „სვობოდა“ და ზემოხსენებული „გავრილა“. ინგლისის მონიტორი „ერებუს“-ი თავის 715 დიუმიანი არტილერიით ხშირად უშენდა ყუმბარებს „კრასნი გორკას“. ინგლისელებმა ისარგებლეს ძლიერის უფლებით, შემოიჭრნენ ჩვენს სახლში მუშათა და გლეხთა დასახოცავად, ჩვენი რევოლუციის დასამარცხებლად, მაგრამ ამაოდ—ინგლისელებმა ვერაფერს ვერ მიაღწიეს. ჩვენ მიერ ამოღებული ნავი „ლ 55“—ამის ნივთიერი დამამტკიცებელი საბუთია. ნავის ძირზე აღმოაჩინეს ეკიპაჟის გვამები. ეს ხალხი ჩვენი მტერი იყო, მაგრამ წითელი მეზღვაურები არ გრძნობდენ მათ მიმართ მტრობას. ინგლისის მეზღვაურები ასრულებდნენ იმათ ნებისყოფას, ვინც ისინი გამოგზავნა, და დაიღუპნენ. ჩვენ გავუწევთ ანგარიშს ინგლისის მთავრობის სურვილს დაღუპულთა დაკრძალვის წესიერ და მათი ქონების ბედ-იღბლის შესახებ. ყოველ შემთხვევაში, მათ ცხედარს მიაბარებენ მიწას სათანადო სამხედრო პატივისცემით“ (ადს).

საკავშირო სპარტაკიადა

ამიერ-კავკასიის ბრწყინვალე გამარჯვება

მოსკოვი, 17 აგვისტო. საკავშირო რესპუბლიკების პირველობის გათამაშების დროს ფეხბურთის შეჯიბრებაში მოხდა ა.-კავკასიის მეორე შეხვედრა უზბეკისტანთან, რადგან პირველი შეხვედრა უშედეგოდ დამთავრდა. შეჯიბრების პირველ ნახევარში ორივე გუნდი უხალისოდ თამაშობდა. უზბეკისტანის გუნდმა შეიტანა პირველი ბურთი ამიერ-კავკასიის კარებში. 20 წუთის შემდეგ, ამიერ-კავკასიელები გაუსწორდნენ უზბეკისტანელებს. მე-36 წუთზე ამიერ-კავკასიელმა თურქიამ მეორედ გაატარა ბურთი მოწინააღმდეგის კარებში. ამით დამთავრდა თამაშის პირველი ნახევარი. თამაში უფრო გაცხოველდა დასვენების შემდეგ. ორივე გუნდი ცდილობდა ხელთ ეგდო თამაშის ინიციატივა. ამიერ-კავკასიელები სჯობნიდენ და თამაში თითქმის სულ უზბეკისტანელების კარებთან სწარმოებდა. მე-12 წუთზე ამიერ-კავკასიელების თავდასხმის მემარჯვენე ფრთამ გნეზდოვმა შორიდან შეიტანა მესამე ბურთი უზბეკისტანელების კარებში. 3 წუთის შემდეგ გნეზდოვმა კვლავ შეიტანა ბურთი. ამიერ-კავკასიელები აშკარად სჯობნიდნენ. თამაშობის დროს ხშირი იყო ლამაზი კომბინაციები. 5 წუთით წინ თამაშის დამთავრებამდე უზბეკისტანელების კარებში შეტანილ იქნა უკანასკნელი მეხუთე ბურთი. თამაში დამთავრდა ამიერ-კავკასიელების ბრწყინვალე გამარჯვებით, შემდეგი ანგარიშით 5:1.

ამიერ-კავკასიელების შემდეგი შეხვედრა მოხდება უკრაინელებთან 18 აგვისტოს (ადს).

ა.-კ. რესპუბლიკების 5-წლიანი სამრეწველო გეგმების საკონტროლო ციფრები

მოსკოვი, 17 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახ. მეურნ. უმაღლეს საბჭოს საგეგმო-ეკონომიურმა სამმართველომ მიიღო და დასკვნისათვის საკავშირო სახელმწ. საგეგმო კომისიას გადასცა ეროვნული რესპუბლიკების მრეწველობის ხუთწლიანი გეგმების საკონტროლო ციფრები.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკების საკონტროლო ციფრები ითვალისწინებს მრეწველობის ყველა დარგების განვითარებას, რომელთაც ნედლეულის ბაზა აქვთ თვით ამ.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკაში. დასახულია აგრეთვე მრეწველობის და იმ დარგების განვითარება, რომელთა ნაწარმოები ესაჭიროება ამ.-კავკასიას.

აზერბეიჯანში უმთავრესად განვითარებულ იქნება სამთამადნო, საფეიქრო და ნაწილობრივ სათევზო მრეწველობა. საერთო პროდუქცია 1927-28 წელში გამოიხატება 60,9 მილიონ მან., ხოლო 1932-33 წელში—151 მილიონ მან.

კაპიტალური ხარჯები ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 65.900 მილიონ მანეთს. წარმოებებში მომუშავე მუშათა რიცხვი მრეწველობის განვითარებასთან დაკავშირებით საგრძნობლად იქნება გადიდებული (მუშების რიცხვი მიმდინარე წელში უდრის 10.870, ხოლო 1932-33 წელში გადიდებულ იქნება 23.165 კაცამდე).

საქართველოს ხე-ტყის მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდებულ იქნება 39,9 მილიონ მან.-დან 102,5 მილიონ მან.-მდე. კაპიტალური ხარჯების საერთო თანხა ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 65.300 მილიონ მანეთს. წარმოებებში მომუშავე მუშათა რიცხვი გადიდებულ იქნება 8.857-დან 15.534 კაცამდე.

სომხეთის მრეწველობის საერთო პროდუქცია გადიდებულ იქნება 16 მილიონი მანეთიდან 76.5 მილიონ მანეთამდე, ხოლო კაპიტალური ხარჯების თანხა ხუთი წლის განმავლობაში შეადგენს 42,8 მილიონ მანეთს (ადს).

საუბარი ამხ. დოლგოვთან

მოსკოვი, 17 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ს. მ. უ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრმა ამხ. დოლგოვმა, ამ.-კავ. დეპეშათა სააგენტოს მოსკოველ კორესპონდენტთან საუბარში დაახასიათა რა რესპუბლიკების ხუთწლიანი გეგმების საკონტროლო ციფრები, აღნიშნა, რომ ეს გეგმები წარმოადგენს დიდ ნაბიჯს წინ განაპირა ადგილების ინდუსტრიალიზაციის გზაზე. ა.-კ. ს. ფ. ს. რ. მრეწველობის ხვედრითი წონა, მაგალითად, კავშირის მრეწველობის საერთო პროდუქციაში, ხუთი წლის განმავლობაში გაიზრდება 0,2 პროცენტით. ამიერ-კავკასიის და შუა აზიის მრეწველობის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად აღემატება მთელი საკავშირო მრეწველობის საშუალო ზრდის ტემპს. უნდა გავითვალისწინოთ, რომ ახალი მშენებლობის გაფართოება ეროვნულ რესპუბლიკებში ბრკოლდება ადგილობრივი ნედლეული რესურსების შეუსწავლელობის გამო. ამიტომ საკონტროლო ციფრებში გათვალისწინებულია საკმაოდ მნიშვნელოვანი ხარჯები სამეცნიერო-გამოკვლევითი მუშაობისათვის. ხუთწლიანი გეგმით დასახული ტემპის განხორციელებლათ და ახალი მშენებლობის გადაზე დამთავრებით განაპირა ადგილების მრეწველობის განვითარება დიდი ნაბიჯებით წავა წინ (ადს).

საქ. სახკომსაბჭოში

ქუთაის-გუმბრი-წყალტუბოს ტრამვაის ხაზის გაყვანა

საგეგმო კომისიისა და ს.მ.უ.ს. დასკვნის თანახმად, სახკომსაბჭომ მიზანშეწონილად და აუცილებელ საჭიროდ სცნო რიონჰესის მშენებლობასთან დაკავშირებით წინასწარ გამოკვლევის დაწყება ქუთაის-გუმბრი-წყალტუბოს ელექტრონის ტრამვაის ხაზის გასაყვანად.

ხსენებულ გამოკვლევისათვის საჭირო თანხა დამტკიცებულია 10.000 მანეთის რაოდენობით.

გამოკვლევის წარმოება და სესკიზო გეგმის შედგენა დაევალა ს.მ.უ.ს.

ცხინვალის ჰიდრო-ელსადგური

საქ. სახკომსაბჭომ დაადგინა აღიძრას შუამდგომლობა ა.-კ. სახკომსაბჭოს წინაშე სამხრეთ-ოსეთის ცაკ-ისათვის 30.000 მან. დოტაციის მიცემის შესახებ იმ სესხის დასაფარავად რომელიც მიღებული აქვს სამ. ოსეთის ცაკ-ს ცეკომბანკიდან ცხინვალის ჰიდრო-ელსადგურისათვის.

საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს ქონების გადამფასებელი კომისია

სახკომსაბჭოსთან მოეწყო სააქციო საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს ქონების გადამფასებელი კომისია ამხ. ვ. კანდელაკის თავმჯდომარეობით.

კოლექტიურ მეურნეობათა გამოკვლევა

სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო საბჭოთა და კოლექტიურ მეურნეობის გამოკვლევის ჩატარება.

გამოკვლევის ჩატარება დაევალა სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს.

კაპიტალი სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებისათვის

სახკომსაბჭომ დაამტკიცა ფინსახკომის მიერ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი საკრედიტო-კოოპერატიული სასოფლო-სამეურნეო ამხანაგობათა ძირითადი კაპიტალის ნაწილიდან სავაჭრო-სამრეწველო ოპერაციებისათვის სპეციალური კაპიტალის გამოყოფის

ა.-კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარის და ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ხელშემწყობი ცენტრ. კომისიის თავმჯდომარის ამხ. ელიავას მიმართვა

ამიერ-კავკასიის ყველა მშრომელს—მუშებს, გლეხებს, მოსამსახურეებს და მთელ მოსახლეობას

საბჭოთა კავშირის მთავრობამ გამოუშვა ინდუსტრიალიზაციის მე-2 ახალი სესხი 500 მილიონი მანეთისა. საბჭოთა ხელისუფლების არსებობის დღიდან პირველად გამოდის ჩვენში ასეთი დიდი სესხი—მთლიანი მუშურ-გლეხური სესხი, რომელიც ნავარაუდევია ქალაქისათვისაც და სოფლისთვისაც მთელი სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაციის მიზნით.

უდიდესი ამოცანები, რომლებიც დაგვისახა დიდმა ოქტომბერმა, სოციალისტურ საფუძველზე მრეწველობისა და სასოფლო მეურნეობის გარდაქმნის ამოცანები—ჩვენგან მოითხოვენ უდიდეს ძალღონისა და ენერგიის გამოჩენას, აგრეთვე დიდ მატერიალურ სახსრებს, რასაც მთლიანად ვერ მოგვცემს ნორმალური საბიუჯეტო შემოსავალი. სესხს გარედან, ევროპისა თუ ამერიკის კაპიტალისტური ქვეყნებისაგან და ბურჟუაზიულ მთავრობებისაგან ვერ მივიღებთ; ამიტომ ჩვენივე თავის იმედი უნდა გვქონდეს და საკუთარის ძალღონით უნდა უზრუნველვყოთ ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის განგრძობა და დამთავრება, მუშათა და გლეხთა მატერიალური თუ კულტურული მდგომარეობის გაუმჯობესება.

მაგრამ ეს დიდი ამოცანები—სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია და კულტურული რევოლუცია—უმისოდ ვერ განხორციელდება, თუ ჩვენი დიდი კავშირის ქალაქისა და სოფლის მშრომელთა უფართოესი მასები უაღრესად აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ, თუ ისინი თავის სახელმწიფოს უშუალოდ მატერიალურად არ დაეხმარებიან სესხის მიცემით.

ამ ამოცანებს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ამიერ-კავკასიის სოციალისტურ ფედერატიულ საბჭოთა რესპუბლიკისათვის, რომელიც ჯერ კიდევ ახლო წარსულში მეფის რუსეთის შორეული განაპირა ქვეყანა იყო, მისი კოლონია, თვითმპყრობელობის რეჟიმის ორმაგი უღლის მზიდველი—სოციალ-პოლიტიკური და ნაციონალური უღლისა, და საუკუნეთა განმავლობაში უუფლებობისა, სიღარიბისა და უმეცრების მორევში მცურავი. ყოფილი კოლონიის გარდაქმნა ინდუსტრიალურ ქვეყნად, რომელსაც დიდად განვითარებული სასოფლო მეურნეობა ექნება, და იქ კულტურული რევოლუციის წარმატებით დამთავრება მოითხოვს ამ.-კავკასიის მშრომელებისაგან დიდი მხნეობის გამოჩენას და დიდ მატერიალურ სახსრებს, თანხებს. ეს თანხები აუცილებლად საჭიროა, რათა დამთავრდეს და ამუშავდეს უკვე დაწყებული ქარხნები და ფაბრიკები თბილისსა, ბაქოსა, ლენინაკანსა, განჯასა, ქუთაისსა და სხვა ქალაქებში და განგრძობილ იქნას ახალი ფაბრიკების აგება ადგილობრივი ნედლეულის გამოსაყენებლად და დასამუშავებლად. თანხები დიდად საჭიროა იმისათვის, რომ ამიერ-კავკასია დაჰფაროს ელექტრო-სადგურების მჭიდრო ქსელმა, დამთავრდეს რიონჰესის, ძორაჰესის და სხვა დაწყებული ელექტრო-სადგურები და საძირკველი ჩაეყაროს ახლებს; თანხები საჭიროა რკინისგზების, და გზატკეცილების გასაუმჯობესებლად და გასაფართოებლად, შავი ზღვისა და ჯულფის რკინის გზების დასამთავრებლად და ახალი გზების გასაყვანად.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ქალაქების მძიმე საბინაო პირობები და სხვა კომუნალური საჭიროებანი მოითხოვენ აგრეთვე დიდ თანხებს საბინაო მშენებლობის მუშაობის ტემპის გაძლიერებისათვის და ქალაქების სამეურნეო თუ კულტურული განვითარებისათვის. კიდევ უფრო მეტ თანხებს მოითხოვს სასოფლო მეურნეობა აზერბეიჯანის თვალუწვდენელი ველების მოსარწყავად საქართველოსა და სომხეთის გაუდაბნოებული და დაჭაობებული ადგილების მოსაწყობად, ა.-კ. მდიდარი სატყეო მეურნეობის მოსაწესრიგებლად საბჭოთა კავშირისა და ამიერ-კავკასიის მრეწველობის ნედლეულის ბაზისა—ძვირფას და შრომის ტევად ტექნიკურ კულტურათა მიწების გასაფართოებლად, ნიადაგის დამუშავების საშუალებათა და იარაღთა სამექანიზაციოდ და გასაუმჯობესებლად.

ბოლოს, თვალსაჩინო ხარჯებს მოითხოვს კულტურული რევოლუცია დიად ჩამორჩენილ მხარეში, რათა ქალაქისა და მეტადრე სოფლის ქვედა ფენების კულტურა-განათლების დონემ მაღლა აიწიოს; ამისათვის კი საჭიროა ამიერ-კავკასიის სასწავლებელთა, სამკურნალო და სხვა კულტურულ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება.

ამიერ-კავკასიაში ასე ფართოდ განხორციელებული სახალხო მეურნეობის ინდუსტრიალიზაცია ასწევს ხალხის მასების ეკონომიურ და კულტურულ დონეს და მოსპობს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა რაიონში არსებულ მიწის სივიწროვეს.

ამიტომ ა.-კ. ს. ფ. ს. რესპუბლიკების მთავრობა მოუწოდებს ქალაქისა და სოფლის ყველა მშრომელს, ყველა მოქალაქეს—თავისუფალი პროფესიის პირებს, ხელოსნებს, შინამრეწველებს და კერძო საწარმოთა პატრონებს —მოაწერონ ხელი ახლად გამოშვებულ სესხზე, რომელიც ხელსაყრელი საშუალება არის თავისუფალი თანხების დაზოგვისა და მოთავსებისათვის.

მთავრობა განსაკუთრებული მხურვალე მოწოდებით მიმართავს ყველა მუშასა, გლეხსა და მოსამსახურეს—შეასრულონ თავისი კლასობრივი მოვალეობა მუშური რესპუბლიკის წინაშე, ხელი მოაწერონ სესხს და მისცენ პროლეტარულ სახელმწიფოს არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა სოციალისტური მშენებლობისათვის.

ამიერ-კავკასიის მთავრობა მოუწოდებს აგრეთვე პროფესიონალურ და საბჭოთა ორგანიზაციებს, მთელ საბჭოთა საზოგადოებრიობას, ყველა დაწესებულებასა და საწარმოს, აგრეთვე სესხისათვის მომუშავე ორგანოებს და სოფლისა თუ ქალაქის მთელ აქტივს უაღრესად ფართო დახმარება აღმოუჩინონ და ხელი შეუწყონ ამიერ-კავკასიის ფარგლებში ახალი სესხის რეალიზაციას უდიდესი მატერიალური ეფექტის მისაღწევად და შემდეგი ლოზუნგების განსახორციელებლად: „არც ერთი მშრომელი, არც ერთი მოქალაქე არ უნდა დარჩეს ისეთი, რომელიც არ შეიძენს სესხის ობლიგაციას“.

მთავრობა გამოსთქვამს მტკიცე რწმენას, რომ ახლაც, როცა მუშათა მასებში უკვე თვალსაჩინო გახდა მისწრაფება სესხის წარმატებით დასაგვირგვინებლად, ამიერ-კავკასია ყველა მშრომელის ერთსულოვანი დახმარებით გაანაღდებს რეალიზაციის საორიენტაციო ციფრს—13 მილიონ მანეთს ისეთივე წარმატებით, რანაირითაც იგი აქამდე ასრულებდა ყველა დაკისრებულ დავალებას წინა სესხთან საქმეში.

გაუმარჯოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა ძმურ კავშირს!

გაუმარჯოს მუშათა და გლეხთა კავშირს!

გაუმარჯოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირს—სოციალიზმის შენების ქვეყანას!

ა. კ. სახ. კომ. საბჭოს თავმჯდომარე და ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის ხელშემწყობი ცენტრ. კომისიის თავმჯდომარე

შ. ელიავა.

სესხის ქრონიკა

სააგიტაციო მასალა

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატის ცნობით, სააგიტაციო მასალა წარმოება-დაწესებულებებს დაეგზავნებათ სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ კომისიების საშუალებით; საბინაო ამხანაგობები და სახლების სამმართველოები მასალას მიიღებენ საბინაო კავშირის მეშვეობით, ხოლო არტელები და სხვა შრომის სამრეწველო შენაერთები—სათანადო კავშირების საშუალებით. თბილისში სააგიტაციო მასალის გავრცელება დავალებული აქვს სარეკლამო ბიუროს.

ხელის მოსაწერი ფურცლები

საქართველოს ფინანსთა სახ. კომისარიატი ამ დღეებში დაამთავრებს სესხზე ხელის მოსაწერ ფურცლების დამზადებას. აღნიშნული ფურცლები დაეგზავნებათ სესხის რეალიზაციის ხელის შემწყობ კომისიებს.

სავაჭრო დაწესებულებების თანამშრომელთა შორის

16 აგვისტოს ხელოსანთა საზაფხულო კლუბში შესდგა სავაჭრო დაწესებულებების თანამშრომელთა მრავალრიცხოვანი კრება, რომელზედაც სესხის შესახებ მოხსენება გააკეთა ა. კ. ფინანსთა სახ. კომისარიატის წარმომადგენელმა ამხ. ემხინოვმა. მომხსენებელს მისცეს ტექნიკური ხასიათის შეკითხვები, რის შემდეგაც მიღებული იქნა რეზოლუცია, რომელიც მოუწოდებს სავაჭრო დაწესებულებების თანამშრომლებს ხელი მოაწერონ სესხზე არა ნაკლებ ერთი თვის ხელფასისა.

ფიზიკოსთა საკავშირო ყრილობა

რამდენიმე სხდომა შესდგება თბილისში

5 აგვისტოს მოსკოვში გაიხსნა ფიზიკოსების სრულიად საკავშირო ყრილობა, რომელსაც საბჭოთა ფიზიკოსებთან ერთად ესწრება მრავალი უცხოელი მეცნიერი. მოსკოვის გარდა ყრილობის სხდომები მიმდინარეობდა ყაზანში და სარატოვში.

სარატოვიდან ყრილობის დელეგატების ნაწილი 60 კაცი (მათ შორის რამოდენიმე უცხოელი ფიზიკოსი)) ჩამოვა კავკასიაში, იქიდან კი თბილისში, სადაც გაგრძელდება ყრილობის მუშაობა. თბილისში გაიმართება რამოდენიმე სხდომა. სხდომები შესდგება განათლების მუშაკთა სახლში. ყრილობის დამთავრების შემდეგ დელეგატები რამოდენიმე მოხსენებას გააკეთებენ ინჟინერ-ტექნიკოსთა ძალებისა და მუშა-მოსამსახურეებისათვის.

ყრილობის დელეგატებს თბილისში მოელიან 19 აგვისტოს.

საკავშირო ყრილობის სხდომების სხვადასხვა ქალაქებში გამართვის მიზანია იმ ადგილობრივი ძალების ჩაბმა ყრილობის მუშაობაში, რომელთაც საშუალება არ აქვთ გაემგზავრონ მოსკოვში; ამას გარდა ამით მიღწეული იქნება ის, რომ ყრილობის დელეგატები გაეცნობიან ადგილობრივ პირობებს.

დელეგატების შესახვედრად და სხდომების ორგანიზაციული მხარის ჩასატარებლად განათლების სახალხო კომისარიატისა, განათლების მუშაკთა კავშირისა და სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოყოფილია კომისია განათლების სახ. კომისარის ამხ. დ. კანდელაკის თავმჯდომარეობით; კომისიაში შედიან ამხ. გეგენავა (თავმჯდომარის მოადგილე) პროფ. მაჭავარიანი, პროფ. დიდებულიძე, დოცენტი გედევანიშვილი, გეოფიზიკურ ობსერვატორიის გამგე ნოდია, დოცენტი ანკითიევი, სიმონ ხუნდაძე და ალ. დევიძე (მასწავლებელი—ფიზიკოსი).

კოლმეურნეობათა ინსტრუქტ. მეორე ყრილობა

უკანასკნელი სხდომა

15 აგვისტოს, დილის სხდომაზე, მოსმენილ იქნა ამხ. ხაბურზანიას მოხსენება კოლმეურნეობათა ინდუსტრიალიზაციის შესახებ. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობა დიდი რაოდენობით იძლევა ისეთ პროდუქტებს, რომლების პირველადი გადამუშავება აუცილებლათ თვით მეურნეობაში უნდა სწარმოებდეს. ეს პროდუქტები გადაუმუშავებელი სახით გაცილებით უფრო ნაკლებ ფასში და ნაკლები რაოდენობით საღდება ბაზარზე, ვიდრე მაშინ, როდესაც ისინი გადამუშავებულია. აქედან აშკარაა, თუ რამდენათ რენტაბელურია თვით მეურნეობაში ისეთ ტექნიკურ წამოწყებათა ორგანიზაცია, რომლებიც უნდა აწარმოებდეს სოფლის მეურნეობის პროდუქტების პირველად გადამუშავებას გარდა ამისა, ასეთი გადამუშავებით გადარჩენილი იქნება მეურნეობაში ისეთი პროდუქტები, რომლებიც ვერ იტანენ შენახვას და ადვილათ ფუჭდებიან.

ეს ტექნიკური წამოწყებანი არ მოითხოვენ რთულ მანქანების შეძენას და სხვა დიდ ხარჯებს. წყალის და ელექტრონის ენერგიის სიიაფე, საშენი მასალის შოვნის შესაძლებლობა ხელმისაწვდომ ფასებში. ყველაფერი ეს სავსებით უზრუნველყოფს კოლმეურნეობების ინდუსტრიალიზაციას ახლო მომავალში.

ამას გარდა კოლმეურნეობების ინდუსტრიალიზაციის მთავარი პირობაა ის, რომ თვით გლეხებმა მოგვაწოდონ სწორი ცნობები იმის შესახებ, თუ რამდენათ რენტაბელურია ამა თუ იმ ტექნიკური წამოწყების (წისქვილები, ზეთის სახდელი ქარხნები, ხე-ტყის დასამზადებელი ქარხნები და სხვა) აგება.

ამხ. ხაბურზანიას მოხსენების შემდეგ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების გადასამზადებელ კურსების მოწყობის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქანთარიამ.

მომხსენებელი შეეხო კოლმეურნეობათა ხელმძღვანელ კადრების მომზადებას და აღნიშნა, რომ ეს კადრები არიან მშრომელი გლეხები, რომლებიც ვერ იცნობენ მსხვილ და ტექნიკურათ განვითარებულ მეურნეობის წარმოების მეთოდებს. ხელმძღვანელთა მოუმზადებლობა აძნელებს კოლმეურნეობათა წარმატებით მშენებლობას და ქმნის გადასამზადებელ კურსების მოწყობის აუცილებლობას.

ახლო მომავალში მოეწყობა ასეთი გადასამზადებელი კურსები 8 ადგილას, 400—მსმენელისათვის. კურსების ორგანიზაცია და შენახვა დაჯდება 12.225 მანეთი.

კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების გადასამზადებელი კურსების მოწყობა განზრახულია შემდეგ მაზრებში: ქუთაისის, ყოფ. თელავის და სიღნაღის, გორის, ოზურგეთის ზუგდიდის, სენაკის და თბილისის მაზრებში.

ყრილობის დღის წესრიგის უკანასკნელ საკითხზე—გამოსაცემი ლიტერატურის შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ქავჟარაძემ, რომელმაც სთქვა, რომ ბევრ ადგილას ვერ ერკვევიან კოლმეურნეობის მშენებლობის საკითხებში, ამიტომ ჩვენს წინაშე დაისვა საკითხი გლეხებს მივაწოდოთ პოპულარული ლიტერატურა იმ საკითხების შესახებ, რომლებიც წამოიჭრება კოლმეურნეობათა მშენებლობის პროცესში. ამისათვის კოლმეურნეობათა ცენტრი დაუკავშირდა „ახალი სოფლის“ გამომცემლობას. გამოყოფილია 20 უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელთა შესახებაც გამოცემულ იქნება პოპულარული, გლეხისათვის გასაგები პატარა ბროშიურები.

ამხ. ქავჟარაძის მოხსენების შემდეგ ყრილობა დაიხურა.

წიგნის გავრცელების საქმე

ბეჭდვითი სიტყვა, როგორც ქვაკუთხედი მშრომელი ხალხის განვითარებისა და მისი კულტურის ამაღლების საქმეში, ფართო საზოგადოებრივი ინტერესის საგნად გადაიქცა. სკოლა საფუძველს უყრის მოზარდ თაობის განვითარებას. მაგრამ ადამიანის გონება ვერ დაკმაყოფილდება მარტო სკოლის კედლებში შეძენილი ცოდნით. ის თავისუფლად უნდა ერკვეოდეს ყოველგვარ საკითხებში, ამიტომ წიგნმა უნდა მისცეს მას საარსებო სულიერი საზრდო. წიგნი უნდა გახდეს მისის საყვარელ საგნათ.

როგორ შევაყვაროთ წიგნი მშრომელ მასებს? ეს საკითხი მეტის-მეტად ძნელი გადასაჭრელია. სკოლა ოდნავ გვიადვილებს ამ საკითხის გადაჭრას. სკოლიდან გამოსული მოზარდი თაობა არ კმაყოფილდება მარტო სასკოლო პროგრამით მიღებული ცოდნით; ის თვით იკაფავს გზას შემდეგი განვითარებისათვის წიგნების საშუალებით .მაგრამ ჩვენ უნდა შევსძლოთ შევაყვაროთ წიგნი აგრეთვე იმათ, ვისაც სკოლის კარები არ უნახავს, მუდამ მიწასთან ან ლითონთან აქვს საქმე და ოჯახურ ჭირ-ვარამშია ჩაფლული. სწორედ აქ არის მთავარი სიძნელე, რომელიც მეტ სიფრთხილეს საჭიროებს და სწორ მიდგომას მოითხოვს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია უარყოფითი შედეგების მიღება.

ჩვენში დღემდის არსებული წესი წიგნების გავრცელების საქმეში ვერ არის მიზანშეწონილი. კოოპერატიული სავაჭროები სადაც ჯერ კიდევ მრავლად მოიპოვება სხვადასხვა დარგის ლიტერატურა, ვერ ახერხებენ შეაყვარონ მასას წიგნი და გაავრცელონ იგი.

წიგნის გავრცელების მიზანს ფართე მასებში ვერ აღწევენ ვერც არსებული წიგნის მაღაზიები და კიოსკები; ესენი მხოლოდ ხელმისაწვდომნი არიან მათთვის, ვინც ყოველდღე თავისი თვალით ხედავს ამ სავაჭროებს და წიგნის სიყვარულიც აქვთ. წიგნის მაღაზიებს და კიოსკებს დაშორებული მასა, მით უმეტეს გლეხი, ძნელად მივა იქ და ფულიც რომ ქონდეს, ვერ იყიდის წიგნს, მიტომ, რომ მას ჯერ კიდევ ვერ აქვს გათვალისწინებული წიგნის მნიშვნელობა. საჭიროა თვითონ მიაწოდონ გლეხს წიგნი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, როდესაც თქვენ ამ წიგნის მიწოდებას ერთგვარ წინასიტყვაობას გაუკეთებთ და აუხსნით მყიდველს, თუ რითაა ეს წიგნი მისთვის სასარგებლო და რას შესძენს მას.

სახელმწიფო გამომცემლობის კონტრაგენტს ამხ-ბა „წიგნი“-ს სწორი ხაზი აქვს აღებული წიგნის გავრცელების საქმეში. ამხ-ბა „წიგნ“-მა საქართველოს ყოველ კუთხეში გააბა ქსელი, სადაც უმეტეს ნაწილად ამ საქმეში ჩაბმული არიან პედაგოგიური ცოდნა-გამოცდილებით აღჭურვილი აგენტები. არავითარი კომერციული მიზანი მათ, მაინცდამაინც, არ ამოძრავებს. ისინი დადიან ხალხში, წიგნის გარშემო ეწევიან აგიტაცია-პროპაგანდას, უხსნიან გლეხობას წიგნის მნიშვნელობას, აძლევენ შეკითხვებზე შესაფერ ახსნა-განმარტებებს და ამ გზით მშრომელი გლეხობაც იყვარებს წიგნს.

ამხ-ბა „წიგნი“-ს ხარაგოულის სააგენტოც სავსებით ემსახურება აღნიშნულ მიზანს. ნახევარი წლის განმავლობაში მან შემოიკრიბა გარშემო საკმაოდ დიდი რაიონი.—რკ. გზის ხაზზე შორაპნიდან წიფამდის და ახლო მდებარე ყველა თემები. ხარაგოულის სააგენტო, როგორც ცენტრი აღნიშნული რაიონისა, ამარაგებს ყოველგვარ სახელმძღვანელოებით და საკანცელარიო ნივთებით თვით სახელგამის ფასებში.

მაგრამ მარტო სკოლების მომარაგება სახელმძღვანელოებით არ შეადგენს სააგენტოს მთავარ მიზანს. მისი დანიშნულებაა აგრეთვე კულტურული მუშაობა ლიტერატურის გავრცელების გარშემო სკოლის გარეთაც.

ვიმედოვნებთ, რომ მასწავლებლობა მჭიდრო კავშირს დაიჭერს ამხ-ბა „წიგნი“-ს სააგენტოებთან და გააადვილებს ამ უკანასკნელთ დასახული მიზნის განხორციელებას. მხოლოდ საჭიროა სახელმწიფო გამომცემლობამ შეეცადოს წიგნის თვითღირებულების შემცირებას, რომ ის ხელმისაწვდომი გახდეს ფართო მასებისათვის.

ჯიგნელი.

კიდევ სახელგამის კორექტურის შესახებ

არა ერთხელ დასმულა საკითხი სახელგამის მიერ გამოცემულ წიგნების კორექტურის უვარგისობაზე. მაგრამ ამ საქმის გასწორებას ჯერ კიდევ არაფერი ეშველა.

აი ეხლაც ამხ. ლაზი გაზ. „კომუნისტი“-ს № 186 ეხება ამ საკითხს და იძლევა ზოგიერთ პრაქტიკულ წინადადებებს. მისი აზრით წიგნების უკეთ გასწორებისთვის კონკურსი უნდა იქნეს გამოცხადებული.

ვინც ცოტათი მაინც არის დაახლოვებული წიგნის გამომცემლობასთან, ის დაგვეთანხმება რომ ეს კონკურსი ვერ გამოიღებს შესაფერ ნაყოფს. ჩვენის აზრით, თუ კორექტურის საქმე სახელგამის მუშაობაში მოიკოჭლებს, ეს ისევ სახელგამის ბრალია და არა კორექტორების, ვინაიდან თამამად შეიძლება ითქვას, რომ სახელგამში კორექტურას ასწორებს არა გამოცდილი კორექტორები, არამედ შემთხვევითი პირები, სახელგამის ახლობელი თანამშრომლები, რომლებიც მუშაობენ ან ბუღალტერიაში, ან სხვა განყოფილებაში და წიგნის კორექტურაზეც. სახელგამი მათ მფარველობას უწევს. რა ენაღვლებათ კიდეც მაპურობენ, და შინ საღამოობით თავიანთ ნათესავებთან ერთად კორექტურაზედაც მუშაობენ.

არის შემთხვევა, როდესაც ერთი და იგივე პირი მსახურობს განათლების კომისარიატში, მუშფაკში და სახელგამში კორექტურას ასწორებს. და ეს ხდება მაშინ, როდესაც ნამდვილი კორექტორები უმუშევრად არიან.

ასეთი შემთხვევები სახელგამში ხშირია.

კორექტურის საქმეს თავის დროზე მიაქცია ყურადღება სათანადო ორგანიზაციამ, მან მიიღო მთელი რიგი დადგენილება. ამ დადგენილებათა მიხედვით უნდა შექმნილიყო მუდმივ მომუშავე კორექტორთა კადრი და მთელი სამუშაო მათ უნდა გადასცემოდათ. მაგრამ რატომღაც ეს ზომები არ იქნა ცხოვრებაში გატარებული და ისევ ძველებურად გრძელდება შემთხვევით პირებზე კორექტურის გაცემა.

ამით იყო გამოწვეული, როცა ამ ნახევარი წლის წინეთ სახელგამთან დაარსდა გამოცდილი კორექტორებისაგან შემდგარი კოლექტივი, რომელიც სრულ პასუხისმგებლობას კისრულობდა წიგნების ტექნიკურად გამოცემისა და კორექტურის გასწორებისათვის. ამ კოლექტივმა შესაფერი პირობებიც კი შეიმუშავა და წარუდგინა სახელგამს. მაგრამ ესეც უყურადღებოდ დასტოვეს სახელგამის მეთაურებმა. ყოველ შემთხვევაში მას არავითარი შედეგი არ მოყოლია.

არ ექცევა აგრეთვე საჭირო ყურადღება კორექტორების მატერიალურად უზრუნველყოფის საქმეს. კორექტორები არ ირიცხებიან სამსახურში, არ ღებულობენ განსაზღვრულ ჯამაგირს. ხშირად თვე ისე გავა, რომ მათ არავითარი სამუშაო არა აქვთ, მუშაობენ ნარდათ, ერთი ფორმის (6×10) გასწორებაში ღებულობენ 5 მან., ხოლო ტარიფით კი უნდა ღებულობდენ 7—50 კაპ.

შემთხვევითი მომუშავე, უვიცი კორექტორები დიდ მატერიალურ ზარალსაც აყენებენ სახელგამს. ხშირია შემთხვევა, რომ ერთხელ გაფუჭებული წიგნი მეორედ სწორდება. ფულს ღებულობს როგორც პირველი გამსწორებელი, ისე მეორე. უმეტეს შემთხვევაში კი დამახინჯებული წიგნები გამოდის ბაზარზე და ეს იწვევს მკითხველის სამართლიან უკმაყოფილებას.

რომ ერთხელ და სამუდამოდ მოწესრიგდეს კორექტურის საქმე სახელგამში, ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია შემდეგი ღონისძიებები იქნეს გატარებული:

1. დაარსდეს სახელგამთან მუდმივად მომუშავე კორექტორთა კოლექტივი, მუდმივი სამუშაოს უზრუნველყოფით.
2. სავსებით უნდა აღიკვეთოს როგორც შემთხვევით პირებზე, ისე სახელგამის თანამშრომლებსა და მის ნათესავებზე წიგნების საკორექტუროდ გაცემა.
3. ავტორები კი არ უნდა ასწორებდენ კორექტურას, არამედ ათვალიერებდენ. ორიგინალების შესწორება არ უნდა ხდებოდეს სტამბაში გადაცემის შემდეგ. მისი საბოლოო რედაქცია უნდა სწარმოებდეს სტამბაში გადაცემამდის.
4. კორექტურა უნდა სწორდებოდეს სამჯერ.
5. ცხოვრებაში უნდა გატარდეს ბეჭდვითი განყოფილების დადგენილება კორექტორების შესახებ.
6. დადებულ უნდა იქნეს კორექტორთა კოლექტივთან ხელშეკრულება სახელგამის მიერ და პასუხისმგებლობა წიგნების უშეცდომოდ და სუფთად გამოცემისათვის დაეკისროს თვით კოლექტივს.

ნ. მ—ლი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრონიკა

ამხ. ალამალი-ოღლის ჩამოსვლა

გუშინ, საღამოს, თბილისში ჩამოვიდა ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარე ამხ. ალამალი-ოღლი.

გერმანიის წითელ-ფრონტელთა დელეგაციის მოწვევა

საქ. პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ თბილისში მოიწვია, კომინტერნის მე-6 მსოფლიო კონგრესზე ჩამოსული გერმანიის წითელ ფრონტელთა დელეგაცია.

პროფსაბჭოს წარმომადგენლები დელეგაციას შეხვდებიან კავკავში.

ჩაქვის ჩაის ქარხანა

საქართველოს ეკონომსაბჭოსთან არსებულმა საამშენებლო-ტექნიკურმა კომიტეტმა დაამტკიცა ჩაქვის ჩაის ქარხნის პროექტი. ქარხნის აგება გადაწყვეტილია იმ ვარაუდით, რომ იქ იმუშაოს 150 მუშამ. წლის განმავლობაში ქარხანა გადაამუშავებს 3.000.000 გირვანქა ჩაის მწვანე ფოთოლს, რომლიდანაც დამზადებული იქნება 282.350 კილოგრამი მზა ჩაი. ქარხნის აგება წინასწარი ხარჯთ-აღრიცხვის თანახმად დაჯდება—412.000 მან. „საქართველოს ჩაი“-ს წინადადება მიეცა ამ დღეებში შეუდგეს ქარხნის შენებას.

ტყეების დაცვა

აფხაზეთის ტყეების დასაცავათ საქართველოს სახკომსაბჭომ 1928—29 წლისთვის გადასდო 58.000 მანეთი.

ხორცით ვაჭრობის მოწესრიგება

თბილისის ხორცის სავაჭროების გამსხვილების მიზნით, თბილისის აღმასკომის სავაჭრო-კოოპერატიულმა სექციამ საჭიროთ სცნო ქალაქის (განსაკუთრებით ცენტრის) რაიონებათ დანაწილება და თვითეულ რაიონში ხორცის მსხვილი სავაჭროების შექმნა.

ამ დღეებში თბილისის აღმასკომის კოოპერატიულ-სავაჭრო სექციის კომისია ადგილობრივათ გამოიკვლევს ხორცით სავაჭროებს მათი გამსხვილების შესაძლებლობის მიზნით.

„სოფლის კავშირი“-ს საბჭოს სესია

ა.-წ. სექტემბერში მოწვეული იქნება „სოფლის კავშირი“-ს საბჭოს მორიგი სესია.

„სოფლის კავშირი“-ს საორგანიზაციო განყოფილებას დაევალა სესიის დღის წესრიგის შემუშავება.

ხელოვნური ასფალტი

თბილისის აღმასკომს განზრახული აქვს მომავალში ხელოვნური ასფალტის წარმოების დაწყება. ხელოვნურ ასფალტს დაამზადებენ ნატანების ბიტუმიდან.

ქალაქ ცხინვალის გეგმა

სამხრეთ-ოსეთის კომუნალური მეურნეობა შეუდგა ქალაქ ცხინვალის გეგმის შედგენას. ყველა ახალი შენობები აგებული იქნება ამ გეგმის თანახმად.

ცხინვალის ხე-ტყის კომბინატი

ცხინვალის ხე-ტყის კომბინატის მოწყობილობის ნაწილი გამოწერილია საზღვარ-გარეთიდან. ეს მოწყობილობა მოკლე ხანში მიღებული იქნება მთლიანათ. ამჟამად უკვე მიღებულია 200 ცხენის ძალიანი ლოკომობილი.

ქუთაისის აღსადგენათ.

ქუთაისის ხანძრისაგან დაზარალებულ მოსახლეობისათვის დახმარების აღმოჩენის მიზნით, სოხუმის პროფესიონალურმა საბჭომ თავის წევრებს შორის შემოწირულების სახით შეაგროვა 2.048 მან. აღნიშნული თანხა გადაეცა საქართველოს პროფსაბჭოს.

„საბჭოთა აფხაზეთი“

აფხაზეთის პროფკავშირთა საბჭო შეუდგა თვითმფრინავ „საბჭოთა აფხაზეთი“-ს ასაგებ ფონდის შეგროვებას. ამ ჟამად უკვე შეგროვილია 4.767 მანეთი.

დიდი სეტყვა ბორჩალოს მაზრაში

ამ დღეებში ბორჩალოს მაზრაში მოვიდა დიდი სეტყვა, რომლის დროსაც საგრძნობლათ დაზიანდა ნათესები და ვენახები. ვენახები განსაკუთრებით დაზიანდა სოფელ აკხეთში, ოფრეთში და ჩანახჩიში.

ამინდი ფოთში

უკანასკნელ დღეებში ფოთში და ფოთის რაიონში შეუწყვეტლათ წვიმს. ასეთი ამინდების გამო სიმინდი ძალიან გვიან მწიფდება.

თბილისის აღმასკომში

— **ბოსტნეულის რეალიზაცია.** თბილისის აღმასკომის სავაჭრო სექციას განზრახული აქვს ახლო მომავალში ბოსტნეულის რეალიზაცია მოაწყოს მხოლოთ კოოპერაციის ხაზით. თბილისისათვის ბოსტნეულს ამჟამად ამზადებს სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობა, „სოფლის მეურნე“, რომელიც ბოსტნეულის ნაწილს აწვდის კოოპერაციას და ნაწილს კი კერძო პირებს.

— **სკოლების შეკეთება.** თბილისის აღმასკომი ამ დღეებში დაამთავრებს თბილისის სასკოლო შენობების მიმდინარე შეკეთებებს.

— **კამოს ქუჩის მოკირწყლვა.** თბილისის აღმასკომის კეთილ-მოწყობის განყოფილება ამ დღეებში შეუდგება კამოს ქუჩის მოკირწყლვას. ქუჩა მოკირწყლული იქნება ქვის ძელებით.

ჩაუბარებელი დეპეშები

ელენინოდან—მანკელოვისას. ბაქოდან—ლუნინს, კარასუ ბაზარიდან—კოგონოვიცკისას, მანგლისიდან—როტოშბერგს, ბაქოდან—იაკუბოვს, ოდესიდან—რუვინსკის, ხონიდან—ჟაკონნას, თელავიდან—საქართველოს სახ. და ზღვევის სამმართველოს.

ახალი ქართული შრიფტი

საქართველოს განათლების სახ. კომისარიატის საგეგმო კომისიის უკანასკნელ სხდომაზე მოსმენილი იქნა ახალი ქართული შრიფტის ავტორის მხატვარ **დ. შევარდნაძის** მოხსენება ახალი შრიფტის შემოღების შესახებ. ახალი ქართული შრიფტის პროექტი მოწონებულია საქართველოს სახკომსაბჭოს მიერ. ამ შრიფტის დამზადების ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულია 373.000 მან. რაოდენობით. ამ თანხით დამზადებული იქნება შრიფტის 61 კომპლექტი. შრიფტში დაცული იქნება ქართულ ანბანის მოხაზულობა. ახალი შრიფტი სავსებით აკმაყოფილებს სტამბის მოთხოვნილებებს. ამასთანავე განიერ ასოთა რაოდენობა ქართულ ანბანში 18-დან შემცირებულია 2-დე. შრიფტის მკაფიო გამოხატულობა იზრდება 25 პროცენტით, ბეჭდვის დროს ახალი შრიფტი იძლევა 15 პროცენტ ეკონომიას. ხოლო ლითონის წონაში 20 პროცენტ ეკონომიას. ახალი შრიფტის დამზადება და შემოღება გათვალისწინებულ უნდა იქნეს 5 წლის პერსპექტიულ გეგმაში. შრიფტის დამზადების საქმისთვის 1928-29 წელში საჭირო იქნეს 24.320 მან.

საგეგმო კომისიამ საჭიროთ სცნო, რომ ახალი შრიფტის შემოღება გათვალისწინებული იქნეს 5 წლიანი პერსპექტიული გეგმით. 1928-29 წელში საჭირო თანხა 24.320 მან. რაოდენობით გაღებული იქნება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მხ. დ. შევარდნაძეს დაევალა ორი კვირის განმავლობაში წარადგინოს განათლების სახ. კომისარიატში დასაბუთებული მოხსენება ახალი ქართული შრიფტის შემოღების შესახებ.

128.855 მან. კრედიტი სოფლის მეურნეობას

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ბანკის ცნობით, მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს სას.-სამ. ბანკს სახელმწიფო ბიუჯეტით მიღებული აქვს 70.909 მან. სოფლის ღარიბი გლეხობისათვის კრედიტების მისაწოდებლად და 15.846 მან. სას.-სამ. საკრ. ამხანაგობების ძირითად თანხების გასაძლიერებლათ. გარდა ამისა, ა.-კ. სას.-სამ. ბანკის 1926.27 წლის მოგებიდან მიღებულია 42.000 მან. ღარიბი გლეხობისათვის კრედიტების მისაწოდებლად. ამრიგად, სოფლის მეურნეობისათვის ფინანსების მისაწოდებლად მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში საქართველოს სას.-სამ. ბანკს გადაეცა სულ 128.755 მან. 50 კაპ.

საქართველოს სას.-სამ. ბანკში შემდგარმა საუწყებათაშორისო თათბირმა აღნიშნული თანხები გაანაწილა შემდეგ ნაირათ: ყოფილ წითელ არმიელთა და წითელ გვარდიელთა საკრედიტოთ გამოყოფილია 4.300 მან.; ღარიბი გლეხობის საკრედიტოთ გამოყოფილი თანხები (4.300 მან. გამოკლებით). 108.609 მან. რაოდენობით განაწილებულია შემდეგნაირათ: აფხაზეთს მიეცა—8.038 მან., აჭარისტანს—3.584 მან., სამხრეთ-ოსეთს—3.367 მან. და საკუთრივ საქართველოს 93:620 მან. ავტონომიურ რესპუბლიკებს დაევალათ მათთვის გამოყოფილ თანხების განაწილება რაიონებს შორის. საკუთრივ საქართველოსთვის გამოყოფილ თანხიდან 37.448 მან. მიეცემათ ინდივიდუალურ მეურნეობათ, ხოლო 56.172 მან.—კოლექტიურ მეურნეობებს.

ინდივიდუალურ მეურნეობათათვის გამოყოფილი თანხა სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა შორის მაზრების მიხედვით განაწილებულია შემდეგნაირათ: კახეთის მაზრას მიეცა—3.744 მან., თბილისის მაზრას (ყოფ. დუშეთის მაზრიანათ)—2.620 მან:, ახალქალაქს—1.797 მან., ახალციხის—1.647 მან., შორაპნის—4.081 მან., ქუთაისის—4.920 მან., რაჭის—2.171 მან., ლეჩხუმის—2.171 მან., ზემო სვანეთის—823 მან., სენაკის მაზრას—3.000 მან., ზუგდიდის მაზრას—1.805 მან. და ოზურგეთის მაზრას 3.481 მან.

სამაზრო კომისიებს დაევალათ 10 დღის განმავლობაში გაუნაწილონ რაიონებს მაზრისთვის გამოყოფილი თანხები, ხოლო სასოფლო კომისიებს დაევალათ ისეთი ვარაუდით შედგინონ მსესხებელთა სიები, რომ სესხის გაცემა დამთავრდეს ერთი თვის განმავლობაში.

კოლმეურნეობათათვის გამოყოფილ თანხების განაწილება დაევალა სას.-სამეურნეო ბანკს და კოლმეურნეობათა ცენტრს.

სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობათა ძირითად თანხების გასაძლიერებლათ გამოყოფილი თანხა 15.846 მან. რაოდენობით განაწილებულია შემდეგნაირათ: აფხაზეთს მიეცა—1.663 მან., აჭარისტანს—633 მან., სამხრეთ-ოსეთს—478 მან. და საკუთრივ საქართველოს—13,072 მან.

ავტონომიურ რესპუბლიკებისთვის გამოყოფილი თანხები გადაეცემათ ამ რესპუბლიკების სას.-სამ. ბანკებს, რომლებიც სესხს ადგილობრივ გაუნაწილებენ სას.-სამ. საკრ. ამხანაგობებს.

საკუთრივ საქართველოსთვის გამოყოფილი თანხიდან 5.000 მან. გადაიდო სოფ. ხრესილში (ქუთაისის მაზრა) დასაარსებელ სას.-სამ. საკრ. ამხანაგობისთვის, 1.000 მან მიეცა მუხიანის სას.-სამ. საკრ. ამხანაგობას, ხოლო დანარჩენი თანხის (7.072 მან.) განაწილება მიენდო „სოფლის კავშირს“ და სას.-სამ. ბანკს.

ზემოაღნიშნული თანხები მთლიანათ უნდა იქნეს გამოყენებული შემოდგომის თესვის კამპანიის წარმატებით ჩასატარებლად (მუშა-საქონლის, თესლეულობის, იარაღ-მანქანების და სხ. შესაძენათ).

შემოდგომის თესვის კამპანიისათვის

შემოდგომის თესვის კამპანიის მოახლოვებასთან დაკავშირებით, სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობები და სას.-სამ. კოლექტივები შეუდგენ მზადებას აღნიშნულ კამპანიის ნაყოფიერად ჩატარებისათვის.

პირველ რიგში მაზრები მომარაგებულ უნდა იქნან საჭირო რაოდენობით, სასოფლო-სამეურნეო მანქანებით.

„სოფლის კავშირი“-ს ცნობებით, მაზრებში მოიპოვება მრავალი ტრაქტორი, რომლებიც სამუშაოთ ან სრულიად უვარგისნი არიან, ან და ისეთ მდგომარეობაში იმყოფებიან, რომ შემოდგომის თესვის კამპანიის ჩატარების დროს აუცილებლათ გაფუჭდებიან და შემდეგ მათი შეკეთება გამოიწვევს დიდ ხარჯებს ამის თავიდან ასაცილებლათ ახლო მომავალში დაიწყება მაზრებში ყველა ტრაქტორების შემოწმება სპეციალისტების მიერ, ტრაქტორების მდგომარეობისა და საჭირო რემონტის გამოსარკვევათ.

ყველა ხარჯები, რომლებიც გამოწვეული იქნება შემოწმებითა და შეკეთებით აანაზღაურებენ ის ორგანიზაციები, რომელთაც ეკუთვნის ტრაქტორი.

ფოთის ელექტროფიკაცია

აბჰესის ამუშავებასთან დაკავშირებით, ამჟამად ფოთში გაცხოველებული მუშაობა სწარმოებს ელექტრო-გამტარი ქსელის გამოსაცვლელათ, სულ დაიდგმება 600 ელექტრონის მავთულის გასაბმელი მუხის ბოძი, რომლებზედაც გაიბმება 15.000 მეტრი მავთული. ელექტრო ენერგიის გაიაფების გამო საგრძნობლათ იზრდება აბონემენტის რაოდენობა. გარდა ამისა ელექტრო-ენერგიაზე გადაყვანილი იქნება კომუნალური მეურნეობის წარმოებები. ტყავეულობის ქარხანაში დაიდგმება 35 ცხენის ძალიანი მოტორი, წყალის გადმოსაქაჩავ სადგურში—30 ცხენის ძალიანი, ხელოვნურ ყინულის დამამზადებელ ქარხანაში 55 ცხენის ძალიანი. ქსელის გაყვანის დამთავრება განზრახულია 1-ლ ოქტომბრისათვის.

შემოდგომის მატყლის დამზადება

ა.-კ. სახკომსაბჭოს უკანასკნელ სხდომაზე განხილული იქნა შემოდგომის მატყლის დამზადების საკითხი.

„სოფლის კავშირს“ წინადადება მიეცა დამზადებული მატყლის მთელი რაოდენობის 50 პროცენტი დაუხარისხებლათ ჩააბაროს ნევინომინსკის მატყლის სამრეცხაოს.

ხელმეორეთ დახარისხების თავიდან აცილების მიზნით, მატყლის დახარისხება ნევინომინსკში უნდა მოხდეს სააქციო საზ. „მატყლი“-ს სპეციალისტების უშუალო ხელმძღვანელობის ქვეშ.

ა.-კ. ვაჭრობის სახ. კომისარიატს წინადადება მიეცა სასწრაფოთ გამოარკვიოს, თუ რა დაჯდება ნევინომინსკში გასაგზავნ მატყლის გადმოზიდვა დამზადების ადგილიდან მახლობელ რკინის გზის სადგურამდე.

„სოფლის კავშირს“ და სააქციო საზ. „მატყლს“ წინადადება მიეცათ დაჩქარებით დასდონ ხელშეკრულება მატყლის დამზადების შესახებ.

ხელოვნება

სახ. კონსერვატორიაში მიღება

სახ. კონსერვატორიაში მისაღებათ განცხადების შეტანა იწარმოებს პირველიდან—15 სექტემბრამდე. მისაღები გამოცდები კი დაიწყება 20 სექტემბერს და გაგრძელდება 28 სექტემბრამდე. განცხადებებს თან უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: მოწმობა საშუალო სასწავლებლის დამთავრების შესახებ, სოციალური მდგომარეობის, დაბადების, სამხედრო ბეგარასთან დამოკიდებულების და ჯანმრთელობის მოწმობები, ამასთანავე ორი ფოტოგრაფიული სურათი.

სახ. კონსერვატორიაში მისაღები გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში: ქართულ ენაში, პოლიტ-ცოდნაში, ელემენტარულ—თეორიაში, საჭიროა აგრეთვე პირველი და მეორე სოლფეჯიოს და სავალდებულოა ფორტეპიანოს ცოდნა.

პროლეტარულ თეატრალურ სახელოსნოში

პროლეტარულ თეატრალურ სახელოსნოს ლაბორატორიაში, სარეპერტუარო კომისიამ, ახლო მომავალში დასადგმელათ მიიღო სამი ახალი პიესა.

პიესებს დაამუშავებს რეჟ. დ. კობახიძე. ესკიზები მინდობილი აქვს მხატვარ დ. კაკაბაძეს.

ამას გარდა სახელოსნოში ხელახლა გადამუშავდება, ოთხი უკანასკნელათ ჩატარებული პიესა.

მუსიკალური საღამო კოჯორში

კვირას, 19 აგვისტოს, საღამოს 8 საათზე როტონდოს დარბაზში შესდგება მოხეტიალე მუსიკოს ილიკო ქურხულის მუსიკალურ-მხატვრული საღამო.

* * *

დღეს მუშათა კლუბებში

მედსანშრომის მუშაკთა კლუბში— გაიმართება რევოლიუციონურ სიმღერების საღამო

საბჭ. და სავაჭ. მუშაკთა კლუბში— ცეკვისა და ხელოვნების საღამო.

ახალ მუშათა კლუბში—გამოვლენ ლენინგრადის სახ. ბალეტის მსახიობები ლიუკომი და შავროვი.

დღეს კინოებში

განთიადში—„საყვარელი მაწანწალა“
ეთერში—„რობინზონ კრუზო“
პროლეტარში—„მგლის შვილი“.

სასამართლო

ქმრისათვის ყელის გამოჭრა

მოქ. აბრამ სარქისოვი ვერ იყო კმაყოფილი თავისი ცოლის შუშანიკ ელიშას ასულ აკოპოვას საქციელით. სწამებდა მას ღალატს. ამ ნიადაგზე ცოლ-ქმარს შორის დაუსრულებელი ჩხუბი და დავიდარაბა იყო.

საქმე იქამდე მივიდა, რომ სარქისოვი გაშორდა ცოლს.

მაგრამ ჩქარა ყოფილი ცოლ-ქმარი ისევ შერიგდნენ. განაგრძეს ოჯახური ცხოვრება. ქმარი პატივს სცემს ცოლს. სცდილობს მასთან თანხმობით იცხოვროს.

გადის დრო და ქალი გულს იცრუებს სარქისოვზე.

იწყება ყოველდღიური კინკლაობა და აურზაური.

— ასეთ ცხოვრებას მე ვერ ავიტან. რათ მინდა ისეთი ქმარი, რომელიც თვეში ერთხელ კინოში ან თეატრში არ წამიყვანს. განა იმისთვის გავთხოვდი, რომ სადილ-ვახშამი ვამზადო!

ხშირი იყო შემთხვევა, როცა ქალი მკვახე სიტყვებით მიმართავდა ქმარს. გულის მოსაკლავად ხშირად ეტყოდა მას:

— მომბეზრდა შენთან ცხოვრება. დღეს თუ ხვალ უნდა გაგშორდე.

ამნაირი სიტყვებით აკოპოვას ქმარი დაშინებული ჰყავდა.

სარქისოვიც დიდ ლმობიერებას იჩენდა ცოლისადმი.

ბოლო დროს ქალმა უხშირა „კავალრებში“ ხეტიალს. სარქისოვი მოთმინებიდან გამოვიდა და წინადადება მისცა ქალს თავი დაენებებია ხეტიალისათვის.

ქალმა გადასწყვიტა ქმრის მოკვლა და ამ მიზნით შეიძინა ხანჯალი.

ა.-წ. 22 ივნისს, საღამოთი ცოლქმარი წავიდნენ საბანაოთ ფეიერვერკის ქ. მდებარე აბანოში. დაიჭირეს მეხუთე ნომერი.

როცა სარქისოვმა პირის სახე საპნით გაიქაფა, აკოპოვა მივარდა მასთან და ხანჯალი [illegible].

მძიმედ დაჭრილი სარქისოვი გაიშხლართა იატაკზე.

იგი ვერაფერს ხედავდა. ეგონა რომ ვიღაც უცნობმა პირმა დასჭრა და ამიტომ მორთო ყვირილი:

— შუშანიკ! ვიღაც კაცმა დამჭრა და დამეხმარეთ.

ამ დროს ცოლმა კიდევ ჩასცა მას ხანჯალი. ბოლოს კი ყელი გამოსჭრა.

ხმაურობაზე მიცვივდნენ აბანოს თანამშრომლები. შეამტვრიეს ოთახის კარები და წააწყდნენ შემდეგ სურათს:

წყალის აუზთან იდგა შიშველი ქალი და ნერვიულობდა.

იქვე ფილაქანზე გაშხლართული იყო მოქალაქე, რომელიც სისხლში სცურავდა და ნაწლავები გადმოყრილი ჰქონდა. დაჭრილის ახლოს ეგდო სისხლში შეღებილი ხანჯალი

დაჭრილი კაცი გაგზავნეს საავადმყოფოში, სადაც ის გარდაიცვალა.

აკოპოვას ქალი დააპატიმრეს.

დაპატიმრებულმა ქალმა განაცხადა, რომ სარქისოვმა თვითონ მოიკლა თავი.

საექიმო შემოწმებით თვითმკვლელობის ფაქტი არ დადასტურდა.

წინასწარი გამოძიების დროს, აკოპოვა გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ ბოროტმოქმედება ჩაიდინა იმის გამო, რომ ქმარმა დამართა მას ვენერიული ავადმყოფობა და სქესობრივ კავშირს მასთან იჭერდა არანორმალური გზით.

საქმე უკვე გამოიძია გამომძიებელმა ი. ადამიძემ და გადასცა თბილისის სამაზრო სასამართლოს.

კაზინოს მსხვერპლი

დიმიტრი ირაკლის ძე შარაშიძე მუშაობდა „საქართველოს ღვინო“-ს კომერციული აგენტის თანამდებობაზე.

პირველ ხანებში შარაშიძე თავის მოვალეობას პირიათლად ასრულებდა. მან დიდი ნდობა დაიმსახურა.

ბოლოს, როცა დარწმუნდა, რომ მას ენდობოდენ—ბოროტათ გამოიყენა თავისი თანამდებობა და ნელ-ნელა დაიწყო სახაზინო ფულის მითვისება.

ცოტ-ცოტაობაში მას „შემოეხარჯა“ საკმაოდ დიდი თანხა.

ბოლოს შარაშიძეს ეწვია რევიზია, რომელმაც აღმოაჩინა 3.110 მანეთის დანაკლისი.

— ეს ფული ოჯახური მდგომარეობის გამო დავხარჯე. გთხოვთ ნაწილ-ნაწილად დამიკავოთ ჯამაგირიდან.—ეუბნება შარაშიძე სარევიზიო კომისიის წევრებს.

შარაშიძე მხოლოდ სისხლის სამართლის მილიციაში გამოტყდა დანაშაულში და განაცხადა, რომ 3110 მანეთი წააგო ბანქოში.

შარაშიძე შეემატა გამფლანგველთა კადრს გამასწორებელ სახლში, საიდანაც ის დიდხანს ველარ გამოვა.

—:—

ყოფილ ცოლის მკვლელი

იოსებ სიმონის ძე ცოტნიაშვილს ცოლად ჰყავდა სოფიო ძეძელაშვილი. რამოდენიმე წელი იცხოვრეს ერთად. შეეძინათ შვილი.

მაგრამ სისტემატიური უსიამოვნება, უდიერი მოპყრობა და ფიზიკური შეურაცხყოფა ქმარის მხრივ შეიქნა მიზეზი იმისა, რომ ძეძელაშვილმა მიატოვა ქმარი.

ძეძელაშვილი მატერიალურათ შევიწროებული იყო და ბავშის სარჩო მოსთხოვა სასამართლოს წესით ყოფილ ქმარს.

სასამართლომ სარჩელი დააკმაყოფილა და ცოტნიაშვილს მიუსაჯა თვიურად 16 მან. გადახდა ბავშის სასარგებლოდ.

ამით უკმაყოფილო იყო ცოტნიაშვილი და გადაემტერა ყოფილ ცოლს.

— ძეძელაშვილმა გაიტანა თავისი, იგი უნდა ჩამაღლდეს,—ლაპარაკობდა ცოტნიაშვილი.

ძეძელაშვილს სასამართლოს მიერ მისჯილი სარჩოთი გაუჭირდა ბავშის რჩენა და განცხადება შეიტანა სახალხო სასამართლოში სარჩოს გადიდების შესახებ. ა.-წ. 11 ივლისს, დანიშნული იყო საქმის გარჩევა, მაგრამ გადაიდო.

— დამანებე თავი, თორემ სიცოცხლეს მოგისპობ.

ქალმა არაფრად ჩააგდო ყოფ. ქმრის მუქარა.

მეორე დღეს ღამით, ცოტნიაშვილმა დაინახა, რომ ძეძელაშვილი ერისთავის ქუჩით სახლში ბრუნდება.

დაეწია ქალს და უთხრა:

— გადაწყვეტილი მაქვს შენი მოკვლა.

— რატომ, რას მერჩი?—კანკალებდა ქალი.

— იმიტომ, რომ შენ ჩამიმწარე ცხოვრება; ცოტნიაშვილი ბრაზით აინთება, ამოიღებს დანას და დაჰკრავს ცოლს. დაჭრილი ქალი გაიქცა, ცოტნიაშვილი დაეწია და დანის მეორე დარტყმით ბოლო მოუღო ცოლს.

ცოტნიაშვილი დაპატიმრებულია. საქმე მალე გაირჩევა სასამართლოში.

თ.

საქართველოს გეო-ფიზიკურ ობსერვატორიაში

პროფ. დზერძიევსკის ჩამოსვლა.

ამ დღეებში თბილისში ჩამოვიდა უკრაინის მეტეოროლოგიური სამსახურის ინსპექტორი პროფ. დზერძიევსკი.

თბილისში ყოფნის დროს პროფ. დზერძიევსკიმ დაათვალიერა საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია. გუშინწინ პროფ. დზერძიევსკი გაემგზავრა ბორჯომში.

შავი ზღვის მაგნიტური აგეგმვა

1921 წლიდან დღემდე, რუმინეთიდან ვიდრე მდ. ინგურის შესართავამდე სწარმოებს შავი ზღვის მაგნიტური აგეგმვა, რომლის მიზანია კომპასის მოქმედების სისწორის შემოწმება. აღნიშნულ სამუშაოებს აწარმოებს, მთავარი ჰიდრო-გრაფიული სამმართველო. საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორია საგრძნობ დახმარებას უწევს აგეგმვის საქმეს იმით, რომ მაგნიტურ აგეგმვაზე მომუშავე იარაღების სისწორისათვის, მათი შედარება ხდება ჩვენს ობსერვატორიაში მყოფ იარაღებთან.

გეო-მაგნიტური ობსერვატორია

საკავშირო სახკომსაბჭომ წინადადება მისცა ამიერ-კავკ. სახკომსაბჭოს, რათა მომავალი წლის ბიუჯეტში შეიტანოს, საქართველოს გეოფიზიკურ ობსერვატორიასთან, პარალელური გეო მაგნიტური ობსერვატორიის მოსაწყობი ხარჯთ-აღრიცხვა.

ობსერვატორიის აგება დაჯდება 160.000 მან გეო-მაგნიტურ ობსერვატორიის აგება თბილისის მიდამოებში ვერ მოხერხდება, რადგანაც ზაჰესი შეუშლის ხელს, ამიტომ მისი მოწყობა განზრახულია კახეთში.

აქტინომეტრიულ განყოფილებაში

საქართველოს გეოფიზიკური ობსერვატორიის, აქტინომეტრიულ განყოფილებამ, რომელიც აწარმოებს მზიდან წამოსულ სხივოსნურ ენერგიის აღრიცხვას, ამ დღეებში შვეციიდან მიიღო ახალი ხელსაწყო აბსოლიუტურ გაზომვებისათვის ე. წ. ანგსტრემის პირჰელიომეტრი.

შემთხვევები

გვამის პოვნა

გუშინ, დღისით, მესამე სამილიციო რაიონის ფარგლებში იპოვნეს დამხრჩვალი მამაკაცის გვამი, რომელიც აღმოჩნდაა ვასილ ალექსანდრეს ძე მილიაევი.

უბედური შემთხვევა

ამას წინად, სოფ. ვაგირში სალომე მჭედლიშვილის ეზოში მეხი დაეცა ლეღვის ხეს.

მეხით მოკლული იქნა მჭედლიშვილის ქალი (14 წლისა) და ნინიკო მჭედლიშვილის 8 წლის ბავში.

მსუბუქად დაშავდენ: მარგო დარჩაშვილი (15 წლისა), ნინა ხელაშვილი (8 წლისა), მარგარიტა გოზალაშვილი (15 წლ.) და ანნა გოზალაშვილი (11 წლ.).

დაშავებულებს აღმოუჩინეს სასწრაფო საექიმო დახმარება.

რეციდივისტის დაპატიმრება

სისხლის სამართლის სამძებრო მილიციამ დააპატიმრა პეტრე სტეფანისძე სარიშვილი, რომელსაც ბრალდება ბინების გაქურდვა.

—:—

თავდასხმა ბახვის საკრედიტო ამხანაგობაზე

ამას წინათ, ღამის 12 საათზე, ორი ბოროტ განმზრახველი მილიციელების ფორმაში თავს დაესხა ბახვის სას.-სამ. საკრედიტო ამხანაგობის თავმჯდომარეს **სანდრო ნიკოლაიშვილს.**

ნიკოლაიშვილი გაიტყუეს ტყეში და მოსთხოვეს ფულის და სალაროს გასაღების ჩაბარება.

ნიკოლაიშვილმა თავიდანვე ალღო აუღო მდგომარეობას და სახლიდან წაყვანის დროს გასაღები შეუმჩნევლათ დატოვა სახლში. ყაჩაღების წინადადებაზე ნიკოლაიშვილმა უპასუხა: „გასაღები სახლში დარჩა. წავიდეთ, გასაღებს გამოვიტან და ფულს ჩაგაბარებთ“. ყაჩაღები დასთანხმდნენ.

ბინაზე მისვლის შემდეგ ერთი ყაჩაღი კარებთან დარჩა, ხოლო მეორე შიგ შეყვა ნიკოლაიშვილს.

ნიკოლაიშვილმა ისარგებლა მომენტით, მოულოდნელათ გარეთ გავარდა და ყაჩაღს კარი გადაურაზა, თითონ კი მორთო ყვირილი. იქვე ახლო მყოფმა მილიციელებმა გაიგონეს ძახილი და სახლს შემოერტყნენ. რამდენიმე ხნის შემდეგ ორივე ბოროტმოქმედი დაპატიმრეს.

ამხ. ნიკოლაიშვილს „სოფლის კავშირი“-ს გამგეობამ მადლობა გამოუცხადა, რადგანაც მან თავისი მოხერხებით შესძლო მოსალოდნელ დიდი ზარალის თავიდან აცილება.

პროფკავშირებში

მსმენელთა გაგზავნა კაზანის უნივერსიტეტში

მედსანშრომის კავშირის ც. გ. კაზანის უნივერსიტეტში მსმენელებათ გაგზავნა ამხ. ალიბეგაშვილი, კაპანაძე და გაბილია.

ლექციები ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის შესახებ

საქ. პროფსაბჭოს კულტგანყოფილებამ დაავალა ყველა მუშათა კლუბებს ყოველ პროგრამის წინ 40—50 წუთით წაკითხული იქნეს ლექციები ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის მნიშვნელობაზე.

ინდუსტრიალიზაციის მე-2 სესხის რეალიზაციის კამპანია

საქართველოს პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ყველა პროფორგანიზაციებს მხურვალე მონაწილეობა მიიღონ სესხის რეალიზაციის კამპანიაში.

ამხ. შესტოვის მივლინება

ხელოვნების მუშაკთა კავშირის სრულიათ საკავშირო თათბირზე საქართველოდან მივლინებული იქნა ამხ. შესტოვი.

ფეიქართა კავშირის მე-7 ყრილობის გადადება

სრულიად საქართველოს ფეიქართა კავშირის მე-7 ყრილობა ნაცვლათ 15 სექტემბერისა, მოწვეული იქნება ოქტომბრის 10-ს.

გაფლანგვა საბჭოთა და სავაჭ. კავშ. ზუგდიდის სამ. განყ-ში

საბჭოთა მუშაკების კავშირის ზუგდიდის სამაზრო განყოფილების ადგილკომის თავ-რემ მოქ. წურწუმიამ გაფლანგა საკავშირო თანხა 580 მანეთი. გაფლანგვის გამოაშკარავების შემდეგ წურწუმიამ თავი მოიკლა.

გაფლანგვა შრომის კოლექტივებში

საბჭოთა და სავაჭრო მუშაკთა კავშირის ც. გ. გამოიკვლია საკომისიო წესით პატენტების ამღებ შრომის კოლექტივების ფინანსიური მდგომარეობა. კოლექტივებში გაფლანგული აღმოჩნდა 380 მანეთი.

გაფლანგვაში ბრალი ედება კოლექტივის გამგის მოადგილეს ამხ. ფაღავას და ბუღალტერ-მოლარეს გიგინეიშვილს.

კავშირის ც.გ. დადგენილებით აღნიშნული პირები მოხსნილია სამსახურიდან და მათი საქმე გადაეცა რესპ. პროკურორს.

რკინისგზებზე

დამატებითი მატარებლები

ვინაიდან 19 და 20 აგვისტო დასასვენებელი დღეებია, რკინის გზების გამგეობამ გადაწყვიტა დანიშნოს ორი დამატებითი მატარებელი ბათომ-ბორჯომამდე.

დამატებითი მატარებელი ბათომამდე გავა დღეს 16 საათსა და 35 წუთზე, ბათომში იგი იქნება დილის 8 საათსა და 25 წუთზე. ბათომიდან იგივე მატარებელი დაბრუნდება 20 აგვისტოს 8 საათსა და 25 წუთზე და თბილისში ჩამოვა დილის 4 საათზე.

დამატებითი მატარებელი ბორჯომამდე თბილისიდან გავა დღეს, 15 საათსა და 45 წუთზე. ბორჯომში იგი იქნება 22 საათსა და 55 წუთზე. ბორჯომიდან აღნიშნული მატარებელი გამოვა 20 აგვისტოს 17 საათსა და 30 წუთზე.

პატარა პლატფორმებზე დამატებითი მატარებლები არ შეჩერდებიან.

მატარებლების დაჯახება.

16 აგვისტოს სადგ. სანაინიდან თბილისისაკენ გამოვიდა საბარგო მატ. № 151. მატარებლის გასვლიდან 15 წუთის შემდეგ სადგ. სანაინის მორიგემ იმავე მიმართულებით გამოუშვა მეორე საბარგო მატ. № 741.

დღემდე გამოურკვეველ მიზეზების გამო პირველად გასული მატარებელი გაჩერებულა გადასარბენის მე-118 კილომეტრზე, რის გამოც დაგვიანებით გასული მატ. № 741 დაეჯახა აღნიშნულ მატარებელს.

დაჯახების დროს დაიმსხვრა სამი ვაგონი და საგრძნობლად დაზიანდა მატ. № 741-ს ორთქლმავალი. მოკლულია ამავე მატარებლის კონდუქტორი, რომლის ვინაობა გამოურკვეველია. შემთხვევის ადგილზე გაიგზავნა დამხმარე მატარებლები.

ლიანდაგიდან გადავარდნა

16 აგვისტოს, სადგ. არაბლინსკში სამგზ. მატ. № 6 გასვლის დროს გასასვლელ ისრებთან ლიანდაგიდან გადავარდა აღნიშნული მატარებლის ორთქლმავალის ტენდერი და საბარგო ვაგონი. მატარებელი შეჩერებულ იქნა ერთი საათით.

საყვედურის გამოცხადება

ცისტერნების ცუდი რემონტისათვის გზების გამგეობამ საყვედური გამოუცხადა ხაშურის დეპოს ზეინკლებს: **სტურუას, კოხრეიძეს, ნიკოლაიშვილს, ხურცილავას და ოდიშარიას.**

ხე-ტყის დამზადება

მომავალ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ამიერ-კავკ. რკინის გზების საჭიროებისათვის დამზადებული იქნება 200—250 ათასი ცალი შპალი და 150.000 კუბ. მეტრი შეშა.

შავი ზღვის რკინის გზა

მიმდინარე წელში შავი ზღვის რკინის გზ. სამუშაოებზე დაიხარჯება 4,5 მილიონი მანეთი. შავი ზღვის რკინის გზის გაყვანით მანძილი თბილისიდან მოსკოვამდე შემცირდება 622 კილომეტრით, ხოლო ბათომიდან 1.108 კილომეტრით.

რადიო-გადაცემა

შაბათი, 18 აგვისტო.

დღეს, 18 აგვისტოს, 4 კილოვატიან რადიოსადგურიდან 1070 მეტრიან ტალღაზე გადაცემული იქნება:

მორზეს ანბანი—განმარტება ქართულ ენაზე.
გლეხთა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე
მოხსენება ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხზე—ქართულ ენაზე.
ტერიტორიალური შეკრების ამოცანები—მოხსენება რუსულ ენაზე.
სისუფთავე ჯანმრთელობის საწინდარია—მოხსენება რუსულ ენაზე.
გაზეთი „ენიკენდ“—თურქულ ენაზე.
გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები—ქართულ და რუსულ ენებზე.
კვირეული ცხრილის გადაცემა.
კონცერტი ან ტრანსლიაცია.
ა.-კ. დეპეშათა სააგენტოს ინფორმაცია.
მოხსენებების შუა—მუსიკალური ნომრები.

შრომის ბირჟაში

მოთხოვნილება მუშა-ხელზე

დღეს, 18 აგვისტოს, თბილისის შრომის ბირჟა სამუშაოზე გასაგზავნათ იწვევს შემდეგ უმუშევართ.

კვალიფიციურ მუშაკთა პირველ სექციიდან: ანტონ არჯევანიძე, ვაგარშაკ ნალბანდოვა, სერგო ზოლდირევი, მარიამ კოზლინიკოვა, მარიამ არუთინოვი.

გონებრივ მუშაკთა მეორე სექციიდან: ივანე ბუკარიოვი, ვალერი გეინაცი, ლიუდმილა კოვალევსკაია, ოლღა ბოროდინა, გრიგოლ კაინჯუნცევი, გრიგოლ ხასპაროვი, ალექსანდრე ნუდელი, ალექსანდრე გოკიელი, სოლომონ გოგიძე, ტატიანა კორიკოვა, პარმენ ტორონჯაძე, ივანე სახუაძე, მიხეილ დარახველიძე, გრიგოლ სტურუა, მარიამ ტატიშვილი, არტაშ კარაპეტიანი იოსებ ყანჩელი, რაიდა პროკოფიევა, გრიგოლ გუფარაძე, ანნა გეიდემანი, ელენე ცირილაძე ცილლა შტეინბერგი, პოლიკარპე მიქაძე, ნიკოლოზ კიკვაძე, ევგენია იუსოვა, ოლღა მელქიაშვილი, ლილა ქუთათელაძე, ზაარუი [illegible], [illegible] ჯარი. ლიუდმილა არუგუნაია, რომა ანდრონასოვა და თამარ გურგენიძე.

შავ მუშათა მესამე სექციიდან: მარიამ მირაქოვა, სერგო პაპაიანი, ანნა მოროზოვა, აიკანუშ ავეტისიანი.

რკინის გზელთა მეშვიდე სექციიდან: პეტრე ზაკატოვი, პაველ ზახარიევი, ილია ლარინი, ფრანც სტიუბინი, რომან ნასიძე, კონსტანტინე ნასიძე, იოსებ სმედ-ბეგოვი, პეტრე არსენიანი, მიხეილ გროსიცკი, დავით მესხი, დავით ბერიძე. მიხეილ ვახანია. ამას გარდა სექციას **სჭირდება ერთი ექიმი ა.-კ. რკინის გზების დასავლეთის უბანზე სამუშაოთ.** მსურველმა უნდა მიმართოს შრომის ბირჟის მეშვიდე სექციაში.

მშენებელთა მეხუთე სექციიდან: ალავერდ ბენიამინოვი. ხანბაია, ხაჩატურ გასაპრიანი.

იურიდიული რჩევა-დახმარება

ბილიხოძეს

კითხვა

ვმსახურობ ამიერ-კავკ. რკინის გზების დაცვის რაზმის 1-ლ რაიონში მსროლელად. სოფელში მყავს სარჩენად 5 სული: შრომის უნარმოკლებული დიდა, 3 ბავშვი და ცოლი. ჯამაგირს ვიღებ 65 მანეთს. სოფლად არავითარ მეურნეობას არ ვეწევი. მიდგია პატარა სახლი ისლით დახურული, მყავს ერთი ძროხა და ეს არის სულ ჩემი ქონება. ჩემს ხელშია 1 დესეტინა მიწა, რომელზედაც ორი წელიწადია, არაფერი დამითესია. თემმა შემაწერა მიმდინარე სუფსის ხიდის ასაგებად 2 კატეგორიის გადასახადი 31 მან., რომლის გადახდაც მე არ შემიძლიან. გთხოვთ მიპასუხოთ კანონიერია თუ არა თემის ასეთი მოქმედება.

პასუხი

თანახმად ცაკის მიერ გამოცემული ინსტრუქციისა „გლეხთა უფლების შესახებ ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში „1927 წ. 4 ივლისიდან (კან. კრ. 1927 წ. № 7 მ. 109) სოფლის მოსახლეობას უფლება აქვს საკუთარი სახსრით, დაბეგვრის საშუალებით, დაიკმაყოფილოს ადგილობრივი კეთილმოწყობისა და კულტურულ-სამეურნეო ცხოვრების საჭიროება; გზათა მშენებლობისა, სკოლების აგებისა და სხვ. საერთო კრების დადგენილება ამის შესახებ სავალდებულოა სათანადო სოფლის ან თემის ყველა მცხოვრებისათვის და იგი უდაო წესით შესრულდება მისი სამაზრო აღმასკომის მიერ დამტკიცების შემდეგ.

გამონაკლისის სახით აქედან, თანახმად საკავშირო ცაკისა და სახკომსაბჭოს მიერ 1927 წ. 24 აგვისტოს გამოცემული დადგენილებისა „მოსახლეობის თვითდაბეგვრის შესახებ“ მე-6 მუხლის შენიშვნისა. თვითდაბეგვრა არ გავრცელდება სახელმწიფო სამსახურში მყოფ პირებზე, რომლებსაც არა აქვთ დამოუკიდებელი მეურნეობა. მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ისინი უშუალოდ არ სარგებლობენ იმ ღონისძიებათა ნაყოფით, რომელმაც თვითდაბეგვრა გამოიწვია. (საკავშირო კან. კრ. 1927 წ. № 5, მ. 509) ამ პირთა კატეგორიას თქვენ ვერ მიეკუთვნებით, რადგანაც გქონიათ სოფლად დამოუკიდებელი მეურნეობა. ამისათვის, თუ თქვენი დაბეგვრა მოხდა ზემოდმოყვანილ ინსტრუქციით გათვალისწინებული წესით, იგი კანონიერად უნდა ჩაითვალოს.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. თბილისის კომიტეტი წინადადებას აძლევს ქვემო ჩამოთვლილ ამხანაგებს გამოცხადდენ დღეს დილას 11 საათზე თბილისის კომიტეტის საარიცხვო განმანაწილებელ განყოფილებაში ამხ. **კვირიკაძესთან:**

ბენიამინ (ბენო) კუტუბიძე, ვლადიმერ ალაძე („სამშენი“), გიორგი კვიცარიძე (განათლების მუშაკთა კავშირის ცენტრ. გამგეობიდან), პ. ფოთოლიშვილი (იუსტსახკომიდან), ალექსი ლომაძე (თბილისის აღმასკომიდან), იოსებ შენგელია (მთავარი სახელოსნოები), ნიკოლოზ მახარაძე (საქ. კ. მ. (ბ) ცეკა), დიმიტრი მთვარალიძე (ცენტრ. პარტ.-სკოლა), ალექსანდრე შარაშიძე (კომუნალური ბანკი), მგალობლიშვილი (ცეკა). სულუხია (პოლიტ-განათლების მთავარი სამმართველო), ზამბახიძე (ცენტრ. საკონტროლო კომისია), ნორიენ ავეტისოვი, პლატონ კორძახია (თბილისის აღმასკომიდან), ფალავანიშვილი (ს.კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტიდან) და ცხავციძე (ცეკადან)

საქ. ახ. ლ. კ. კ. ტფილისის კომიტეტი იტყობინება, რომ 22 აგვისტოს, საღამოს 5 საათზე ტფილისის კომიტეტში (რუსთაველის პრ. 20) შესდგება ტფ. კომიტეტის მიმღებ კომისიის სხდომა. კომისიის წევრებისა და იმ ამხანაგების დასწრება, რომელთა ანკეტები დასამტკიცებელია, სავალდებულოა.

დღეს, 18 აგვისტოს ცეკას აგიტპროპ-ბეჭდვითი განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: თოდრია, ლუარსამიძე, ბუაჩიძე, რონდელი, დუდუჩავა და ნ. ხუნდაძე.

საქ. წითელი ჯვრის საზოგადოების ოზურგეთის სამაზრო კომიტეტი და მედსანშრომის პროფკავშირის სამ. გამყოფილება ღრმა მწუხარებას გამოსთქვამენ ჯურუყვეთის საექიმო პუნქტის გამგის, ენერგიულ მუშაკის,

ექიმ ფილარეტ ლაბაძის

ხანმოკლე ავადმყოფობით გარდაცვალების გამო. ნ. 1507

ოზურგეთის სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილება და ექიმთა სექცია ღრმა მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას, რომ ა. წ. 14 აგვისტოს ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ ლანჩხუთში გარდაიცვალა ენერგიით სავსე, წითელი ჯვრის ჯურუყვეთის საექიმო პუნქტის გამგე

ექიმი ფილარეტ ლაბაძე

ნ. 1507

ღრმად დამწუხრებულნი: მეუღლე ლიზა, შვილი კუკური, დედ-მამა ლევანტი და ალექსანდრა, ძმა ალიომა, დები: შურა, ნინა და ცუცუნა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობმეგობრებს, რომ 14 აგვისტოს გარდაიცვალა მათი საყვარელი

ექიმი ფილარეტ ლევანტის-ძე ლაბაძე

დასაფლავება მოხდება 18 აგვისტოს ს. ნიგოზეთში. 3347

ბიძები: გედევანი, სინო და ერასტი, ბიძაშვილები: სილიბისტრო, კალისტრატე, ვლადიმერი, ტრიფონი, სევერიან, ალექსანდრე, და შალვა; რძლები: ნეონილა, ნონია, ძაძუ, და ვარო ლაბაძეები მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობ-მეგობრებს მათთვის ძვირფას დაუვიწყარი

ექიმ ფილარეტ ლევანტის-ძე ლაბაძის

უდროოთ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება 19 აგვისტოს, შორაპნის მაზრა სოფ. ნიგოზეთში. ნ. 1509

პეტრე, ნეონილა, ლეილა, ლეო და ნოდარი ქათარაძეები აუწყებენ ნათესავთ და მეგობრებს ახმეტის პუნქტის ექიმის თანაშემწის, მათთვის ძვირფასი

ბუბუ მელიტონის ასული წირღვავას

უდროოდ გარდაცვალებას 3353

ულრმეს მწუხარებაში მყოფნი დედა ივდითი, ძმები გრიშა, გრიგოლი. დიმიტრი და ალექსანდრე გორდელაძეები, დები: ლეოლინა ზიმინისა, ლიდა ორჯონიკიძისა და მარიამ გორდელაძე, რძლები: ანა, ეკატერინე და გალია გორდელაძეები, სიძე ამბროსი ზიძინი, იაკობ ორჯონიკიძე, ძმის შვილები: თამარა, გოგუცა, თინა, რუსუდან, ოთარი და თეიმურაზ გორდელაძეები, დის შვილები: ნინა, მერი, ლილი და ვერა აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ა/წ. 15 აგვისტოს ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ აგარაკ სურამში გარდაცვალ მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

ელენე ყაისარის ასული გორდელაძე

გამოსვენება ა/წ. 18 აგვისტოს ნაშუადღევის სამ საათზე თბილისის სადგურიდან. დაკრძალვა ვერის ახალ სასაფლაოზე

სახკინმრეწვის კინოები

განთიადი	ნ. კოლინი სეზონის საუკეთესო სურათში **საყვარელი მაწანწალა**
საზაფხულო ეთერი	ამერიკული კინო-რომანი **რობინზონ კრუზო** 1 და 2 სერია ერთად
საზაფხულო დარბაზი	დუგლას ფერბენკსი მსოფლიო შედევრში **რობინ გუდ**
საზაფხულო პალასი	მხატვრული სურათი **КРУЖЕВА** დადგმა—იუტკევიჩის
პროლეტარი ავლაბარი	**მგლის შვილი** ჯეკ ლონდონის რომანის მიხედვით

11—14

მუშათა ცენტრალური კლუბი
დღეს, 18 აგვისტოს,

სიმფონიური კონცერტი

ოთხი დირიჟორის
სტუპელის, ბროდსკის, ელეფთეროვის. ლევმანის ხელმძღვანელ.
პროგრამაში—მასენე, გლინკა, ნაპ ავნიკი, პონკიელი, გრიგი
დასაწყისი საღამოს 9 საათზე. ცუდი ამინდი კონცერტს ხელს არ შეუშლის
შემდეგი კონცერტი ხვალ, 19 აგვისტოს, მედსანშრომის კლუბში ნ. 1499
ხესსინის გამოსათხოვარი გასტროლი
24 აგვისტოდან ცნობ. დ რიჟ. ბერდიაევის გასტროლები

ქ. ფოთის აღმასკომი ამით აცხადებს, რომ ამა, 1928 წ. 30 აგვისტოს, დღის 12 საათზე,
დანიშნულ

საჯარო ვაჭრობით გაცემა

ერთი წლის ვადით ქ. ფოთის რაიონის
სათევზაო სამრეწველო წყლები
მსურველთ შეუძლიათ გაეცნონ კონდიციას აღმასკომში.
ნ. 1498 3—1 ქ. ფოთის აღმასკომის პრეზიდიუმი

მიხეილ გედევანიშვილის
სახელობის
სამკურნალო
საწოლებით
ელექტრონით და სინათლით
სამკურნალო კაბინეტი

ნერვიულ და აგრეთვე იმ ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებით ექიმობას საჭიროებენ. მიღება 2—3 და 6—8 საათ. თბილისი, ყორღანოვის ქ., № 20 25—1

სააქ. საზ-ბა „საქართველოს ჩაი“-ს
გამგეობა
ამით აცხადებს, რომ ა/წ აგვისტოს 15-ს შუადღის 12 საათზე
დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

ჩაქვის ჩაის ქარხნის აგებაზე (იხ. გაზ. კომუნისტი 29 ივლ. № 174) გადატანილია ამა აგვისტოს 22-სათვის შუადღის 12 საათ. (რუსთაველის პრ. № 25)
ნ. 1510 გამგეობა

საბჭოთა კავშირის სახ. მეურ. უმაღლეს საბჭოს
ტუავტრესტი
კომუნალური ქუჩა № 82, ამით აცხადებს, რომ ა/წ. 23 აგვისტოს გაიმართება

საჯარო ვაჭრობა

წინად ხმარებაში მყოფი ქონების გასასყიდად, როგორც მაგალითად: სამგზავრო ავტომობილი „ფორდი“, საბეჭდი მანქანები, და აგრეთვე დაწუნებული ფეხსაცმელები, შუშის ბალონები და სხ. გამოუსადეგი მასალა.
ნ. 1506 ტუავტრესტის გამგეობა

ქ. ქუთაისის 2 უბნის სახ. სასამართ. აღმასრულებელი
დ. აშორდია

ამით აცხადებს, რომ ის 22 აგვისტოს 1928 წ., დილის 11 საათზე, **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის აფრასიონ ერმილეს-ძე მშვენიერაძის სამ სართულიან სახლს № 3, მდებარე ქ. ქუთაისში, ჯულაშვილის მე-4 შესახვევში, რომელიც შეიცავს 15 საცხოვრებელ ოთახს, სამივე სართულში პოდიეზდით, ორ შუშაბანდს, ორ დერეფანს, ორ სამზარეულოს დახურულს ეზოთი. შეფასებული 4.000 მანეთად კურორტთა მთავარ სამმართველოს ვალის დასაკმაყოფილებლად; ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობა მიიღოს, უნდა წარმოადგინოს ცნობები აღნიშნული 311 და 312 მუხ. ს.ს. საპ. კოდ. თანახმად და 10 პროც. საწინდარი. 3344

დავკარგე: მოწმობა გაცემული 2 შრომის სკოლიდან, გიორგი ბედოშვილის სახელზე, ჩ. გ. 3343

დავკარგე: მუშფაკის მოწმობა ფირკო კაზიმარის სახელზე, ჩ. გ. 3342

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 21 აგვისტოს 1928 წ. დღის 2 საათზე სახლში № 88 პლეხანოვის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მაისაიას და პატარაიას სადილო „სამეგრელო“-ს მთელ მოწყობილობას შეფასებულს 230 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 15 ივნისს 1928 წ. თარიღით, № 2957 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3345

ქ. თბილისის შრომის სასამართლოს აღმასრულებელი
დიმ. სიხარულიძე

ამით აცხადებს, რომ ის 21 აგვისტოს 1928 წ. დღის 4 საათზე სახლში № 22 სადგურის ქუჩაზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის მოქ. გარსევანიძის სასადილო „მუზა“-ს მოძრავ ქონებას: სკამებს, მაგიდებს, სპილენძის ქვაბებს და სასადილოს ყოველგვარ მოწყობილობას შეფასებულს 279 მანეთად, სახკვების კავშირის ვალის დასაკმაყოფილებლად თანახმად ქ. თბილისის შრომის სახალხო სასამართლოსაგან 24 ივლისის 1928 წ. თარიღით, № 3040 გაცემულ აღმასრულებელ ფურცლისა. 3346

ექიმი
ქ. ს. ფონ-ირტელი

სპეციალურად მკურნალობს საშარდე, სქესობრივ (სქესობრივი უძლურება) ვენერიულ (ტრიპერი) ავადმყოფობას, სიფილისს და მის შედეგებს, კანისა და ქირურგიულ ავადმყოფობას (სიმსივნე. ბუასილი) ელექტრო-მკურნალობა და ოპერაციები. ავადმყოფების მიღება დილ. 8 ს. დღის 12 საათამდე და სალ. 4 ნახ. საათ.—7 საათამდე. ქალების მიღება დღის 10—12 საათამდე.
პლეხანოვის პროსპ. № 10

ექიმი
ი. ი. ქეიშვილი

სიფილისის, ვენერიული და კანის სნეულ.
ავად. მიღება დილ. 8 ს. 10 საათ. დ სალ 6—8 საათ.
კამოს ქუჩა 72 (ყოფილი ციცი-მთავრის ქუჩა). 25—1

ექიმი
ა. დ. კეკელია

სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულება
პლეხანოვის პროს. № 116. სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. მიღება დილის 9—12—საღ. 7 ნახ.—8 ნახ. საათ.

ექიმი
გ. მ. ფხალაძე

გადავიდა მარტის ქუჩაზე № 6 (ყოფ. ბოგოლსოვის) ჩასახვევი ოლღას ქუჩიდან. სპეციალ. სიფილისი, ვენერიული და კანის სნეულებანი.
იღებს: დილის 7—8 საათამდე
საღამოს 7—9 კაცებს
6—7 ქალებს.
25—1

ყოველდღე ნაშუადღევის 1 საათიდან საღამოს 6 სა-დე

სათვალეების შერჩევა
— და —
მათი სწორი დაყენება
სპეციალისტ ექიმის მიერ

უფასოდ

სახმედვაჭრობის მაღაზიაში, პლეხანოვის პროსპექტი, № 106 მიღებულია ბევრი საქონელი შემდეგი სახის: სათვალეების ჩარჩოები, კლიპსები, შუშები და ხელოვნური თვალები. 25—1

ნ. გ. კანტოროვიჩისა

მიღებულია საზღვარგარეთიდან ახალი საშუალებები თმების სამკურნალოთ და ფერის მშამელას, მუწუკების, ჭორფლის, ტალის, მეჭეჭის და სხვ. გასაქრობათ. ვაძლევ საექიმო რჩევა-დარიგებას პირის კანის მოვლისა და თვითმასაჟის შესახებ საზღვარ-გარეთის მეთოდების მიხედვით. ფრეილინის ქ. № 1. პაციენტების მიღება 11-დან 3-მდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. 25—1

ექიმი
გ. ო. ზანდუკელი

შინაგანი და ნერვიული ავადმყოფობანი. ელექტრო-სინათლით სამკურნალო კაბინეტი.
ავადმყოფების მიღება გარდა შაბათისა და კვირა უქმე დღეებისა საღამოს 7-დან 8 საათამდე. ლენინის ქ. (ყოფილი ოლღას ქ.) № 11.
ტელ. 4—82. 25—1

ქუთაისში (დროებით)
მედიცინის დოქტორი
მ. ფ. მგალობელი

ქალ[illegible] სნეულებანი მხოლოთ) იღებს სღ 6—7 ს.
ჯაფარიძის ქ. (ყოფილი პოლიციის) № 18. 3212

ექიმი
ს. ა. გალუსტიანი

შინაგანი, კანის და ვენერიული სნეულებანი (მწვავე და ქრონიკული ტრიპერი) სიფილისის მუწუკები, ავადმყოფების მიღება დილის 9-დან ნაშუადღევის 1 საათამდე, ქალების დღის 11-დან 1 საათამდე და საღამოს 5—7-მდე. კ ცეტკინის ქ. № 77 ყოფ. ელისაბედის ქ.ფოსტისგვერდით

დავკარგე: მუშკოოპის წიგნაკი № 3512 არკადი ავალიანის სახელზე, ჩ. გ. 3341

დავკარგე: დამზღვევ სალაროს წიგნაკი ეკატერინე გელაძეს სახელზე, ჩ. გ. 3350

დავკარგე მიწა ტყის კავშირის წიგნაკი № 31572, საგზავრო ბილეთი № 5530 გედეონ ბესარიონის-ძე ლორთქიფანიძის სახელზე, ჩ. გ. 3351

დავკარგე, კავშირის წიგნაკი № 2756 და დამზღვევ სალაროს წიგნაკი მ. ს. ვარდანაშვილის სახელზე ჩ. გ. 3348

დავკარგე: მშენებელთა კავშირის წიგნაკი № 9908 კონსტანტინე თაბუკაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3354

დავკარგე: სამხედრო წიგნაკი ფ. № 1, № 127 ახალხიბულის თემის მცხოვრებ დომენტი ეგნატეს-ძე ქავთარაძის სახელზე, ჩ. გ. 3354

დავკარგე: პირადობის მოწმობა № 1149, მუშკოოპის წიგნაკი № 3749 და საბჭოთა და სავაჭრო მუშაკების პროფწიგნაკი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე ბუჯიაშვილის სახელზე, ჩ. გ. 3347

დავკარგე: დაბადების მოწმობა 7 1/1755 ალექსანდრე ვლადიმერისძე ქეიშვილის სახელზე, ჩ. გ. 3344

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი 1045 9176 ლევან ალექსანდრეს-ძე თევდორაძის სახელზე, ჩ. გ. 3344

დავკარგე: პირადობის მოწმობა გაცემული უკრაინის ხელისუფლებისაგან და ცხენის სანიტარული შემოწმებისა მიხეილ მარკოვიჩის-ძე ბროვ[illegible]რის სახელზე, ჩ. გ. 3344

დავკარგე: მეტრიკული ამონაწერი № 1965 და სამხედრო ნუსხა ევგენი მელიტონის-ძე ნათბილაძის სახელზე, ჩ. გ. 3344

დავკარგე, სამხედრო ნუსხა № 4331 გაცემული ქუთაისის რაი სამმართველოს მიერ ვლადიმერ იოსებს-ძე კილაძის სახელზე, ჩ. გ. 3344

დავკარგე, ამაღლების შემოსავალ გასავალის წიგნაკის 1927—28 წლის ქვითარები 3 ცალი, 7 წლედის ანგარიშები 50 ცალი და 1 გასავლის ორდერი ამაღლების 7 წლედის გამგეს სახელზე, ჩ. გ. 3344

დავკარგე: სამხედრო საარიცხო ბილეთი № 1534/1338 გაცემული თბილისის მაზრის სამხ. კომი-არ. ივანე ბალახიშვილის სახელზე, ჩ. გ. ნ. 1509

დავკარგე მედსანშრომის კავშირის საწევრო წიგნაკი № 339 ექიმ მინა გაბრიჩიძის სახელზე, ჩ. გ. 3335

პოლიგრაფტრესტის მე-5 სტამბა. კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904.